# ალია



გიორგობის დღესასწაულზე მცხეთაში 71 წლის სალოსი მეუფე ილარიონი სასულიერო პირებმა სცემეს? **12**

N179/3301/ 26 ნოემბერი 2015 წ

ფასი 1 ლარი

ორშაბათი სამშაბათი ოთხშაბათი ხუთშაბათი პარასკევი

WWW.ALIA.GE

გამოდის 1995 წლიდან

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი

## რაზე ისაუბრეს და შეთანხმდნენ „პატრიოტთა ალიანსი“ და მანანა კობახიძე? 12





„სითი პარკი“ გარდაცვლილ დედაზე მიმტკიცებდა, ჯარიმას მოაწერა ხელიო და ქონება დამიყადაღეს“ — ნუთუ არ წითლდება და არ რცხვენია ნარმანიას?! **4**




## რას ნიშნავს „ჰასპის სისტემა“ და რატომ გაძვირდება ხორცი? 7

„ვაპირებ, ვუჩივლო როგორც ლაბორატორიას, ისე ე.წ. სანდრას კლინიკას...“ — ახალგაზრდა დედა, რომელიც არასწორი ანალიზებით შოკში ჩააგდეს **10**



ზაზა ხატიაშვილი: „როგორც გერმანელები, ან იტალიელები აკეთებენ, ჩვენც რომ მივიდეთ და პირდაპირ სასამართლოში მივცეთ ჩვენება, პოლიციაში რომ არ მიგვიყვანონ და დენი არ გაგვიტარონ, ხომ შეიძლება, ეს წესი აქაც დავნერგოთ?“ **5**



**რას უპასუხებს ბიძინა ივანიშვილი ხატიაშვილს ღია წერილზე**





ლარის სიმბოლო Microsoft-ის ოპერაციულ სისტემებში გამოჩნდა **3**



ИЗВЕСТИЯ: ერდოღანის ვაჟი და ISIS-ის ლიდერები **3**



8 ნიშანი იმისა, რომ პურის ჭამა უნდა აკრძალოთ! **15**



შვეიცარიაში ბურკას ტარებისთვის ქალები 65-იდან 6 500 ევრომდე დაჯარიმდებიან **15**



ჩინელებმა თევზის გემოს მქონე ცხვარი შექმნეს **16**



ჰელსინკში გაჯეტიანი ადამიანების მაუწყებელი საგზაო ნიშანი დადგეს **15**



# ალო, ბალაკლავა, ბატონო ლუკა, მთელი დღეა გირეკავთ და სად ხართ, რატომ არ გვცემთ პასუხს?!





საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ლუკა კურტანიძე თანაგუნდელ ზაქარია ქუცნაშვილს გაზეთში გამოქვეყნებული ინტერვიუს გამო აკრიტიკებს.

როგორც ლუკა კურტანიძემ განაცხადა, ზაქარია ქუცნაშვილი პრემიების კანონპროექტთან დაკავშირებით, რომელიც პარლამენტმა მეორე მოსმენაზე ჩააგდო, თანაგუნდელებს მასმედიით ესაუბრება და მათ „ავკარგიანობაზე“ ინტერვიუში საუბრობს. კურტანიძის განცხადებით, ქუცნაშვილის ინტერვიუ თანაგუნდელებისთვის დამამცირებელია.

– პარლამენტარსა და ჩემს კოლეგას, რომელსაც უდიდეს პატივს ვცემ, შევახსენებ, რომ ჩვენ ყველანი ვართ ერთი გუნდი. ერთი სიცოცხლე დავდეთ ერისკაცის ლიდერობით სამშობლოს გადასარჩენად. ამიტომაც ვფიქრობთ, რომ ყველა მნიშვნელოვანი საკითხი შიგნით, გუნდში კომუნიკაციით, მსჯელობით და თუნდაც კამათით უნდა შევაჯეროთ და არა საამკარაოზე გამოვიტანოთ. თქვენი ინტერვიუ არის შეურაცხმყოფელი და დამამცირებელი თითოეული თქვენი გუნდის წევრისთვის. ამავე დროს, ჩვენი გუნდის წევრების უმრავლესობა აღმასრულებელ თუ საკანონმდებლო ხელისუფლებაში, იდეის, სამშობლოს გადარჩენისა და უკეთესი მომავლისთვის გაერთიანდა და არა ხელფასის ან სხვა პრიორიტეტების გამო. ვეთანხმები, რომ ბევრი რამ მოსაწესრიგებელია ამ მხრივ, მაგრამ ეს შეიძლება რამდენიმე წლით ადრე გაგხსენებოდათ და არა ახლა რამდენიმე თვით ადრე, როდესაც არჩევნები კარს მოგვადგა, – მიმართა ქუცნაშვილს კურტანიძემ.

კურტანიძე მოუწოდებს თავის კოლეგას, უკეთესი თანამებრძოლების ძებნას შეეშვას.

– ნუ ეძებთ უკეთეს თანამებრძოლებს, როგორც თქვენ ამ ინტერვიუში აღნიშნავთ, რადგან ამ გუნდმა მოგიყვანათ იქ, სადაც ხართ. ამ გუნდში ყველა თავისი საქმის პროფესიონალია და ბრძოლის დროს ყველანი უღალატონი არიან. ამ გუნდთან თქვენ არ გიმსჯელიათ, არ გიკამათიათ ამ ძალიან მნიშვნელოვან საკითხზე და ამის მიუხედავად, თქვენ საამკარაოზე, საზოგადოდ გამოიტანეთ ამა თუ იმ პარლამენტარის ავკარგიანობა, საამკარაოზე გამოიტანეთ ამ ადამიანების განკითხვა, მიუხედავად იმისა, რომ ეს ადამიანები გეთანხმებიან ამ საკითხზე. ამიტომ, მე მინდა უბრალოდ შეგახსენოთ, რომ შესაძლებელია, მე ვარ ძალიან მკაცრი, მაგრამ, როდესაც საქმე ეხება თანამებრძოლების ღირსებას, შესაძლებელია, უფრო მკაცრიც ვიყო. შეგახსენებთ ერთ ქართულ ანდაზას: დედის წინ მორბენალი კვიცი მგელმა შეჭამაო. ამიტომ ძალიან გთხოვთ, თითოეულ თანამებრძოლს გაუფრთხილდით და ყველა იმ ადამიანს, ვინც ეს ბრძოლა ღირსეულად მოიტანა, – აღნიშნა კურტანიძემ. (ინტერპრესნიუსი)

**„ქამრების შემოჭერაო“, რომ გაიძახის მთელი ხელისუფლება, მარტო ხალხს რატომ შემოგვიჭირეთ ეს დედაარღნიანი ქამრები, ლუკა ბატონო, დავაშავეთ რამე? ჰო, თუ ის გვეთვლება დაშავებაში, „ქართულ ოცნებას“ რომ მივეცით ხმა, გამოსწორებადია ეგ ამბავი, „კსტაწი“!**



**ჯერ ერთი, სააგენტოებს უნდა მივმართოთ - ეს ინტერვიუ „კვირის ქრონიკაში“ გამოქვეყნდა და რომ მიაწეროთ ხოლმე, გვარიშვილობას არ დაკარგავთ, არ ჩამოგცვივათ ჩინ-მედლები, გასაგებია?!**

**ახლა რაც შეეხება ლუკა კურტანიძეს — მთელი დღის მანძილზე გირეკავდათ ჟურნალისტი ნინო ლაბარტყავა, რამდენჯერმე უპასუხეთ კიდეც, ახლა არ მცალია, ახლა არ მცალიაო, ბოლოს კი გათიშეთ ტელეფონი.**

**ადრე არ იცოდით ასე, ლუკა ბატონო, და ახლა დაგემართათ, საჩოთირო თემას მოერიდეთ? ბოლოს და ბოლოს, მანანა კობახიძემ გვიპასუხა, - შესვენება მაქვს და გისმენთო და თქვენ რა საქმე გქონდათ ამდენი?**

**ნუ, კარგით, გავატაროთ ეს ამბავი, მაგრამ დანარჩენს რაც შეეხება, კატეგორიულად არ გეთანხმებით უამრავ რამეში და დავიწყოთ:**

**1. „ამ გუნდმა მოგიყვანათ იქ, სადაც ხართ“ — მიმართავთ ქუცნაშვილს. ჰოდა, ცდებით, ლუკა ბატონო, ცდებით — გუნდმა კი არა, ხალხმა მიიყვანა ზაქარია ქუცნაშვილიც იქ, სადაც არის, თქვენც და დანარჩენებიც. იმედია, დაგვეთანხმებით ამაში...**

**2. „მინდა უბრალოდ შეგახსენოთ, რომ შესაძლებელია, მე ვარ ძალიან მკაცრი, მაგრამ როდესაც საქმე ეხება თანამებრძოლების ღირსებას, შესაძლებელია, უფრო მკაცრიც ვიყო“ — სიმკაცრე კარგია, გადასარევი და აღმაფრთოვანებელი, ოღონდ სამწუხაროდ, ამ სიბრაზეს ვერ ვხედავთ, პრემიებით რომ ჯიბეებს ივსებენ, აი, იმათი მიმართულებით. თქვენს თანაგუნდელებს ხალხის წყევლა-კრულვით არ აკლდებათ არაფერი და ქუცნაშვილის სიტყვები უზამს რამეს? ან ხალხის ღირსება რომ ილახება ფეხის ყოველ ნაბიჯზე, ხალხის ღირსება რომ ზედ ჩამოიმხო „ნაცმოძრაობამ“, სულში აფურთხა, რა გააკეთა „ქართულმა ოცნებამ“ ამის გამოსასწორებლად? ვგონებთ, არც არაფერი, აბაა!..**

**3. „ეს შეიძლება რამდენიმე წლით ადრე გაგხსენებოდათ და არა ახლა, რამდენიმე თვით ადრე, როდესაც არჩევნები კარს მოგვადგა“ — საერთოდ, პოლიტიკოსებს ახასიათებთ არჩევნების წინ მსგავსი წიაღსვლები, პირველად გესმით ეს ამბავი? თუმცა ჯანდაბას, ეს ისეთი თემაა, „სჯობს გვიან, ვიდრე არასდროსო“, ზედგამოჭრილი ნათქვამი როა... ან „ქამრების შემოჭერაო“, რომ გაიძახის მთელი ხელისუფლება, მარტო ხალხს რატომ შემოგვიჭირეთ ეს დედაარღნიანი ქამრები, ლუკა ბატონო, დავაშავეთ რამე? ჰო, თუ ის გვეთვლება დაშავებაში, „ქართულ ოცნებას“ რომ მივეცით ხმა, გამოსწორებადია ეგ ამბავი, „კსტაწი“!**

**4. „თქვენი ინტერვიუ არის შეურაცხმყოფელი და დამამცირებელი თითოეული თქვენი გუნდის წევრისთვის“ — თქვენი ამ სიტყვებიდან ასეთი დასკვნა გამოვიტანეთ, ჩემო ბატონო: „ქურდს ქუდი ეწვისო“, თუმცა შეიძლება ვცდებით, რა ვიცი... ჰო, გეპასუხათ ნინო ლაბარტყავას კითხვებისთვის და აღარ გამოვიტანდით ასეთ დასკვნებს!**

**5. „დედის წინ მორბენალი კვიცი მგელმა შეჭამაო“ — აი, ეს ყველაზე მეტად მოგვხვდა გულზე და აი, რატომ: „ნაციონალური მოძრაობა“ იმან გარყვნა და გაათახსირა, რომ ერთი კაცის ხუშტურებზე დადიოდა მთელი პარტია. დედა იყო ეს ერთი კაცი, მამა თუ ნათლიის ბიძაშვილი, რა მნიშვნელობა აქვს, მთავარია, რომ ერთი ადამიანის გარშემო არ უნდა ტრიალებდეს სამყარო. არა, გვესმის, რომ დედაში პარტიას გულისხმობთ, მაგრამ თუნდაც ასე იყოს — „ნაცმოძრაობა“ ერთ ხმაში რომ მღეროდა, ყველა ერთ სისაძაგლეს რომ ამბობდა, იმიტომ ამოუვიდა ხალხს ყელში (ბევრი სხვა მიზეზიც კი იყო, მაგრამ ერთ-ერთი მთავარი ესეცაა). არ შეიძლება, ბატონო ლუკა, ამხელა პარტიაში ყველას ერთი მოსაზრება ჰქონდეს — სირცხვილია, უხერხულია და ცუდ დასკვნებს გამოიტანს ხალხი...**

**მოკლედ, აგერ ჩვენი 5 მოსაზრება შემოგთავაზეთ თქვენს პოზიციასთან დაკავშირებით, თუმცა შეგვეძლო, 41 ან უფრო მეტიც ყოფილიყო. უბრალოდ, სიმბოლურად მოვიქეცით ასე — „ნაცები“ ხომ არ გიყვართ და ცოტა შეგიჩიჩხინეთ, რომ მომავალში, როცა დაგირეკავთ, დაგვდოთ პატივი და „ალიას“ კითხვებს უპასუხოთ, რასაც პრინციპში, კი აკეთებდით ხოლმე, მაგრამ ამჯერად რატომღაც თავი აგვარიდეთ...**



## მიშას ოდესაში „ხიპიში“ მოსვლია — მოადესო



ოდესის ნავსადგურისპირა ქარხნის დირექტორის პირველმა მოადგილემ ნიკოლაი შურიკოვმა ტოქშოუ „Шустер LIVE“-ში მონაწილეობის შემდეგ ოდესის გუბერნატორ მიხეილ სააკაშვილს მუშტი დაარტყა.

უკრაინული მედიის ინფორმაციით, ინციდენტის მიზეზი სააკაშვილის მხრიდან წამოსული კრიტიკა გახდა. ოდესის გუბერნატორმა ჟურნალისტებთან საწარმოს კორუფციულ სქემებზე ისაუბრა.

ამასთანავე, ინციდენტამდე რამდენიმე საათით ადრე, საწარმოში სახელმწიფო ქონების 4 მილიარდი უკრაინული გრივნის დანაშაულებრივი გზით მითვისების ფაქტზე ჩხრეკა ჩატარდა.

ტოქშოუს ეთერში სააკაშვილსა და შურიკოვს შორის შელაპარაკება მოხდა. გუბერნატორი ქარხნის დირექტორის მოადგილის მიერ დადებულ ერთ-ერთ კონტრაქტს აკრიტიკებდა, ხოლო შურიკოვი – ოდესის ოლქის ხელმძღვანელის ქმედებებს.

ტელეარხ „24“-ის ინფორმაციით, ტოქშოუს დასრულების შემდეგ სააკაშვილს შორიკოვმა მოულოდნელად მხარში მუშტი დაარტყა და მას უკრაინელი ხალხის მტერი უწოდა.

– თქვენ უკრაინის მტერი ხართ. გაანადგურეთ ყველაფერი, რაც საქართველოში არსებობდა და ახლა აქ ჩამოხვედით გასანადგურებლად. ჩვენ საუბარს ერთ თვეში დავუბრუნდებით, როცა დაგიმტკიცებთ, რომ მე ეფექტური მენეჯერი ვარ, ხოლო თქვენ იტყუებით ჩემთან დაკავშირებით, – განუცხადა სააკაშვილს ნიკოლაი შურიკოვმა. (timer.ge)

**ეს შურიკოვიც „ქართული ოცნების“ წევრია, კაცო? რაღად უნდა ერთი თვე და ლოდინი, რომ სააკაშვილი მამაძაღლობებში ამხილოს, მით უმეტეს, უკვე რამდენი ხანია, პოროშენკომ თანამდებობაზე დანიშნა?!**

## ნარმანიას „გამოსაცდელი ვადა“— რა მოხდა „ოცნების“ პოლიტსაბჭოზე?



ოფიციალური ინფორმაციით, „ქართული ოცნების“პ ოლიტსაბჭოს 22 ნოემბრის სხდომაზე, საარჩევნო კანონმდებლობაში დაგეგმილ ცვლილებებზე იმსჯელეს. მმართველი გუნდის პოლიტსაბჭოზე კი პარტია „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭო გაიმართა, სადაც პარტიის რაიონული და საქალაქო ორგანიზაციების დებულება და თავმჯდომარეორეობის კანდიდატები დაამტკიცეს. როგორც ცნობილია, სხდომას კოალიციის და პარტიის ლიდერი ირაკლი ღარიბაშვილი ესწრებოდა. განიხილეს თუ არა სხვა პოლიტიკური საკითხები ოფიციალურად უცნობია, თუმცა არაოფიციალური ინფორმაციით სხდომაზე თბილისის მერის ირგვლივ შექმნილ ვითარებაზე ისაუბრეს. დავით ნარმანიას საქმიანობასთან დაკავშირებით მმართველ გუნდში, როგორც საკრებულოში, ასევე პარლამენტშ აზრი ორად იყოფა. გვარცელებული ინფორმაციით, „ქართული ოცნების“ კულუარებში იმაზეც მსჯელობენ, როგორ დატოვოს უმტკივნეულოდ დავით ნარმანიამ თანამდებობა. არაოფიციალური ინფორმაციით, პოლიტსაბჭოს სხდომაზე, ნარმანიას საქმიანობით საბჭოს წევრებმაც გამოთქვეს უკმაყოფილება, თუმცა ამ ეტაპზე პოლიტიკური გადაწყვეტილება ნარმანიას „წასვლის" შესახებ მიღებულ არ იქნა და მას ე.წ. გამოსაცდელი ვადა მისცეს. პარტიის წევრებს კი მიეცათ მითითება, რომ მედიასთან კომენატრებში ნარმანიას კრიტიკისგან თავი შეიკავონ და ის, რაც წინა კვირებში ხდებოდა მერთან დაკავშირებით, აღარ განმეორდეს, როდესაც საკრებულოს უმრავლესობის წევრებიც კი ღიად აკრიტიკებდნენ მას. (პირველი რადიო)



## პარლამენტში ივანიშვილ-სააკაშვილის შედარებით დახასიათებებზე არ იფიქროთ, სხვა საქმე არ გაქვთ?!



პარლამენტის პლენარულ სხდომაზე დეპუტატმა ეკა ბესელიამ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებს მიმართა.

– მიხეილ სააკაშვილის და ბიძინა ივანიშვილის შედარებაზე თუ გველაპარაკებით, შუბლის ძარღვი სადა გაქვთ?! – მიმართა ბესელიამ ოპოზიციის წარმომადგენლებს.

გაეროს კლიმატის ცვლილების პარიზის კონფერენციასთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტის განცხადების პროექტის განხილვისას, უმცირესობის წარმომადგენლებმა პროექტ „პანორამა თბილისზე“ გაამახვილეს ყურადღება და განაცხადეს, რომ პროექტი ძველ თბილისსა და ქალაქის ეკოლოგიას ანადგურებს.

„ნაციონალური მოძრაობის“ შეფასებებს ეკა ბესელიამ უპასუხა:

– გვეკითხებიან, რას ვფიქრობთ იმ ერთ კაცზე, უკრაინაში რომ არის და იქიდან სისხლიანი რევოლუციური სცენარის განხორციელებას გავალებთ. იმ ერთ კაცზე, რომელიც საკუთარ პიჯაკს ხალხის ნაძარცვი ფულით ყიდულობდა და რას ვფიქრობთ იმ ერთ კაცზე, რომელმაც ქვეყანას 2 მილიარდი დაახარჯა – მათ შორის ყველა იმ პროექტს, რომელსაც თქვენ იბრალებდით და ამბობდით, რომ თქვენი გაკეთებული იყო. ამ ორი ადამიანის შედარებაზე თუ გველაპარაკებით, მაინტერესებს შუბლის ძარღვი სად გაქვთ?! რომელი ადამიანი იყო, დევნილს პირიდან ლუკმას რომ აცლიდა და მისთვის განკუთვნილი ნივთი სახლში რომ მიჰქონდა. პირადი მზარეულებისთვის და პირადი სიამოვნებისთვის ხალხისთვის წაგლეჯილი ფული არის ის ერთი კაცი, რომელიც დღეს თქვენი ბელადია. თუ გაინტერესებთ, რას აკეთებს ის მეორე ადამიანი, ამის დიდი ჩამონათვალია და გაეცანით. მათ შედარებას რომ აკეთებთ, საერთოდ არ ვიცი, რამდენად ღირს ასეთ პოლემიკაში ჩართვა, – განაცხადა ბესელიამ. (რეპორტიორი)

**ამათ რომ ვუყურებთ, ძვირფასო მკითხველო, ერთი ფრიად სამწუხარო დასკვნა გამოგვაქვს — არ გვეშველება არაფერი!**

**აბა, შეიძლება გაუთავებლად სააკაშვილის ლანძღვა, ივანიშვილის ლანძღვა?**

**არა, კი შეიძლება, მაგრამ ეს ჩვენ უნდა ვაკეთოთ, კაცო, რიგითმა მოქალაქეებმა, პარლამენტარებმა კი საქმეს უნდა მიხედონ. სინამდვილეში პირიქითაა — ხალხი ვაკეთებთ საქმეს, მუხლჩაუხრელად ვშრომობთ, ესენი კი სხედან პარლამენტში და — ბიძინა მაგარია, მიშა მაგარია, ბიძინა მაგარია, მიშა მაგარია...**

**აეეეე, ამოხვედით ყელში!!!**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## რა დაჯდება რუსეთისა და თურქეთის კონფლიქტი?



რა დაჯდება რუსეთისა და თურქეთის კონფლიქტი? ამ თემაზე რუსული გამოცემა rbc.ru წერს და აღნიშნავს, რომ თურქეთისა და სირიის საზღვარზე რუსული ბომბდამშენის ჩამოგდება რუსეთ-თურქეთის სავაჭრო-ეკონომიკურ კავშირებს საფრთხის ქვეშ აყენებს.

სტატიაში ვკითხულობთ: უკვე აშკარაა, რომ პირველ რიგში კონფლიქტს ტურისტული სფერო ეწირება – რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ და ტურიზმის სააგენტომ ქვეყნის მოქალაქეებს თურქეთში გამგზავრებაზე უარის თქმისკენ მოუწოდეს. ჯერჯერობით უცნობია, მოჰყვება თუ არა კონფლიქტის ესკალაციას ეკონომიკური ურთიერთობების სხვა მიმართულებით გაუარესება, ამ ეტაპზე განიხილება ინციდენტის პოლიტიკური მხარეები. ეს საპრეზიდენტო თემაა.

– 44 მილიარდ დოლარიანი ვაჭრობა – სასწორზე წელიწადში 30 მილიარდი აშშ დოლარის ვაჭრობა და 2 მილიარდ აშშ დოლარზე მეტი დაგროვილი ინვესტიცია დევს. სიდიდით თურქეთი რუსეთის მეხუთე სავაჭრო პარტნიორია – რუსეთის საგარეო ვაჭრობის 4,6 პროცენტი თურქეთზე მოდის. რუსეთსა და თურქეთს შორის სავაჭრო ბრუნვამ 2014 წელს – 31, 2015 წლის ცხრა თვის განმავლობაში კი 18,1 მილიარდი დოლარი შეადგინა. მომსახურებით ვაჭრობის გათვალისწინებით, რუსეთ-თურქეთის მონაცემები კიდევ უფრო მაღალია: 2014 წელს საქონლისა და მომსახურების საერთო ბრუნვამ 44 მილიარდი დოლარი შეადგინა. ჯერ კიდევ ორი თვის წინ, მოსკოვში მყოფმა თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეპ ტაიპ ერდოღანმა განაცხადა, რომ ქვეყნებს შორის საქონელბრუნვამ 2023 წლისთვის 100 მილიარდი დოლარი უნდა შეადგინოს. ეს მონაცემები განუხორციელებლად არ გამოიყურებოდა: რუსეთსა და დასავლეთს შორის ურთიერთობების გაფუჭების ფონზე თურქეთი საკუთარ თავს ყველაზე პერსპექტიულ პარტნიორად წარმოაჩენდა. „უკრაინის კრიზისის გამო დასავლეთსა და რუსეთს შორის გაჩენილმა დაძაბულობამ თურქეთისა და რუსეთის ურთიერთობების ახალი ეპოქა უნდა დაიწყოს“, – წერდა თურქული გამოცემა Journal of Turkish Weekly აგვისტოში.

თუმცა სექტემბერში რუსეთმა სირიელ მებრძოლებზე ავიაიერიში მიიტანა, რასაც თურქეთის მხრიდან პროტესტი მოჰყვა, რადგან სირია ყოველთვის მისი უშუალო ინტერესების სფეროში იმყოფება.

– ოცნება თავისუფალ ვაჭრობაზე – „რუსეთსა და თურქეთს შორის კარგი სავაჭრო ურთიერთობები იყო და გაუარესების მიზეზები არ არსებობდა“, – ამბობს ექსპერტი ნატალია ვოლჩკოვა. მარტში თურქეთის ეკონომიკის მინისტრის მოადგილე ადნან ილდირიმი ამბობდა, რომ ორ ქვეყანას შორის თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის შემოღების საკითხი იდგა. ერთი თვის წინ კი რუსეთის ეკონომიკური განვითარების მინისტრი ალექსეი ულუკაევი აცხადებდა, რომ რუსეთი და თურქეთი მომსახურებისა და ინვესტიციების სფეროებში თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის შესახებ ხელშეკრულებას ამზადებენ. 2009 წლიდან რუსეთსა და თურქეთს შორის „გამარტივებული საბაჟო დერეფნის“ რეჟიმი მოქმედებდა – თურქული კომპანიები რუსეთის საბაჟო-გამშვებ პუნქტებზე პრიორიტეტულ მდგომარეობაში იყვნენ. რუსეთი თურქეთში ძირითადად ბუნებრივი რესურსების ექსპორტს ეწეოდა. თურქეთი კი რუსეთში მასობრივი მოხმარების საქონელს ყიდდა.

საბაჟო სტატისტიკის თანახმად, რუსეთის ექსპორტის თითქმის ნახევარი თურქეთში საიდუმლო კოდით გადის. 2015 წლის 9 თვის განმავლობაში გასაიდუმლოებული მუხლებით თურქეთში 6,06 მლრდ. დოლარის ღირებულების საქონელი გავიდა. სავარაუდოდ, ესაა სამხედრო პროდუქცია და „გაზპრომის“ მიწოდებული მილსადენის გაზი (ბუნებრივი აირი საბაჟო სტატისტიკაში ღია კოდებით არ გადის).

შემდეგ მოდის მინერალური პროდუქტები (მათ შორისაა ნავთობი და ნავთობპროდუქტები, ნახშირი, მადანი და რკინის კონცენტრატები) და არაძვირფასი ლითონები (ალუმინი, შავი ლითონების ჯართი, სპილენძი). თურქეთს, თავის მხრივ, რუსეთში მცენარეული წარმოშობის პროდუქცია (779,3 მილიონი აშშ დოლარი 2015 წლის ცხრა თვის მონაცემებით), ტექსტილი (514 მილიონი აშშ დოლარი) და სხვადასხვა მოწყობილობა (496 მილიონი აშშ დოლარი) შეჰქონდა. ნატალია ვოლჩკოვა ამბობს, რომ თურქეთი ევრაზიის ეკონომიკურ კავშირში შესვლის ბუნებრივი კანდიდატი იყო.

– ენერგეტიკა დომინირებს – რუსეთსა და თურქეთს ტრადიციულად ენერგეტიკული ინტერესები აკავშირებთ. თურქეთი „გაზპრომისთვის“ გერმანიის შემდეგ მეორე ბაზარი იყო. 2014 წელს რუსეთმა თურქეთში 27,3 მილიარდი კუბური მეტრი გაზის ექსპორტი განახორციელა, რაც თურქეთის მოხმარებული ბუნებრივი აირის 60 პროცენტს წარმოადგენს. თურქეთის საწვავის ბიზნესში „ლუკოილს“ მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. კომპანიას ამ ქვეყანაში 600 ავტოგასამართი სადგური აქვს, რაც ბაზრის 7 პროცენტს შეადგენს. თურქეთში რუსულ ენერგეტიკულ კომპანიებსაც მსხვილი ინვესტიციები აქვთ.

– აუნაზღაურებელი დანაკარგი – საქონელბრუნვისგან განსხვავებით, მომსახურებით ვაჭრობის სფეროში, თურქეთს გაცილებით დიდი უპირატესობა აქვს – პირველ რიგში, მილიონობით რუსი ტურისტის ხარჯზე. რუსებისთვის თურქეთი მასობრივი ტურიზმის მთავარი მიმართულებაა. მიმდინარე წლის პირველი ცხრა თვის განმავლობაში თურქეთში 3,3 მლნ რუსი ტურისტი იმყოფებოდა.

– „სბერბანკიდან“ დერიპასკამდე – თურქეთი არა მხოლოდ „გაზპრომისა“ და ტუროპერატორებისთვისაა მნიშვნელოვანი მიმართულება – „სბერბანკმა“ 2012 წელს თურქული „დენიზბანკის“ აქციების 100% შეიძინა. ამჟამად „დენიზბანკი“ თურქეთის უმსხვილესი ბანკების ათეულში შედის და საცალო ბაზარზე ლიდერობს – ბანკი 5,4 მლნ კლიენტს ემსახურება. თურქეთში მას 599 ფილიალი აქვს, ქვეყნის ფარგლებს გარეთ კი – 75. მიმდინარე წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით, მისმა აქტივებმა 40 მლრდ დოლარი შეადგინა, კაპიტალმა კი – 3 მლრდ დოლარი. 2011 წლიდან თურქეთში კომპანია „იანდექსი“ მოქმედებს. ეს პირველი ბაზარია დსთ-ს ქვეყნებს გარეთ, სადაც კომპანიამ გადაწყვიტა გასვლა. მიმდინარე წლის ზაფხულში „იანდექსმა“ თურქულ საფეხბურთო კლუბ „ფენერბახჩესთან“ სასპონსორო კონტრაქტი დადო. თურქეთის სატელეკომუნიკაციო ბაზარზე „ალფა-გრუპის“ ყოფილი სტრუქტურაა წარმოდგენილი. ის უმსხვილესი თურქული ოპერატორი Turkcell-ის აქციების 13,22%-ს ფლობს.

– სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობა – რუსეთის გენერალური შტაბის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ თურქეთთან სამხედრო კონტრაქტები გაუქმდება. კონფლიქტის ესკალაციამდე რუსეთს თურქეთში ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსები „კორნეტ ე“, ვერტმფრენები „მი-17“ და ჯავშანტრანსპორტიორები შეჰქონდა. (commersant.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ИЗВЕСТИЯ: ერდოღანის ვაჟი და ISIS-ის ლიდერები



LifeNews-ის ინფორმაციით, თურქეთის მიერ რუსულ სამხედრო თვითმფრინავზე იერიშის ნამდვილი მიზეზი შესაძლოა, ტერორისტების მიერ თურქეთისთვის მიწოდებული იაფი ნავთობი იყოს.

რუსული გამოცემის მტკიცებით, თურქეთის პრეზიდენტის ვაჟი კავშირშია „ისლამურ სახელმწიფოსთან“ და ქვეყანაში ნავთობის შემოსვლას აკონტროლებს, ამიტომაც რუსული ავიაციის მიერ ნავთობის წერტილებზე დარტყმის მიყენება თურქეთის ხელისუფლებისთვის ბოლო წვეთი გახდა.

თურქეთის ხელისუფლების „ისლამურ სახელმწიფოსთან“ კავშირზე მუდმივად საუბრობს ზოგიერთი ექსპერტი, მედიაში კი გავრცელდა ფოტოები, სადაც ქვეყნის ლიდერის მემკვიდრე „ისლამური სახელმწიფოს“ ლიდერებთან ერთად პოზირებს.

– თურქეთი აპირებს ხელი შეუშალოს რუსეთის ავიადარტყმებს სირიაში, საიდანაც ტერორისტებს იაფი ნავთობი შეაქვთ, რუსული თვითმფრინავები კი ბომბავენ ნავთობმზიდებს, – აცხადებს სამხედრო ექსპერტი, სტრატეგიული კონიუნქტურის ცენტრის დირექტორი ივან კონოვალოვი.

რუსეთი იერიშებს აწარმოებს ტერორისტების ნავთობის საბადოებზე. ორი დღის განმავლობაში რუსულმა ავიაციამ გაანადგურა ნავთობის შესანახი, ასევე, გადამამუშავებელი ქარხანა და ბენზინის გადამზიდი სატვირთოები. (postalioni.com)

**კონკრეტულად ვინ არიან თურქეთის პრეზიდენტის ვაჟთან ფოტოზე აღბეჭდილი ადამიანები, რუსული გამოცემა არ აზუსტებს. ამდენად, სრული უფლება გვაქვს, ვიფიქროთ, რომ მართალია, ინციდენტის შემდეგ ორ ქვეყანას შორის საომარო მოქმედებები არ დაწყებულა, მაგრამ საინფორმაციო ომი ნამდვილად სახეზე გვაქვს. ვფიქრობთ, სამომავლოდ რუსეთიცა და თურქეთიც ერთმანეთს კიდევ არაერთ მსგავს „მტკიცებულებას“ წარუდგენს...**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## და სხვა რამე რომ შემოგთავაზოთ, ვოლფოვიჩ?!



– თურქეთის საკითხი უნდა გადაწყდეს და ეს უნდა გავაკეთოთ სხვისი ხელით. სომხები ვერ იტანენ თურქებს და ჩვენ რომ მათთვის მიგვეცა ნება, გაათავისუფლონ დასავლეთი ტერიტორიები, ისინი ამას დიდი სიამოვნებით იზამდნენ. სომხები ამას ჯერ კიდევ 1919 წელს იზამდნენ, მაგრამ მაშინ მოსკოვი მათ არ მიეხმარა, ის გადავიდა თურქეთის მხარეს, – აცხადებს რუსეთის ლიბერალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე. ვლადიმერ ჟირინოვსკი „დიდი სომხეთის“ შექმნის იდეით გამოდის და მხარს უჭერს დამოუკიდებელი ქურთისტანის ჩამოყალიბებას.

– ქურთები ელოდებიან ჩვენს დახმარებას და თუ ვეტყვით, რომ ვაღიარებთ მათ დამოუკიდებლობას, მათი რაოდენობა 20 მილიონს აღწევს, დედაქალაქი კი უკვე ცნობილია – დიარბექირი. ასეთ შემთხვევაში აღმოსავლეთ ანატოლია არსებობას შეწყვეტს. შედეგად კი მივიღებთ დამოუკიდებელ ქურთისტანსა და დიდ სომხეთს, – აცხადებს რუსეთის დუმის ვიცე-სპიკერი. (პირველი რადიო)

## ლარის სიმბოლო Microsoft-ის ოპერაციულ სისტემებში გამოჩნდა




ქართული ეროვნული ვალუტის – ლარის სიმბოლოს გამოყენება Microsoft-ის სისტემაში უკვე შესაძლებელია. უნიკოდში რეგისტრაციიდან რამდენიმე თვის შემდეგ ლარის სიმბოლო Microsoft-ის ოპერაციულ სისტემებში გამოჩნდა.

საქართველოს ეროვნული ბანკის ინფორმაციით, Microsoft-ის საქართველოს ოფისის აქტიური მხარდაჭერის შედეგად ლარის სიმბოლოს გამოყენება უკვე შესაძლებელია როგორც Microsoft Windows 7, ასევე, 8 და 10 ვერსიაში. (bpn.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ახლა ცოტა გაიღიმეთ...



„ფეისბუკ“-მომხმარებელი აკა სინჯიკაშვილი წერს:

„წუხელ ღუდუშაურის ექიმებმა სიკვდილს გადამარჩინეს და ძალიან დიდი მადლობა, მაგრამ მათი მთელ ღამეში ერთმანეთთან გადაძახილები მაინც უნდა დავდო:

– წამლის ფულს არ გადავიხდიო და არყის ფული ხო ჰქონდა...
– ქალბატონო, დაორსულება როგორ ვერ გაიგეთ, მარტო იყავით?
– არ ჩამიფსია-თქო, გითხარი, ექიმო, და თუ გინდა, მისვით მაინც ხელი.
– მაგას რო გახადეს, მე სანახავი ვნახე, ღმერთიც ველარ გამაკვირვებს სასწაულით.
– რომელი ხელიც არ აქვს, იქიდან დაუდექი და ველარ მოგიფათურებს.
– ექიმო, არ მოვკვდე, თორემ დედას მოგიტ***ავთ!
– რა ლამაზი გოგოა და რა ჭამა ამდენი, სამჯერ ქნა ერთ საათში.
– გინეკოლოგი არ მოსულა, ქალბატონო, და მე არ მინდა, ნანახი მაქვს.
– შემიშვით, ბიჭოო, ჩემი ოცლარიანი აქვს ჯიბეში!
– ამ საწოლზე ვინმე ხომ არ მომკვდარა?
– შანსი არ არის, ღამე პაციენტი მოიყვანონ და დაბანილი იყოს, რა, წამწიწკნა ცხვირი ამ უპატრონომ“. (ფეისბუკი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი...

## „სითი პარკი“ გარდაცვლილ დედაზე მიმტკიცებდა, ჯარიმას მოაწერა ხელიო და ქონება დამიყადაღეს“ — ნუთუ არ წითლდება და არ რცხვენია ნარმანიას?!




„სითი პარკის“ მიერ დაჯარიმებული ადამიანების პრობლემები არ ილევა – გივი გოგოლაძე ერთ-ერთი მათგანია, რომელიც აცხადებს, რომ კომპანიამ ჯარიმა გაყალბებული ხელმოწერის საფუძველზე გამოუწერა, რასაც მისი საბანკო ანგარიშების დაყადაღებაც მოჰყვა.

– მოგეხსენებათ, დღეს ხალხს პრობლემები არ ელევა. მე რაიონში ვიყავი წასული. ახალციხეში მაქვს მშობლიური სოფელი, თან მამაჩემი მოხუცებული კაცია და შეუძლოდ გახლდათ. შუა ზაფხული იყო და ტელეფონზე მომივიდა შეტყობინება, რომ ჩემი ანგარიშები ეროვნული აღსრულების ბიურომ დააყადაღა. გაოცებული დავრჩი. სასწრაფოდ ავედი ახალციხის რაიონულ ცენტრში და მითხრეს, რომ ბანკში გავიგებდი ინფორმაციას. შემდეგ მოიძიეს ჩემზე ინფორმაცია და მითხრეს, რომ მქონდა „სითი პარკის“ ჯარიმა და ამასთან დაკავშირებით ედო ჩემს ანგარიშებს ყადაღა. შემდეგ დავუკავშირდი ეროვნული აღსრულების ბიუროს წარმომადგენელს და გამოვკითხე, როგორ წარმოიშვა ეს პრობლემა. მე ინფორმირებული არ ვიყავი არაფერზე. პირდაპირ ყადაღა, დაჯარიმება როგორ შეიძლებოდა მომხდარიყო? არც მე და არც ჩემი ოჯახის წევრებს არაფერზე ხელი არ მოგვიწერია და მაინტერესებდა, ვის ჩაბარდა ეს ჯარიმა. იცით, რა მიპასუხეს? ხელი დედათქვენმა მოაწერაო, ვიღაც თინათინ საჯაიამ, რომელმაც ჩაიბარა ჯარიმა. საერთოდ არ მქონდა წარმოდგენა, ვინ იყო ეს თინათინ საჯაია.

**— თვითონ რა გიპასუხეს, როდესაც უთხარით, რომ თინათინ საჯაია არ იყო დედათქვენი?**

– არაფერი, საერთოდ ვერაფერი მიპასუხეს. უბრალოდ, მისმენდნენ. რა თქმა უნდა, ყველა მიხვდა, რომ ასეთი აბსურდის დაშვება წარმოუდგენელი იყო. დედაჩემი 1988 წელს დაიღუპა. რად უნდოდა ამას გამოძიება. შემდეგ ეს გადაამოწმეს. აღმოჩნდა, რომ ეს საჯაია სადღაც სამეგრელოში ცხოვრობს. მისი მონაცემებით როგორ ააწყვეს ეს საქმე, დღემდე ვერ ვხვდები.

სასწრაფოდ დავტოვე ყველაფერი და ჩავედი თბილისში. მივაკითხე „სითი პარკს“ და გავაცანი საქმის ვითარება. არანაირი რეაგირება არ მოახდინეს, პირიქით, კიდევ აქეთ მედავებოდნენ. 40 დღე მოვუნდი, ისიც დაჩქარებული წესით, რომ გამერკვია ყველაფერი.

ამ დროის განმავლობაში მოსავალი გამიფუჭდა. მე ეს ყველაფერი დაწერილი მაქვს, მივწერე, რომ მათ გამო ყველაფერი ჩამივარდა და გამიფუჭდა. ასეთი გაყალბება მე არასდროს მინახავს. კეთილი ინებონ და აანაზღაურონ ჩემი ზარალი.

**— პირველად „სითი პარკს“ მიმართეთ თქვენი პრობლემის მოსაგვარებლად?**

– კი, „სითი პარკს“ მივმართე, რომ მეორე დღესვე თავად მოეგვარებინა ეს პრობლემა, მაგრამ რატომღაც ამ ყველაფერს ორმოცი დღე მოანდომეს. თავხედები არიან. ვერაფერი ამიხსნეს. ვერ მითხრეს, რა საფუძველი არსებობდა იმისთვის, რომ ამდენი ჯარიმა გამომიწერეს. უსწავლელები არიან. ყველამ ერთად უნდა გავარკვიოთ, რისთვის შეიქმნა საერთოდ ეს სამსახური?! ყველაფერი, რაც ჩემს საქმეს შეეხებოდა, ფაბრიკაცია იყო. საშინელ მდგომარეობაში ჩამაგდეს. ვიღაც პიროვნება გასაღებული იყო დედაჩემად, ვიღაც თინათინ საჯაია. თურმე, მან ჩაიბარა ეს ჯარიმები და ამის საფუძველზე ააწყვეს მთელი საქმე.

ამის შემდეგ მივმართე მერიას. მათ გააუქმეს „სითი პარკის“ ყველა ჯარიმა-დადგენილება. მაგრამ მაინც ძალიან დიდი ზარალი ვნახე. (იპრესს.გე)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ალეკო ელისაშვილი პროკურატურაში დაიბარეს



საკრებულოს დამოუკიდებელი დეპუტატი ალექსანდრე ელისაშვილი მისი მისამართით განხორციელებული თვალთვალის შესახებ გაკეთებული განცხადებების გამო პროკურატურაში დაიბარეს. ამის შესახებ სოციალურ ქსელში თავად ალეკო ელისაშვილი წერს:

– მუშაობს ჩვენი პროკურატურა – თვალთვალისა და მოსმენის შესახებ ჩემს სტატუსსა და კომენტარზე ხვალ (26 ნოემბერს. – რედ.), 2 საათზე დამიბარეს მთავარ პროკურატურაში. დეტალებს მათ მოვახსენებ. მადლობა სწრაფი რეაგირებისთვის, – წერს ალექსანდრე ელისაშვილი. (ნიუპოსტი)

## რუსეთმა უკრაინას გაზის მიწოდება შეუწყვიტა



„გაზპრომის“ ხელმძღვანელ ალექსი მილერის განცხადებით, უკრაინამ რუსული გაზის შესყიდვა შეწყვიტა. როგორც ალექსი მილერმა აღნიშნა, 25 ნოემბრის 10:00 საათის მონაცემებით, „უკრაინის ნავთოგაზმა“ წინასწარ გადახდილი მოცულობის საჭირო რაოდენობა მიიღო, ხოლო რაც შეეხება ახალ, წინსწრებით გადახდას, ის არ განხორციელებულა და „გაზპრომში“ არც განცხადება შესულა.

„გაზპრომის“ ხელმძღვანელი ვარაუდობს, რომ რუსეთის გაზზე უარის თქმა სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის უკრაინის გავლით გაზის ევროპულ ტრანზიტს და უკრაინელ მომხმარებლებს.

„უკრაინის ნავთოგაზის“ ხელმძღვანელ ანდრეი კობოლევის განცხადებით, უკრაინა შეძლებს, რომ მიმდინარე და მომდევნო სეზონები გადაიტანოს.

შეგახსენებთ, რომ ბრიუსელის სამმხრივი მოლაპარაკებების მიხედვით, უკრაინამ რუსული გაზის შესყიდვა 31 ოქტომბერს შეწყვიტა, რის შედეგადაც 1-ლი ნოემბრიდან რუსული გაზის იმპორტი 10-ჯერ შემცირდა. (pia.ge)

# „თიბისი ბანკის“ მხარდაჭერით ახალი ფარმაცევტული საწარმო გაიხსნა

25 ნოემბერს თბილისში მაღალტექნოლოგიური ფარმაცევტული საწარმო ＩNNOVAS გაიხსნა. საწარმოს გახსნას ესწრებოდნენ საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი, ასევე, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი დავით სერგეენკო და „თიბისი ბანკის“ გენერალური დირექტორი ვახტანგ ბუცხრიკიძე.



ახალი საწარმო „თიბისი ბანკმა“ სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში 2 მილიონი აშშ დოლარის რესურსით დააფინანსა.

აღსანიშნავია, რომ ქარხანა პირველია ბაზარზე, რომელიც ქართული ფლორის სამკურნალო პოტენციალს გამოიყენებს და ფარმაცევტული პროდუქციის წარმოების სრულ ციკლს – მოპოვებას, გადამუშავებას, წარმოებასა და ექსპორტს განახორციელებს.

– დღეს ქართული ფარმაცევტული საწარმო გავხსენით, რომელიც რეგიონში პირველი კონტრაქტული მწარმოებელი იქნება. საწარმოში თანამედროვე სტანდარტებით აქტიურ ფარმაცევტულ ინგრედიენტებს დაამზადებენ. მოგეხსენებათ, აქტიურ ფარმაცევტულ ინგრედიენტებს საკმაოდ დიდი წილი უჭირავს პრეპარატების ფასწარმოქმნაში, შესაბამისად, საწარმო პრეპარატების გაიაფებას აუცილებლად ხელს შეუწყობს. საწარმოში ინვესტირებულია 9 მილიონ დოლარამდე, აქედან 2 მილიონი დოლარი „თიბისი ბანკმა“ გამოყო სესხის სახით. ჩვენ ვსარგებლობთ პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ მხარდაჭერით, – განაცხადა საწარმოს დირექტორმა, **დავით ებრალიძემ.**

უნდა აღინიშნოს, რომ ＩNNOVAS წარმოების მაღალი სტანდარტით, ინოვაციურობითა და წარმოებული პროდუქციის მრავალფეროვნებით გამოირჩევა. აღსანიშნავია ისიც, რომ მრავალპროფილური ფარმაცევტული საწარმო ადგილობრივ მომხმარებლებს მედიკამენტებზე წვდომას საგრძნობლად გაუადვილებს და ამასთანავე, ბაზარზე მრავალ სიახლეს დანერგავს. წარმოებული პროდუქციის 90 პროცენტი საექსპორტოა.

საწარმოს მესვეურთა განმარტებით, 40-მდე სახეობის მცენარის გადამუშავებით 60-მდე სახის აქტიური სუბსტანცია მიიღება, რომელიც ფარმაციაში, პარფიუმერიასა და ჰიგიენური საშუალებების წარმოებაში ფართოდ გამოიყენება. კომპანია ＩNNOVAS პირველი კონტრაქტული მწარმოებელია რეგიონში, რომელიც თანამედროვე სტანდარტებით აქტიურ ფარმაცევტულ ინგრედიენტებსა და სამკურნალო მცენარეებისგან ნატურალურ ექსტრაქტებს დაამზადებს.

**ირაკლი ღარიბაშვილი, საქართველოს პრემიერ-მინისტრი:**

– ეს პროექტი სახელმწიფოსა და კერძო სექტორის მუშაობის თვალსაჩინო მაგალითია. ეს არის კიდევ ერთი ქართული საწარმო, რომელიც 100 პროცენტით გადაამუშავებს ქართულ ნედლეულს. ჩვენ გასულ წელს დავიწყეთ პროგრამა „აწარმოე საქართველოში“, რომელიც წარმატებით ხორციელდება. ამ საწარმოში დაახლოებით 9 მილიონ ლარამდეა ინვესტირებული. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ადამიანები დაბრუნდნენ საქართველოში და აქ დაიწყეს ბიზნესის კეთება, ეს იმედის მომცემია. მადლობა მინდა გადავუხადო პროექტის ხელმძღვანელებს ამ მნიშვნელოვანი საქმის წამოწყებისთვის, ეკონომიკის სამინისტროს, რომ დაეხმარა ამ კომპანიას და „თიბისი ბანკს“, რომელიც პროექტის დამფინანსებელია.

კომპანია საგვარეულო სამკურნალო რეცეპტების მოძიებას, მათი თანამედროვე სტანდარტების დაცვით დამუშავებასა და კანონმდებლობის შესაბამისად მათ სერიულ წარმოებას გეგმავს. ＩNNOVAS rეგიონში პირველ ფარმაცევტული საწარმო იქნება, რომელიც „კონტრაქტული წარმოების“ პრინციპით იმუშავებს, რაც იმას ნიშნავს, რომ დამკვეთს შესაძლებლობა ექნება ნებისმიერი ქვეყნიდან შესაბამისი პროდუქტი თავისი ტექნოლოგიით, შეფუთვით და ა.შ. შეუკვეთოს. ამასთანავე, საწარმოში ანალიზის უახლესი მეთოდები უკვე დანერგილია. შესაბამისი ლაბორატორიული აღჭურვილობა და კვალიფიციური პერსონალი კომპანიას საშუალებას აძლევს ხარისხის კონტროლის თანამედროვე სისტემა აამოქმედოს.

**ვახტანგ ბუცხრიკიძე, „თიბისი ბანკის“ გენერალური დირექტორი:**

– „თიბისი ბანკისთვის“ ძალიან მნიშვნელოვანია ასეთ უნიკალურ პროექტში მონაწილეობა. აქ არის როგორც მოპოვება, გადამუშავება, წარმოება, ისე ექსპორტი. საწარმოში თანამედროვე ტექნოლოგიებია გამოყენებული და ვფიქრობ, საქართველოს მომავალი სწორედ ასეთ წარმოებაში გამოიხატება. მოხარული ვართ ასეთი წარმოების დაფინანსებაში მონაწილეობით. დღეს „თიბისი ბანკს“ პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში 26 მილიონ ლარზე მეტი ფინანსირება აქვს გამოყოფილი.

აქვე იმასაც შეგახსენებთ, რომ პროექტის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში „თიბისი ბანკს“ დაფინანსებული აქვს ისეთი დარგები, როგორებიცაა ჯანდაცვა, წარმოება, მშენებლობა, მომსახურება და ბუნებრივი რესურსები.

წარმოების პროცესებში მუდმივად 100-მდე სპეციალისტი, ხოლო სეზონურად 2000-მდე ადამიანი დასაქმდება. წარმოების შედეგად ნარჩენი წყლები ინოვაციური ტექნოლოგიებით გადამუშავდება, რომელიც ქართველმა და ლიტველმა სპეციალისტებმა შეიმუშავეს. ნარჩენი წყლების გაწმენდისას 100 პროცენტით ბიომეთოდი გამოიყენება.

„პროექტი რამდენიმე მიმართულებით არის მნიშვნელოვანი, პირველი, რომ პროექტი „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში განხორციელდა, რაც ნიშნავს სახელმწიფოსთან პარტნიორობას, მეორე, რომ ამ საწარმოს ერთ-ერთი მთავარი პროფილი ხალხური მედიცინა იქნება. ის უდიდესი რესურსი, რაც სამკურნალო მცენარეების წარმოებაშია – მათი მეცნიერული კვლევა და აქტიური სუბსტანციების გამოყოფა მცენარეული პრეპარატებიდან და ასევე, ახალი ბიოქიმიური აქტიური სუბსტანციების ადგილზე წარმოება, მედიკამენტების ფასის შემცირებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორი იქნება, – აღნიშნა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა, დავით სერგეენკომ.

**დარინა ქამადაძე**

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61



„ადვოკატთა ასოციაციის“ თავმჯდომარე, ზაზა ხატიაშვილი ბიძინა ივანიშვილს ღია წერილით მიმართავს, რომელშიც ქვეყნის ფაქტობრივ მმართველად და დიდ ფეოდალად იხსენიებს. ხატიაშვილი ივანიშვილს მოუწოდებს, დაბლოკოს სასამართლოში მოწმის დაკითხვასთან დაკავშირებით იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებული ცვლილებების პროექტი:

**„ორი წლის წინათ მოწმის მხოლოდ სასამართლოში დაკითხვის საკანონმდებლო ნორმის ამოქმედება ორი წლით თქვენმა მორჩილმა მთავრობამ და პარლამენტმა გადადო. თქვენ აცხადებდით: მზად არ ვართ, ორი წელი გვჭირდება, ასეთი წესი არსად არ არისო და ა.შ... გიორგი მარგველაშვილი საბოლოოდ მოიძულეთ მხოლოდ იმიტომ, რომ გაბედა და გირჩიათ, არ შეიძლებოდა მოწმის მხოლოდ სასამართლოზე დაკითხვის წესის გადავადება. გაგახსენებთ ერთ ფაქტს, როდესაც მერაბიშვილის მინისტრობის დროს, ხაშურის პოლიციაში წამებით მოკლეს მოწმედ მიყვანილი ქიმერიძე, გვპირდებოდით, მე რომ მოვალ, ეს დასრულდებაო“.**

პრინციპში, ბიძინა ივანიშვილმა პირობა შეასრულა, 2015 წლის 31 დეკემბრიდან ნებისმიერი საქმის ნებისმიერი მოწმე დაიკითხება მხოლოდ სასამართლოში, მაგრამ „ალიასთან“ საუბარში ზაზა ხატიაშვილი აცხადებს, რომ ყოფილი პრემიერ-მინისტრი კვლავ გვატყუებს: „თქვენი მითითებით, იუსტიციის სამინისტრომ შეიმუშავა კანონპროექტი, რომელიც წარმოადგენს ფასადურ ცვლილებას, რომელიც აუარესებს მოწმის სტატუსს და აკანონებს ძალადობას“.

კონკრეტულად რაში გამოიხატება ძალადობის დაკანონება და რატომ მიმართავს დაჟინებით „ადვოკატთა ასოციაციის“ თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილს, როცა, როგორც თავად აცხადებს, საერთოდ აღარ ერევა მთავრობის საქმიანობაში?

**ამაზე ხატიაშვილი ასეთ პასუხებს იძლევა:**

**— ზაზა, იქნებ ამ შემთხვევაში ადრესატი კონკრეტულად მთავრობა უნდა იყოს და არა ბიძინა ივანიშვილი?**

– როდესაც ივანიშვილი ოპოზიციას ჩაუდგა სათავეში და მოდიოდა ხელისუფლებაში, მაშინ აცრემლებული ამბობდა, როგორც კი მოვალ, პოლიციაში მოწმეების დაკითხვა აღარ იქნებაო. ირაკლი ღარიბაშვილი ამას არ დაგვპირებია და ვერც მოვთხოვ. ვინაიდან ივანიშვილმა აიღო ჩვენს წინაშე ვალდებულება, ამიტომ დავუჯერეთ... ვისაც არ აუღია ვალდებულება, იმას რანაირად მოვთხოვო?

**— ეს გასაგებია... გადავადებული მუხლი დეკემბრის ბოლოს შედის ძალაში, კიდევ რატომ ხარ უკმაყოფილო?**

– იმიტომ, რომ იუსტიციის სამინისტრომ მოიგონა ახალი ბლეფი, გადავადებულ მუხლს უმატებენ ახალ ცვლილებებს, წინასწარი გამოძიება იტოვებს უფლებას, მოწმე დაკითხოს წინასწარი გამოძიების პროცესში, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მოწმეს შეუძლია, მისცეს მნიშვნელოვანი ინფორმაცია. ამას არქმევენ არა დაკითხვას, არამედ გამოკითხვას. ცვლილებების თანახმად, დაკითხვის შუამდგომლობის დაყენების უფლება ენიჭება მხოლოდ პროკურორს, ამ უფლებას ადვოკატს ართმევენ. ადამიანი რომ მივა და იტყვის, ჩვენებას არ მოგცემთო, წარმოგიდგენია, რას უზამენ? ამათ ვალდებულება არ შეასრულეს, არ გადაამზადეს სამართალდამცავი სტრუქტურები და უნდათ, ფეოდალური რქებით გაიტანონ ყველაფერი. თავიდანვე რომ ეთქვათ, ამას ვერ გავაკეთებთო, მაშინ ხალხი სხვას მოძებნიდა. როგორც გერმანელები, ან იტალიელები აკეთებენ, ჩვენც რომ მივიდეთ და პირდაპირ სასამართლოში მივცეთ ჩვენება, პოლიციაში რომ არ მიგვიყვანონ და დენი არ გაგვიტარონ, ხომ შეიძლება, ეს წესი აქაც დავნერგოთ? ორი წლის წინათ მე დავიწყე ამაზე ლაპარაკი, იუსტიციის მინისტრი გამობრძანდა ტელევიზიით და თქვა, დრო იმისთვის გვჭირდება, სამართალდამცავი სტრუქტურები მზად არ არიანო.

**— კულუარებში ასევე ლაპარაკობდნენ, რომ ამდენი საქმეა გამოსაძიებელი და ცოტა ადრეაო.**

– დიახ, სწორედ ასე ლაპარაკობდნენ კულუარებში. ევროპის ადამიანის უფლებათა კომისარმა, ნილს მუიჟნიეკსმა თქვა, დავით უსუფაშვილს რომ ვესაუბრე, მან მითხრა, ორი წელი გადასამზადებლად გვჭირდებაო. პარლამენტის თავმჯდომარემ ასე თქვა, წულუკიანმა ისე თქვა, ივანიშვილი დაგვპირდა, ორი წელი რომ გავიდა, ყველაფერი დაავიწყდათ და ახლა შეაქვთ ძალმომრეობითი ცვლილებები. მანახვონ ერთი, ვინ მოამზადეს, რა სტრუქტურები შეცვალეს? კი, გამოძიების მიერ გამოკითხვა ნებაყოფლობითია, მაგრამ მოწმეს აფრთხილებენ, ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენება არ მისცეო. დღევანდელი კანონის მიხედვით, მოწმეს წინასწარ გაფრთხილება არ ეძლევა, ეს ცნება ახლა შემოდის.

**— თუ მოწმეს უფლება აქვს, გამოძიებას ჩვენება არ მისცეს, მაშინ ნუ მისცემს საერთოდ და წავიდეს სასამართლოში, აქ რა პრობლემაა, შენ ფიქრობ, რომ მას მაინც აწამებენ?**

– ყველას „ნებაყოფლობით“ მიაცემინებენ ჩვენებას, დაბერტყავენ, ამ გამოკითხვას ადვოკატი არ ესწრება.

**— აი, ადვოკატი რომ არ ესწრება, ეს ცუდია. ყველაფერს ივანიშვილს რომ სთხოვ, დავიჯერო, ასეთ ნიუანსებში ერკვევა?**

– ერკვევა... როდესაც ამ თემაზე დებატები დაიწყო, მარგველაშვილზე თქვა, მაგან რა იცის, მოწმის დაკითხვის წესი წაკითხულიც კი არ აქვსო, ერთხელ წაიკითხოს, ასე არ შეიძლებაო. ტელევიზიით გამოსვლების დროს ამ საკითხს ხშირად ეხებოდა, ამისთვის ჯერ მზად არ ვართო. დაარქვეს გამოკითხვა, მაგრამ დაკითხვის ყველა ელემენტი შედის. მე და შენ არ უნდა ვიყოთ კარგ პოლიციელზე დამოკიდებული, მის ხასიათზე, ჩვენ უნდა გვიცავდეს კანონი. შეიძლება პოლიციელი იყოს ცუდი, მაგრამ კანონი გვქონდეს ისეთი, ვერავინ შეგვეხოს. პოლიციის ყველა შენობაში დაკითხვისა თუ გამოკითხვის დროს უნდა მუშაობდეს ვიდეოკამერები. ამ ცვლილებებით პოლიციას ეძლევა უფლება, უფრო მეტი უბედურება ჩაიდინოს, ვიდრე აქამდე სჩადიოდა.

**— ალბათ, პარლამენტში განხილვები რომ დაიწყება, მაშინ იაქტიურებთ, ხომ?**

– რა თქმა უნდა, მომავალ კვირაში დაიწყება და საპროტესტო აქციებიც რომ გახდეს საჭირო, არც ამაზე დავიხევ უკან, მე პირადად ყველაფერს ვაპირებ. ვერ გავიგე, რატომ აკეთებენ ამას, ყველა პარლამენტარის ფოტოს გამოვაქვეყნებ, ვინც ამას მხარს დაუჭერს, იმაზე მაინც იფიქრონ, რომ არჩევნები მოდის.

**— ამათ რაღა უშველის... ახალი პროკურორის, შოთაძის შესახებ რას მეტყვი, პრეტენზიები მასთანაც გაქვს?**

– თქვენ „ალიაში“ ერთი წლის წინათ გეწერათ, რომ მთავარი პროკურორი ირაკლი შოთაძე გახდებოდა. პროკურორად ვინც არ უნდა დანიშნონ, ის მაინც იქნება მთავრობის ნების აღმსრულებელი. ჯერ ერთი, საპროკურორო საბჭოა ხელისუფლებისგან კონტროლირებადი, რადგან მას ხელმძღვანელობს იუსტიციის მინისტრი და მეორეც – იგივე მინისტრი არის მთავრობის შემადგენლობაში. ამ შემთხვევაში რა უნდა გააკეთოს მთავარმა პროკურორმა დამოუკიდებლად? ვერაფერს ვერ გააკეთებს. შეიძლება მთავარი პროკურატურა ცალკე არ გაიყვანო, მაგრამ ის მთლიანად ანგარიშვალდებული უნდა იყოს პარლამენტის წინაშე. კანდიდატურები უნდა წარედგინათ პარლამენტისთვის და იქ მომხდარიყო შეჯერება, ახლა იუსტიციის მინისტრი წარადგენს კანდიდატურას.

**— ფაქტობრივად, ბოლოს მაინც პარლამენტი ამტკიცებს.**

– ამტკიცებს, მაგრამ წარადგინეს ერთი კანდიდატი. საპროკურორო საბჭოში, 15-დან 8 წევრი პროკურორია, პლუს 2 არის იუსტიციის საბჭოდან ლევან მურუსიძის მიერ დანიშნული. ამ საბჭოშიც რა ხალხია, თქვენ უკვე ამაზეც წერდით. ჩემი ინფორმაციით, რამდენიმე თვეში მურუსიძეს უვადოდ ნიშნავენ სააპელაციო სასამართლოში. დღევანდელი ხელისუფლება დაეყრდნო სააკაშვილის რეჟიმს და ეს ძალიან ცუდია.

**— ზაზა, ერთი საკითხი დავაზუსტოთ: მურუსიძე დარჩება იუსტიციის საბჭოს მდივნადაც და სააპელაციო სასამართლოში იქნება რიგითი მოსამართლეც?**

– იუსტიციის საბჭოს მდივანი არჩეულია მისი სამოსამართლეო ვადით, მურუსიძეს ვადა გასდის მომავალი წლის მარტში და ამიტომაც ხდება მისი გადანიშვნა სააპელაციო სასამართლოში მუდმივად. ბუნებრივია, სააპელაციოში ის იქნება გავლენიანი ფიგურა, რადგან იქნება იუსტიციის საბჭოს მდივანიც.

**— რატომ აკეთებენ ამას, სასამართლოში არ არის ისეთი ხალხი, საეჭვო წარსული რომ არ ჰქონდეს?**

– წესიერი ხალხის მეტი რა არის? მაგალითად, ნათია წკეპლაძე სააკაშვილმა ვერ გაატარა თავის ჭკუაზე და სასამართლოდან წამოვიდა, ნუნუ კვანტალიანიც წამოვიდა. ლალი ლაზარაშვილი გამოაგდეს, როცა კოტე კუბლაშვილს გაუწია წინააღმდეგობა. ეს ადამიანები არ დანიშნეს მოსამართლეებად და სამაგიეროდ, ხელისუფლებამ მურუსიძესთან შეკრა პირი. მოკლედ, უკვე სასწაულები ხდება სასამართლოში, ნინო გვენეტაძე ცდილობს, რაღაცა გამოასწოროს, მაგრამ მას ხელს უშლიან მურუსიძეები და სხვები. მე არ ვიცი, ივანიშვილი რას ფიქრობს, მაგრამ რაც ხდება, უკვე აუტანელია.



**ზაზა ხატიაშვილი: „როგორც გერმანელები, ან იტალიელები აკეთებენ, ჩვენც რომ მივიდეთ და პირდაპირ სასამართლოში მივცეთ ჩვენება, პოლიციაში რომ არ მიგვიყვანონ და დენი არ გაგვიტარონ, ხომ შეიძლება, ეს წესი აქაც დავნერგოთ?“**

## რას უპასუხებს ბიძინა ივანიშვილი ხატიაშვილს ღია წერილზე

**„ადამიანი რომ მივა და იტყვის, ჩვენებას არ მოგცემთო, წარმოგიდგენია, რას უზამენ? ამათ ვალდებულება არ შეასრულეს, არ გადაამზადეს სამართალდამცავი სტრუქტურები და უნდათ, ფეოდალური რქებით გაიტანონ ყველაფერი. თავიდანვე რომ ეთქვათ, ამას ვერ გავაკეთებთო, მაშინ ხალხი სხვას მოძებნიდა.“**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „მწვანეთა“ ლიდერმა მოჭრილი ხეები ნახა: „ვნახე, აღმაშფოთებელია“



კრწანისი-შინდისის დამაკავშირებელი გზის მიმდებარე ტერიტორიაზე ხეების მოჭრას და აღნიშნულ თემაზე თბილისის მერიის განცხადებას აღმაშფოთებელს უწოდებს „მწვანეთა პარტიის“ ლიდერი გია გაჩეჩილაძე. დეპუტატის განცხადებით თბილისში, რომელშიც უმძიმესი ეკოლოგიური მდგომარეობაა, დაუშვებელია, ასეთი რაოდენობის ხე მოიჭრას.

– ვნახე ის მასალები, აღმაშფოთებელია, იმიტომ, რომ ასეთი რაოდენობის ხის მოჭრა თბილისში, რომელსაც უმძიმესი ეკოლოგიური მდგომარეობა აქვს, ყოვლად დაუშვებელია. თუ გზის გაყვანა არის აუცილებელი და ხდება ხოლმე ასეთი მომენტები, რომ არის გარდაუვალი აუცილებლობა, მაშინ არსებობს სპეციალური ტექნოლოგია, რომლის საშუალებითაც შეიძლება ამოიღო ის ხე და ამის მანქანებიც კი არსებობს, რომელიც რამდენიმე წუთში იღებს ამ ხეს და გადარგავს სხვაგან. სჭირდება სულ რაღაც 15 თუ 20 წუთი. ასევე, სრულიად გაუგებარია იმ მონაცემების მიხედვით, რომელიც გამოქვეყნებულია ამ ხეებთან დაკავშირებით, რომ 20 სმ-მდე ხეები გადაირგვებაო და 20-30 სანტიმეტრამდე მოიჭრებაო, აბსურდია, დაუშვებელია. კეთილი ინებონ და თუ აუცილებელია ამ გზის გაყვანა და გაფართოება, აიღონ და გადარგონ ეს ხეები იქვე, რომ ეკოლოგიური მდგომარეობა არ დამძიმდეს თბილისში, – აცხადებს გია გაჩეჩილაძე. (პირველი რადიო)

## „ნაცმოძრაობა“ ისევ გჯობნით ჭკუაში, ხედავ, „ოცნება“?



„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატ პეტრე ცისკარიშვილის განცხადებით, პარტია სიგარეტის აქციზზე გადასახადის მომატებას მხარს არ დაუჭერს. მისი თქმით, მიზეზი, რის გამოც აქციზზე გადასახადი იზრდება, არის ბიუჯეტში თანხების მობილიზება და ეს ყველასთვის გასაგებია.

– ცხადია, ჩვენ ამ ცვლილებას მხარს არ დავუჭერთ, რამდენიმე პრინციპული მოსაზრების გამო. პირველ რიგში, უნდა აღვნიშნო, რომ ეს ცვლილებები მწეველი ან ალკოჰოლის მომხმარებელი ადამიანების ჯანმრთელობაზე ზრუნვით არაა გამოწვეული. მიზეზი, რის გამოც აქციზზე გადასახადი იზრდება, არის ბიუჯეტში თანხების მობილიზება და ეს ყველასთვის გასაგებია. წელს მეორედ ხდება სიგარეტზე აქციზის გაზრდა. ეს გამოიწვევს შემდეგს – სიგარეტის მომხმარებლები იმ მოცემულობიდან გამომდინარე, რომ ამ პროდუქტზე მოთხოვნა არის არაელასტიკური, ანუ ფასი თუ გაიზრდება, მოთხოვნა არ დაეცემა, ხალხის ჯიბიდან ბიუჯეტის სასარგებლოდ მეტი ფული ამოვა და ისედაც ძალიან დაბლა დაცემული მსყიდველუნარიანობა, კიდევ უფრო დაეცემა, – აცხადებს ცისკარიშვილი.

მისივე თქმით, ჯანმრთელობაზე ზრუნვისთვის უმჯობესია, აიკრძალოს დახურულ სივრცეში მოწევა. (news.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## კარგი სიგარეტის დედაც ვატირე, ქალბატონო გუგული, მაგრამ გაძვირების შემდეგ მწეველი კარგ სიგარეტს ცუდით ანაცვლებს - ასეა ეს და ნუ გვატყუებთ, ღმერთი გიშველით!



უმრავლესობის წევრი გუგული მაღრაძე სიგარეტზე ფასის ზრდას მიესალმება და ამბობს, რომ ეს თამბაქოსთან ბრძოლისთვის კარგი საშუალებაა.

დეპუტატმა „ნაციონალური მოძრაობის" წევრებსაც მიმართა, რომ ნაკლები მოწიონ.

– მთელ მსოფლიოში ყველა ნორმალურმა სახელმწიფომ თამბაქოსთან ბრძოლის კამპანია დაიწყო აქციზის მატებით და ჩვენ მივყვებით იმ გზას, რაც ყველა ნორმალურმა და ევროპულმა სახელმწიფომ გაიარა. ის, რომ ვიღაცას გაუძვირდება და ვერ იყიდის სიგარეტს, ძალიანაც კარგი. „ნაციონალურმა მოძრაობამ", რომელიც ინტენსიურად ეწევა პარლამენტში გვერდით ოთახში, მანაც უნდა დაანებოს თავი მოწევას, – აცხადებს გუგული მაღრაძე.

სიგარეტი და ალკოჰოლური სასმელი შესაძლოა 1-ლი იანვრიდან გაძვირდეს. საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანის თაობაზე მთავრობის ინიციატივა პარლამენტმა გუშინ განიხილა. (ნიუპოსტი)

**რა საყვარლობაა, „ნაცებზეც" როგორ ზრუნავთ, ქალბატონო გუგული! ისე, „ოცნების" წევრები არ ეწევიან, არ უქიშინებენ ხოლმე „გვერდით ოთახში"?**

**მოკლედ, საქმე ასეა: ვერც „ნაცებსა" და ვერც „ქოცებს" („ძეპუტატებს" ვგულისხმობთ და ჩინოვნიკებს, რასაკვირველია) სიგარეტის გაძვირება ვერაფერს დააკლებს - მაინც „ფირმა პაპიროსს" გააფუილებენ, აძლევთ ხელფასი ამის საშუალებას და იმიტომ. რაც შეეხება რიგით მოქალაქეებს, თამბაქოზე ფასის ზრდა მათ იმ შედეგს მოუტანს, რომ შედარებით კარგი სიგარეტიდან უხარისხოზე გადავლენ. ჰოდა, თუ მართლა ხალხზე ზრუნვა გინდათ, თქვენ კაი დედმამიშვილებო, ჩვენს მავნე ჩვევებს კი ნუ ებრძვით, საკუთარის გამოსწორებაზე იზრუნეთ. ასე მაგალითად, დაპირებები შეასრულეთ, პრემიების ამკრძალავ კანონს მხარი დაუჭირეთ, ფუფუნება დროებით მაინც დაივიწყეთ და რაც მთავარია — გონს მოეგეთ!!!**

## აძვიდან გატაცებული მამაკაცები გაათავისუფლეს



გორის მუნიციპალიტეტის სოფელ აძვიდან, გიორგობა დღეს გატაცებული მამაკაცები ოკუპანტებმა გაათავისუფლეს.

გატაცებულებმა ცხინვალის მილიციის წინასწარი დაკავების იზოლატორს თავი ჯარიმის გადახდის სანაცვლოდ დააღწიეს.

დავით გულიტაშვილი, ზურაბ კორინთელი და გიორგი გოგიაშვილი ოჯახებთან ერთად 23 ნოემბერს ტაძრის მოსალოცად მიდიოდნენ, რა დროსაც შეიარაღებული ფორმიანები თავს დაესხნენ და დააკავეს. ოკუპანტებმა ქალები და ბავშვები გაუშვეს, ხოლო კაცები ცხინვალის მიმართულებით წაიყვანეს. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ჩვენ თუ გვკითხავთ, კუთხეში მიმწყვდეული დათვი ბევრად უფრო საშიშია, დაგტორავს კიდეც და ატომურ ბომბსაც გამოიყენებს - პუტინს ჭკუა არ მოეკითხება!



ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში თორნიკე შარაშენიძე მიიჩნევს, რომ თურქეთის საჰაერო სივრცეში უნებართვოდ შესული რუსული თვითმფრინავების ჩამოგდების საპასუხოდ რუსეთი თურქეთის წინააღმდეგ ვერაფერს მოიმოქმედებს, რადგან ხვდება, რომ ამ სახელმწიფოსთვის პასუხის გაცემა მარტივი არ არის.

შარაშენიძის თქმით, თურქეთს ძლიერი ჯარი ჰყავს და კიდევ უფრო ძლიერი ფლოტი. რუსეთი კი თურქეთის წინააღმდეგ, ერთადერთი, ატომურ ბომბს თუ გამოიყენებს, თორემ სხვანაირად ვერაფერს დააკლებს.

– რუსეთი თურქეთს გაზით ვერ შეაშინებს, რადგან მას გაზის სხვა ალტერნატიული წყაროებიც გააჩნია. ასე რომ, პუტინს სერიოზული პრობლემა აქვს, თურქეთის იერიშს ან პასუხი უნდა გასცეს, ან გადაყლაპოს. რუსეთის მხრიდან სუვერენული ქვეყნის საჰაერო სივრცის დარღვევა პირველი არაა. ეს ჩვენს თავზეც გამოვცადეთ. შვედეთმაც კი ვერ გასცა ამაზე პასუხი. თურქეთმა აღარ მოუთმინა და პასუხი გასცა. თუ სიტუაცია გამწვავდება, საქმეში ნატო ჩაერთვება. ეს ჩვენს რეგიონში ნატოს უფრო მეტ ჩართულობას ნიშნავს, რაც ჩვენ გვაწყობს, მაგრამ ამ ეტაპზე, როგორც ჩანს, რუსეთმა ჯერჯერობით უკან დაიხია. პუტინის მწვავე განცხადება ტერორისტების წინააღმდეგ ომში ზურგში დანის ჩარტყმაზე, რუსეთის მოსახლეობაზე უფრო იყო გათვლილი. ის ცდილობს, თავისი ხალხის თვალში ისევ მაგარ ბიჭად გამოჩნდეს, სინამდვილეში კი თურქეთის ეს დარტყმა გადაყლაპა. სამომავლო პროგნოზის გაკეთება ძნელია, რადგან საქმე პუტინს ეხება, რომელიც ყოველთვის არაპროგნოზირებადია, – აცხადებს თორნიკე შარაშენიძე. (veqtori.ge)

## მოსკოვში თურქეთის საელჩოს ქვები, კვერცხები და საღებავები ესროლეს




მოსკოვში, თურქეთის საელჩოსთან შეკრებილმა ასობით ადამიანმა საპროტესტო აქცია გამართა. აქციის მონაწილეებმა საელჩოს ქვები, კვერცხები და საღებავები დაუშინეს.

აქციის შედეგად, საელჩოს შენობა დაზიანდა. ჩამსხვრეულია შენობის მინები.

როგორც bbcrussian.com იუწყება, პოლიციას აქციის მონაწილეებისთვის ხელი არ შეუშლია.

როგორც საელჩოს პრესატაშე ორჰან ჰაზიგილი აცხადებს, ფანჯრებში ბოთლები ცვიოდა და თანამშრომლებს გადაადგილების ეშინოდათ. დიპლომატიური უწყების ინფორმაციით, მომხდარის გამო, საელჩოს რამდენიმე თანამშრომელმა მსუბუქი დაზიანებაც მიიღო. (pia.ge)

# „საქართველოს რკინიგზა": ჩვენთვის თითოეული მგზავრის კომფორტი მნიშვნელოვანია



„საქართველოს რკინიგზაში" მგზავრების მომსახურების ხარისხის გაზრდის თვალსაზრისით ძალიან ბევრი სიახლეა.

ამას თავად ამჩნევს თითოეული ადამიანი, რომელიც მატარებლით ხშირად მგზავრობს. ბილეთის სიიაფის გამო კი რკინიგზას მგზავრები ყოველთვის მრავლად ჰყავს. კონკრეტულად რა სიახლეებია და კიდევ რა იგეგმება ამ მიმართულებით, „საქართველოს რკინიგზის" მომსახურების ხარისხის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი **დაჩი ცაგურია** საუბრობს:

**— წლების წინათ სამგზავრო მატარებლებში არსებული მდგომარეობა კრიტიკას ვერ უძლებდა. ახლა ბევრი სიახლე შეიმჩნევა. კონკრეტულად რა კეთდება ხარისხის მომსახურების გაუმჯობესების მიზნით?**

– მიუხედავად იმისა, რომ რკინიგზა შემოსავალს სატვირთო გადაზიდვებიდან იღებს, ხოლო სამგზავრო გადაზიდვები დოტაციაზე გვყავს, ძალისხმევას არ ვიშურებთ იმისთვის, რომ მგზავრებს კომფორტი შევთავაზოთ და უფრო სასიამოვნო გავხადოთ მატარებლით მგზავრობა. ჩვენ დავნერგეთ დასუფთავების ახალი სისტემა, რომელიც გამორჩეულია იმით, რომ გვაქვს თანამედროვე ტექნიკა, რომელიც 180 გრადუსზე ორთქლს გამოყოფს. შესაბამისად, ვაგონების დასუფთავება მაღალი წნევით ხდება.

აქამდე, ვაგონები გარედან ხელით ირეცხებოდა. ჩვენ აღვადგინეთ ვაგონების სამრეცხაო, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ აღარ მუშაობდა. დღეს ყველა ვაგონი სპეციალური ჯაგრისებით სამრეცხაოში ირეცხება და ამის შემდეგ გადის ბაქანზე.

ამასთანავე, ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება. ამიტომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესსკოლასთან გვაქვს შეთანხმება ჩვენი თანამშრომლების გადამზადებასთან დაკავშირებით. გამცილებლები, მოლარეები, ოპერატორები, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვთ მგზავრებთან, გადიან ტრენინგებს. ეს პროცესი იქნება შეუქცევადი. ძალიან კმაყოფილი ვართ ამ ტრენინგების შედეგებით, ვინაიდან მომსახურების ხარისხი ბევრად გაუმჯობესდა.

გარდა ამისა, წლების განმავლობაში აღარ მუშაობდა საინფორმაციო დაფები, შესაბამისად, მგზავრებს არ ჰქონდათ ინფორმაცია, რომელ ბაქანზე შემოვიდოდა მატარებელი, ან რამდენ წუთში. ჩვენ შევიძინეთ შესაბამისი აღჭურვილობა და საქართველოს მასშტაბით 18 ძირითად სადგურზე დამონტაჟდა, თანამედროვე, ელექტრონული საინფორმაციო დაფები.

სწორედ ხარისხის მომსახურების მიზნით, მაქსიმალურად შევეცადეთ, მგზავრებისთვის ბილეთის აღების პროცესი გაგვემარტივებინა. მოგეხსენებათ, რომ ზაფხულში მგზავრთა ნაკადი იზრდება, ამიტომ სალაროებთან ყოველთვის რიგია, ხშირად არის კამათი, ვინ ვის წინ იდგა. რიგის მოსაწესრიგებლად დავამონტაჟეთ რიგის მომწესრიგებელი სისტემები, რომელიც ამ პროცესის მართვაში ძალიან დაგვეხმარა. ასევე, ბევრი ვიმუშავეთ იმაზე, რომ მგზავრებისთვის ბილეთების შეძენა გაგვემარტივებინა. დღეს უკვე ბილეთების ყიდვა შესაძლებელია სხვადასხვა ვებგვერდებზე, მაგ: www.railway.ge-დან ან სწრაფი გადახდის აპარატების მეშვეობით.

აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს რკინიგზა სხვადასხვა საერთაშორისო გამოკვლევის მიხედვით ბილეთის დაბალი ფასითაც ერთ-ერთი მოწინავეა, საქართველოს რკინიგზა მგზავრობის სიიაფით მსოფლიოში მეორე ადგილზეა, ხოლო ევროპაში – პირველზე. რკინიგზით მგზავრობის ფასები მიმართულებების მიხედვით 1-ლარიდან 55 ლარამდეა. ჩვენ დავნერგეთ 10-თვიანი ფასდაკლება, 10 თვის განმავლობაში 40-ლარიან ბილეთს ჩვენს მგზავრებს ვთავაზობთ 25 ლარად, ხოლო 23-ლარიან ბილეთს – 18 ლარად.

ჩვენ ეს ძალიან გვახარებს. მაქსიმალურად ვცდილობთ, დაბალ ფასთან ერთად მგზავრებს მომსახურების მაღალი ხარისხი შევთავაზოთ.

**— რაც შეეხება ვაგონებისა და ბაქნების კეთილმოწყობას, ბოლო პერიოდში ვაგონები შედარებით მოწესრიგდა, მაგრამ, ალბათ, ამ მიმართულებით კიდევ ბევრია გასაკეთებელი?**

– აქტიურად დავიწყეთ სავაგონო ერთეულების რემონტი. საგარეო მიმართულებაზე გვყავდა ისეთი ვაგონები, რომელიც ბოლო 10 წელია, არ გარემონტებულა, საგარეო პარკი, ფაქტობრივად, ამორტიზებულია. ამ მიმართულებით ძალ-ღონე არ დავიშურეთ და ელექტრომატარებლის 20 ვაგონიდან 17 უკვე გავარემონტეთ. წლის ბოლომდე გვინდა მოვასწროთ და დავასრულოთ ოცივე ვაგონის კაპიტალური რემონტი.

გავარემონტეთ ელმავლებიც, სულ 7 ელმავალი. მაღალ დონეზე განხორციელდა მათი მოდერნიზაცია, ელმავალშემკეთებელ ქარხანასთან ერთად. ასეთი მაღალ დონეზე გარემონტებული ელმავალი საქართველოს რკინიგზას აქამდე არ ჰყოლია. ეს ელმავლები უკვე გაიტესტა და საკმაოდ კარგი შედეგიც მივიღეთ.

აქტიური მუშაობა მიმდინარეობს ბაქნების გასარემონტებლად მთელი საქართველოს მასშტაბით. ამ დროისთვის, გავარემონტეთ 8 ბაქანი. მომავალ წელს 12 ბაქნის შეკეთებას ვგეგმავთ.

**— კიდევ რა სიახლეები იგეგმება?**

– ბუნებრივია, ამ მიღწევებით არ ვჩერდებით და კიდევ ბევრ სიახლეს ვგეგმავთ. გვინდა, შევცვალოთ ბილეთების გაყიდვის სისტემა. ვმუშაობთ თანამედროვე სისტემაზე, რომელსაც მგზავრებს მომავალი წლის ზაფხულში შევთავაზებთ. ეს სისტემა მგზავრს მოულოდნელ გართულებებს თავიდან აარიდებს, მაგალითად, თუ ის დაკარგავს ბილეთს, ამაზე სანერვიულო აღარ ექნება.

**— უფრო კონკრეტულად, ეს რა სისტემაა?**

– გვინდა, შემოვიღოთ ელექტრონული შტრიხკოდებიანი ბილეთები, სადაც მგზავრის ინფორმაცია იქნება შენახული. გამცილებლებს ექნებათ წამკითხველები, რომელიც ამ შტრიხკოდის ამოკითხვას შეძლებს.

გარდა ამისა, გვინდა თბილისის რკინიგზის სადგურის რეაბილიტაცია. როგორც მოგეხსენებათ, ბათუმში რკინიგზის სადგური სრულიად ახალი კონცეფციით გავაკეთეთ. დღეს საქართველოში ეს არის საუკეთესო რკინიგზის სადგური. მინდა ეს მივულოცო არა მარტო ბათუმელებს, არამედ მთელ საქართველოს. ასევე, კარგად გვინდა გამოიყურებოდეს თბილისის რკინიგზის სადგური. ჩვენ ვმუშაობთ ახალ პროექტზე და იმედი გვაქვს, ეს ყველაფერი გამოვა.

„საქართველოს რკინიგზის" ყველა მომხმარებელს მინდა ვუთხრა, რომ ჩვენთვის თითოეული მგზავრის კომფორტი მნიშვნელოვანია.


დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80

# რას ნიშნავს „ჰასპის სისტემა“ და რატომ გაძვირდება ხორცი?

**როგორც „ანტიკორუფციულ კავშირში“ აცხადებენ, ქვეყანაში არსებული მრავალი მონოპოლიის შემდეგ, მონოპოლია ხორცისა და რძის მწარმოებლებსაც შეეხებათ. რას გულისხმობს „ჰასპის სტანდარტი“, რომელსაც სოფლის მეურნეობის სამინისტრო მეწარმეებს 1-ლი იანვრიდან უწესებს და რა სახით შეეხებათ აღნიშნული ცვლილება მეწარმეებს?**

**„ალიას“ „ანტიკორუფციული კავშირის“ თავმჯდომარე გია ბურჯანაძე ესაუბრა:**

– სოფლის მეურნეობის სამინისტრო 1-ლი იანვრიდან ნერგავს „ჰასპის სტანდარტს“, რაც, გარდა იმისა, რომ ბევრ უარყოფით დეტალს შემოიტანს, ასევე, პირველ რიგში, იმით იქნება გამორჩეული, რომ მთელი რიგი ხარვეზებით განხორციელდება. იმ შემთხვევაში, თუკი არ შევა ცვლილებები საკანონმდებლო დონეზე, სურსათის ეროვნულ სამსახურს არ მიენიჭება მეტი ფუნქციები, ამ პროგრამის განხორციელებას აზრი არ ექნება. ამაზე დეტალურად ქვემოთ მოგახსენებთ.

**— რას გულისხმობს „ჰასპის სტანდარტი“?**

– პროგრამის თანახმად, მეწარმე ვალდებული ხდება, დააკმაყოფილოს ყველა ის ვალდებულება, რასაც სტანდარტი დაუწესებს. საუბარია ბოინების გადაიარაღებაზე, რაც მეწარმეებს ხორცის ღირებულებას უზრდის. საბოლოოდ მივიღებთ იმას, რომ ხორცი გაძვირდება. მოხდება ის, რაც მოხდა „ნატახტარის“ შემთხვევაში, როცა ლამის 19 ლარამდე ავიდა 1 კგ ხორცის ღირებულება. საუბარია იმ პერიოდზე, როცა მხოლოდ ნატახტრიდან ხდებოდა ხორცის ბაზარზე შემოტანა.

დღეს საქონელი იკვლება ბოინში და მისი ბაზარზე გამოსვლა კონტროლდება. მიუხედავად ამისა, გვაქვს ბევრი შემთხვევა, როდესაც კანონგარეშედაც ხვდება ბაზარზე ხორცი, შემდეგ ხდება მისი ამოღება და ა.შ.

სამი მილიონია გადახდილი ვაშლიჯვრის ლაბორატორიის გადაიარაღებისთვის „ნაციონალური მოძრაობის“ დროს. მერე, წლების განმავლობაში გარეთ ეყარათ ეს ინვენტარი, აწვიმდა და ათოვდა – მოისპო და ამ პირობებში ოფიციალური უწყებები ამბობდნენ, რომ ბევრ პროდუქტზე კვლევას ვერ ვაწარმოებთ იმიტომ, რომ ლაბორატორიის ფაქტორი გვიშლის ხელსო.

არ აწყობდათ ამ უმაღლესი დონს ლაბორატორიის არსებობა, იმიტომ, რომ ამით მათ მიერ იმპორტირებული პროდუქცია შემოწმდებოდა და აკრძალვაში მოჰყვებოდა. ბოლო დროს, პარლამენტშიც დაიწყო საუბარი ამ თემაზე, „მრეწველებმა“ წამოწიეს თემა, მაგრამ ნურას უკაცრავად, არაფერიც არ შეცვლილა. იმიტომ, რომ ჩვენი უმრავლესობის დიდი ნაწილი, ამით ისქელებს ჯიბეს და გაივსო საავადმყოფოები ონკოლოგიური დაავადებების მქონე ადამიანებით.

დღეს არ არსებობს „ჰასპის პროგრამის“ შესაბამისი გარემო. ამ პროგრამის ამოქმედებით, დღეს არსებული 90 ბოინიდან მივიღებთ, მაქსიმუმ, 10 ბოინს საქართველოს მასშტაბით. დანარჩენი 82 ვერ დააკმაყოფილებს მოთხოვნებს. მეწარმეები ამბობენ, რომ ისინი საჭრელ დანაში 18 ათას ლარს ვერ გადაიხდიან, ვერ გადაიხდიან გადაიარაღებაში ათასობით ლარს, დავხურავთ ობიექტს და დავიხურავთ ქუდსო, ამბობენ. ვერაფერს ვერ გააუმჯობესებს ეს პროგრამა, მინდა იცოდეს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ.

**— მაშინ რისთვის ახორციელებენ ამ პროგრამას, თუ ამის ნორმალურად განხორციელების შანსი არ არსებობს?**

– ყველაფერი მიჰყავთ იქითკენ, რომ ეს სფეროც გახდეს მონოპოლიზებული. ხდება მონოპოლიის დაკანონება. ფრთებს გაშლიან ერთეულები, დაიხურებიან სხვები და ხორცი გაძვირდება. ერთეულები კი გამდიდრდებიან ჩვენი ჯანმრთელობის გაუარესების ხარჯზე.

დღეს თბილისის ბაგა-ბაღებში 99% ხორცი შემოაქვთ მარნეულის ბოინიდან. ისინი საპილოტეები იყვნენ და მათთან „ჰასპის სტანდარტი“ უკვე დანერგილია. ნებისმიერ დროს შევიდეთ ბაგა-ბაღებში, გადავამოწმოთ შეტანილი ხორცის ხარისხი და ვნახავთ, რომ შეტანილი ხორცის ხარისხი ვერ დააკმაყოფილებს, რასაც ეს სტანდარტი ითვალისწინებს. როცა ეს შემთხვევა არსებობს, ამის მერე სხვებს როგორ გააკონტროლებენ, ან ხარისხს როგორ აწევენ?!

კერძო ბაგა-ბაღები ავიღოთ – რა, თუ მათ მარნეულიდან, „ჰასპის სტანდარტს“ მორგებული ბოინიდან არ მოაქვთ ხორცი, რაც აქვთ, ის საწამლავია? ვერ გვიჭამია ამ ლოგიკით ხორცი, თუ ის მარნეულიდან არ მოდის. საკანონმდებლო გარემო უნდა შეიქმნას, სხვა არაფერი უშველის ამ საკითხს.

**— რას გულისხმობთ, კონკრეტულად რომელ კანონში უნდა შევიდეს ცვლილებები?**

– სურსათის ეროვნულ სააგენტოს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს აქვს შესაბამისი ნორმატიული აქტები, დადგენილებები, ნორმები, სადაც უნდა შევიდეს ცვლილებები. კარგი, ესენი არ აკეთებენ, მაშინ კანონმდებლების მხრიდან ხომ უნდა არსებობდეს რაიმე სახის ინიციატივები?! თოფაძე და ტყემალაძე რომ გვესაუბრებოდნენ ვარგის პროდუქციაზე, მათ გააკეთეს რამე იმისთვის, რომ აღნიშნული პროდუქცია არ შემოსულიყო და კონტროლდებოდეს? მაგრამ მერწმუნეთ, ეს მათ ძალებს აღემატება, იმიტომ, რომ იმდენის ჯიბე ივსება ამით, რომ არ გამოსდით მათ წინ დადგომა. ლობირებენ ამ საკითხს ხელისუფლების გარკვეული პირები და უთხრეს ამათ, თქვენ თქვენს ბიზნესს მიხედეთო.

**გია ბურჯანაძესთან საუბრის შემდეგ, „ალია“ სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაუკავშირდა. გვაინტერესებდა, რას გულისხმობდა კონკრეტულად ჰასპის სტანდარტი და რატომ გახდა მისი დანერგვა საქართველოში აუცილებელი.**

**„ალიას“ სურსათის ეროვნული სააგენტოს იურიდიული დეპარტამენტის უფროსი მაკა შუბლაძე ესაუბრა:**

„ჰასპის სისტემა გულისხმობს მეწარმის შიდა კონტროლის სისტემას. შექმნილია მეწარმის კონტროლისთვის, რომ მის მიერ წარმოებული პროდუქცია, რაც შეიძლება ნაკლებ საფრთხეს შეიცავდეს. თვითკონტროლსაც მოიცავს ეს. რომ გავშიფროთ, ჰასპი, ეს არის საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების სისტემა. პირველ რიგში, უნდა შევთანხმდეთ, რომ ეს არის მეწარმის ინტერესებისთვის.

მეორე – 2012 წლიდან მოქმედებს მთავრობის დადგენილება №90, რომელიც ადგენს ცხოველური წარმოშობის სურსათის სპეციალურ ჰიგიენურ წესებს. დადგენილებაში წერია, რომ სასაკლაოს და თერმული რძის გადამუშავებას რომელი ბიზნესოპერატორიც ახორციელებს, მას უნდა ჰქონდეს ეს სისტემა დანერგილი. მომეტებული საფრხის შემცველია ეს საკითხები და ამიტომ.

შესაბამისად, დღეს იმაზე საუბარი, რომ მონოპოლია შეიქმნება და გარკვეული შპს-ები დაიხურებიან, მე ვფიქრობ, არგუმენტს მოკლებულია. იმ შემთხვევაში, თუ გარკვეული მეწარმე, ვერ მოახერხებს გარკვეულ ვადაში ამ სისტემის დანერგვას, მას მიეცემა დამატებითი დრო მის დასანერგად. ეს სისტემა უზრუნველყოფს იმ რისკების შემცირებას, რასაც ასეთი პროდუქცია აჩენს“, – განმარტა მაკა შუბლაძემ.




ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## და თუ არც შოთაძემ ივარგა, ქალბატონო მინისტრო, აიღებთ პასუხისმგებლობას — გადადგებით?!



იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი მიიჩნევს, რომ იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტი ირაკლი შოთაძის კანდიდატურას მხარს დაუჭერს, ის საუკეთესო იქნება იმ მთავარ პროკურორებს შორის, რომელიც საქართველოს ჰყოლია.

მინისტრს სჯერა, რომ მთავარი პროკურორობის კანდიდატ ირაკლი შოთაძეს ექნება იმის რწმენა, რომ სამართლებრივი რეფორმების გარეშე არ არსებობს დემოკრატიული საქართველო და რეფორმები ყველამ ერთად უნდა გაატაროს.

– საპროკურორო საბჭოს სამი კანდიდატი მე წარვუდგინე. გასაუბრების შედეგად, რომელთა აუდიოჩანაწერები არის საჯაროდ გამოქვეყნებული, აღმოჩნდა, რომ 13 ხმა მიიღო ირაკლი შოთაძემ. მე მჯერა, რომ ირაკლი შოთაძე მომდევნო 6 წლის განმავლობაში, თუკი მას პარლამენტი აირჩევს, იქნება ბევრად უკეთესი, ვიდრე არის თუნდაც ამჟამინდელი მთავარი პროკურორი. ის იქნება ყველა იმ მთავარ პროკურორზე უკეთესი, რომელიც კი აქამდე გვყოლია. მას ექნება იმის ღრმა რწმენა, რომ სამართლებრივი რეფორმების გარეშე არ არსებობს დემოკრატიული საქართველო და ამ რეფორმებში ჩვენ, იუსტიციის სამინისტრომ, და ყველა სამართალდამცავმა ორგანომ უნდა ვიაროთ ხელიხელჩაკიდებულმა, – განაცხადა თეა წულუკიანმა. (pia.ge)

## მეჭიაურმა, ჭაჭის არაყზე ფასი არ მოიმატებსო — და ვისაც ვისკი „ევასება“, იმან რა ქნას, ტო?!



საპარლამენტო უმრავლესობის წევრ თამაზ მეჭიაურის განცხადებით, ფასის მატება ღვინოსა და ჭაჭის არაყს არ შეეხება, – ამის შესახებ მმართველი გუნდის წევრმა პარლამენტში სიტყვით გამოსვლისას განმარტა.

როგორც უმრავლესობის წევრმა აღნიშნა, აქციზზე ფასი იზრდება მხოლოდ ვისკიზე, ჯინსა და ხორბლის არაყზე.

– აქციზით იზრდება მხოლოდ ვისკი, ჯინი, რომი, ხორბლის არაყი და ა.შ. მაგრამ ფასის გაზრდა არ ეხება, ღვინოს, კონიაკს და არ ეხება ჭაჭას. ფასების ზრდამ შეიძლება შეამციროს იმპორტულ საქონელზე მოთხოვნა, სანაცვლოდ, რა თქმა უნდა, გაზრდის მოთხოვნას ჩვენი წარმოების ღვინოსა და არაყზე, – განაცხადა თამაზ მეჭიაურმა. (კვირა.გე)

## ინფლაციის ზრდა ჩვენს ჯიბეებს საგრძნობლად შეამსუბუქებს



საქართველოს ეროვნული ბანკი კვარტალის დასაწყისში ყოველთვის აქვეყნებს „ინფლაციის მიმოხილვას“, სადაც დეტალურად არის მოცემული პროგნოზი ინფლაციის მაჩვენებლების შესახებ.




აგვისტოში გამოქვეყნებული „მიმოხილვის“ მიხედვით, ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი ქვეყანაში 5 პროცენტი უნდა ყოფილიყო, მაგრამ უკვე 3 თვეა, რაც წლიური ინფლაციის დონე ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრულ მიზნობრივ მაჩვენებელს აჭარბებს. მაგალითად, ოქტომბერში ინფლაციის დონემ 5,8 პროცენტს მიაღწია. ეროვნული ბანკის შეფასებით, წლის ბოლოსთვის ინფლაციის დონე 6 პროცენტამდე გაიზრდება, ხოლო მომავალი წლის პირველ კვარტალში ინფლაციის მაჩვენებელი 7 პროცენტს გადააჭარბებს. ეს იმ ფონზე, როდესაც სებ-ი პერმანენტულად ამკაცრებს მონეტარულ პოლიტიკას: 4 ნოემბრის გადაწყვეტილებით, მონეტარული პოლიტიკის კოეფიციენტი კიდევ ერთხელ, 0,5 პროცენტით გაიზარდა და 7,5 პროცენტს მიაღწია. ასეთი მაღალი საპროცენტო განაკვეთი ქვეყანაში კარგა ხანია, არ ყოფილა. ინფლაციის ზრდის მთავარი მიზეზი სებ-ის შეფასებით „გაცვლითი კურსის გაუფასურებით განპირობებული წარმოების შუალედური ხარჯების გაძვირება და ცალკეულ იმპორტირებულ საქონელზე ფასების ზრდაა. ინფლაციის მაჩვენებელზე, ასევე, მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა ელექტროენერგიის გადასახადის მატებას“...

ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ინფლაციის ზრდა კიდევ უფრო გაართულებს საქართველოს მოსახლეობის მდგომარეობას და ჩვენს ჯიბეებს საგრძნობლად შეამსუბუქებს. ცხადია, რომ 7-პროცენტიანი ინფლაცია მოსახლეობის ცხოვრების დონეს კიდევ უფრო გააუარესებს.

ამ თვალსაზრისს იზიარებს ეკონომიკის ექსპერტი სოსო არჩვაძე.

– ამ შემთხვევაში ხეირობს სახელმწიფო და შედარებით მაღალშემოსავლიანი ჯგუფები. ჩვენს საზოგადოებაში საკმაოდ მაღალია სოციალური დიფერენცირება და განსხვავებული შემოსავლის მქონე ადამიანებს განსხვავებული მოთხოვნები აქვთ. დაბალშემოსავლიან ადამიანს სურს თავისი შემოსავლით სურსათი მაინც შეიძინოს, ხოლო მაღალშემოსავლიან ფენას აქვს საიმისო სახსრები, რომ მოთხოვნილება დაიკმაყოფილოს არა მხოლოდ სურსათზე, არამედ ფუფუნების საგნებზე, რომელთა ფასები კი არ იზრდება, არამედ მცირდება. ეს ეხება ელექტროსაქონელს, კომპიუტერულ ტექნიკას, ტურისტულ ვიზებს და ა.შ... მაგალითად, ზოგიერთმა ტურისტულმა ფირმამ საგრძნობლად გააიაფა საგზურები ეგვიპტესა და სხვა ქვეყნებში. ამიტომ, მაღალშემოსავლიან ჯგუფებს ინფლაციის ტემპი უფრო ნაკლებად აწუხებს, ვიდრე დაბალშემოსავლიან ფენას, რომელიც ჩვენი მოსახლეობის ნახევარზე მეტია, – აღნიშნავს სოსო არჩვაძე.

მისი თქმით, მართალია, ფასები გაიზარდა, მაგრამ ეს ზრდა ისე შესამჩნევი არ ყოფილა, როგორც ეროვნული ვალუტის დევალვაციის ტემპი. ამასაც აქვს თავისი მიზეზები:

– ლარის გაუფასურება რამდენჯერმე აღემატებოდა ინფლაციის ტემპს. ეს იმის გამო მოხდა, რომ ჩვენი ძირითადი სავაჭრო პარტნიორების ვალუტა უფრო მეტად გაუფასურდა, ვიდრე ქართული ლარი. მაგალითად, უკრაინიდან ზოგიერთი დასახელების საქონლის შემოტანა კი არ გაძვირდა, გაიაფდა, რადგან მათი გრივნა უფრო მეტად დაეცა აშშ-ის დოლართან შედარებით. იგივე მოხდა რუსეთშიც. თუ საშუალო შეწონილ კურსს ავიღებთ, ლარი ჩვენი მეზობელი ქვეყნების ვალუტებთან მიმართებაში კი არ გაუფასურდა, არამედ გამყარდა კიდეც. როგორც წესი, ინფლაციის დროს ყველაზე მეტად დაბალშემოსავლიანი ფენა ზარალდება, თუმცა ჩვენს მოსახლეობას 6-7-პროცენტიანი ინფლაცია ნამდვილად ვერ გააკვირვებს: ყველას გვახსოვს 1990-იანი წლები, როცა ინფლაცია თვეში 56 პროცენტს აღწევდა, წელიწადზე აღარაფერს ვიტყვი. მაღალი ინფლაცია არასასიამოვნო მოვლენაა, მაგრამ მაინც ყველაფერი შეფარდებითია: მაგალითად, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიხედვით 4-პროცენტიანი ინფლაციაა დაგეგმილი. მომდევნო წლებისთვის ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო შემცირდება და 3-3,5 პროცენტზე შეიძლება ჩამოვიდეს. ამიტომ მაინცდამაინც პესიმისტურად არ უნდა ვიყოთ განწყობილნი, – ამბობს სოსო არჩვაძე.

„თავისუფალი ეკონომიკური სკოლის“ დამფუძნებელი და ხელმძღვანელი პაატა შეშელიძე კი ფიქრობს, რომ ინფლაციური პროცესების გააქტიურება მთავრობის არასწორი ეკონომიკური პოლიტიკის ბრალია.

– ეს იმის ბრალია, რომ მოხდა ჩვენი ეროვნული ვალუტის სერიოზული დევალვაცია, რაც გამოწვეული იყო არასწორი პოლიტიკით და ეროვნული ბანკის მიერ დაშვებული სერიოზული შეცდომებით. როგორც ვიცი, გარდა სურსათისა, ფასებმა მოიმატა მედიკამენტებზე და სამედიცინო მომსახურებაზე. შესაბამისად, ინფლაცია განსაკუთრებით დააზიანებს პენსიონერებსა და მოხუცებს, რომლებსაც აუცილებლად სჭირდებათ სამედიცინო მომსახურება და იმ ხალხს, ვისაც შემოსავალი ლარში აქვს. როგორც წესი, ინფლაცია ყოველთვის მტკივნეულია, მით უმეტეს, თუ ამის მიზეზი მონეტარულ პოლიტიკაში არსებული ხარვეზებია. ინფლაციის ზრდა საქართველოში სწორედ მცდარი მონეტარული პოლიტიკის ბრალია.

დღეს რატომღაც მიაჩნიათ, რომ მცირე ინფლაცია კარგია და უნდა შენარჩუნდეს, სწორედ ამას ემსახურება ე.წ. გეგმური ინფლაციის არსებობაც. ეროვნული ბანკიც, ფინანსთა სამინისტროც და მთავრობაც სწორედ ამ მოსაზრებას ემხრობიან, ამიტომ, საბოლოო ჯამში, გაცილებით რთულ სიტუაციას ვიღებთ – ქვეყანაში ადგილი აქვს ლარის ხელოვნურ გაუფასურებას, ადამიანებს არა აქვთ მყარი გარანტია იმისა, რომ გარკვეული დროის შემდეგ მათ შემოსავალს იგივე მსყიდველობითი უნარი ექნება. ადამიანმა წლის დასაწყისში რომ დაზოგოს თანხა, წლის ბოლოს აღმოჩნდება, რომ ის პრაქტიკულად, განახევრებულია, ამ სიტუაციაში დანაზოგის შექმნას აზრი ეკარგება. ამიტომ, ხეირობენ მხოლოდ ისინი, ვისაც მუდმივად აქვს ინფორმაცია ვალუტის კურსის ცვლილებაზე. სწორედ ამიტომ, კომერციული ბანკების მოგება მიმდინარე წლის განმავლობაში ძალიან მაღალი იყო, მაშინ, როცა ბიზნესის და შედარებით მცირე საწარმოების მოგება მნიშვნელოვნად შემცირდა, – აღნიშნავს პაატა შეშელიძე.

იგი ასევე მიიჩნევს, რომ ინფლაციის მაჩვენებლის ზრდა იმოქმედებს არა მარტო დაბალშემოსავლიან, არამედ საშუალო ფენაზეც.

– საშუალო ფენას აქვს შემოსავალი, რომელსაც ის გამოიმუშავებს, მაგრამ ვალუტის გაუფასურებისა და ინფლაციის გამო მისი მსყიდველობითი უნარი მცირდება. მე ისიც არ მესმის, რატომ უნდა დაიგეგმოს წინასწარ ინფლაციისა და ფასების დონე, თანაც, მთავრობის ეკონომიკური გუნდის პროგნოზი ხშირად არ ემთხვევა ეროვნული ბანკის პროგნოზს. ამ განსხვავების მიზეზი მათი განსხვავებული ხედვაა, საბოლოოდ კი, დაზარალებულის როლში ისევ საქართველოს მოსახლეობა გვევლინება, – ამბობს პაატა შეშელიძე. (bpn.ge)

## აბა, აწი რაღა მოგვკლავს!..



საქართველოს პარლამენტმა №11 საგარეჯოს საარჩევნო ოლქში მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩეული საქართველოს პარლამენტის წევრის, თამარ ხიდაშელის და №65 მარტვილის საარჩევნო ოლქში მაჟორიტარული სისტემით არჩეული სოსო დანელიას უფლებამოსილება ცნო.

შუალედური არჩევნები, სადაც კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრებმა გაიმარჯვეს, 31 ოქტომბერს საგარეჯოსა და მარტვილში ჩატარდა. შუალედური არჩევნების ჩატარების მიზეზი საგარეჯოს დეპუტატის თინათინ ხიდაშელის გამინისტრება და მარტვილის დეპუტატის ნაული ჯანაშიას გარდაცვალება გახდა. (ნიუპოსტი)

## „სუ-24“-ის გადარჩენილი შტურმანი სირიაში რუსულ ბაზაზეა გადაყვანილი



რუსეთის თავდაცვის მინისტრ სერგეი შოიგუს განცხადებით, სირიის ტერიტორიაზე ჩამოვარდნილი რუსული „სუ-24“-ის შტურმანი გადარჩენილია და სირიაში რუსულ ბაზა ჰმეიმიმზეა გადაყვანილი.

მინისტრის განცხადებით, სამაშველო ოპერაცია რუსმა და სირიელმა სპეცრაზმელებმა ერთობლივად ჩაატარეს.

– ოპერაცია წარმატებით დასრულდა. შტურმანი ჩვენს ბაზაზეა გადაყვანილი. ის ცოცხალია და თავს კარგად გრძნობს, – განაცხადა შოიგუმ.

რაც შეეხება, „სუ-24“-ის მფრინავს, რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ მისი დაღუპვის ფაქტი დაადასტურა.

ვლადიმერ პუტინის განცხადებით, გადარჩენილ რუს შტურმანს და სამაშველო ოპერაციის მონაწილეებს სახელმწიფო ჯილდოებს გადასცემენ. რაც შეეხება დაღუპულ მფრინავს, მას სიკვდილის შემდეგ რუსეთის გმირის ვარსკვლავით დააჯილდოებენ. (ნიუპოსტი)

## ევროპა მიგრანტებს ვეღარ მიიღებს — საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი



საფრანგეთის პრემიერ-მინისტრის, მანუელ ვალსის განცხადებით, ევროპამ საზღვრების უსაფრთხოების გაძლიერებაზე უნდა იფიქროს და ახლო აღმოსავლეთიდან ლტოლვილებს ვეღარ მიიღებს.

– ეს არ ნიშნავს, რომ მე გერმანიას ვაკრიტიკებ. გერმანიამ საკუთარი არჩევანი გააკეთა და შესაბამისად, საკუთარ პასუხისმგებლობასაც უნდა აცნობიერებდეს, – განაცხადა ვალსმა.

მისი თქმით, საფრანგეთი და ბელგია მიგრანტების მიღებას გასაგები მიზეზების გამო წყვეტენ.

საფრანგეთის პრემიერის განცხადებით, საფრანგეთი შეასრულებს ვალდებულებას 2015-2016 წლებში 30 000-მდე მიგრანტის მიღების შესახებ, თუმცა აღნიშნა, რომ ფრანგებმა იციან, პარიზის ტერაქტების ზოგიერთი შემსრულებელი საფრანგეთში სწორედ მიგრანტებთან ერთად ჩავიდა. (ნიუპოსტი)



## ქართველმა ოფიცერმა კიკბოქსინგის მსოფლიოს ჩემპიონი დაამარცხა



საქართველოს შეიარაღებული ძალების ეროვნული გვარდიის G-2 დაზვერვის სამმართველოს ოფიცერმა, მაიორმა შოთა ბეთლემიძემ კიკბოქსინგის სარეიტინგო ტურნირზე მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია. ერევანში გამართულ უნივერსალურ ორთაბრძოლაში ქართველმა ოფიცერმა კიკბოქსინგის მსოფლიოს ჩემპიონი, ირანელი მეჰდი რინო რაჰმანი დაამარცხა.

– ნრინო რაჰმანი კიკბოქსინგში მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მფლობელია და დგომში საკმაოდ შედეგიანად იბრძვის. ამიტომ მასთან დასაპირისპირებლად სათანადო ტაქტიკის შერჩევისას სწორედ ეს ნიუანსი გავითვალისწინე და მეტოქის მუდამ პარტერში გადაყვანას და იქ უპირატესობის მოპოვებას ვცდილობდი. ცხადია, კმაყოფილი ვარ, რადგან ყველაფერი ჩემთვის სახეიროდ წარიმართა და გავიმარჯვე, – აღნიშნა მაიორმა შოთა ბეთლემიძემ ტურნირში მოპოვებული გამარჯვების შემდეგ.

მაიორ შოთა ბეთლემიძის დაპირისპირება უნივერსალური ორთაბრძოლების რინგზე წელს მეოთხედ გაიმართა. მანამდე მას გურამ ურიდია, თურქი სპორტსმენი სელიმ დემირკოლი და ირანელი ჰასან მირჰუსეინი ჰყავს დამარცხებული. ეროვნული გვარდიის ოფიცერი წლის ბოლოს მორიგ ასპარეზობას გეგმავს. (ნიუპოსტი)



## საქართველო-რუსეთის საზღვარზე რუსი მესაზღვრეები თურქ მძღოლებს არ ატარებენ



ლარსის სასაზღვრო გამშვებ პუნქტთან რამდენიმე ათასი სატვირთო ავტომობილია გაჩერებული, რომლებსაც რუსი მესაზღვრეები ქვეყნის ტერიტორიაზე არ უშვებენ.

თურქულნომრიანი სატვირთო ავტომანქანების მძღოლებს რუსი მესაზღვრეები შემოწმების გარეშე აბრუნებენ უკან. როგორც სასაზღვრო გამშვებ პუნქტზე მყოფი ერთ-ერთი მძღოლი ამბობს, მესაზღვრეებმა რამდენიმე თურქიც სცემეს. შეზღუდვები ლარსის გამშვები პუნქტის რუსეთის მონაკვეთზე, მხოლოდ თურქეთის მოქალაქეებსა და ავტომანქანებზე ვრცელდება. არსებული ინფორმაციით, სხვა ტრანსპორტი საზღვარზე შეუფერხებლად გადაადგილდება. (pia.ge)

დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80



**რამდენად სახიფათოა 23 ნოემბერს გავრცელებული მუქარის ვიდეო? რატომ აფასებენ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მუშაობას უარყოფითად? რატომ დუმს საპატრიარქო? რა სახელმწიფო საიდუმლოება გასცა თამარ ხიდაშელმა?**

**„ალიას“ მამა ელიზბარი (დიაკონიძე) ესაუბრა:**



# „არ გაგიკვირდეთ საპატრიარქოსგან ასეთი მოქცევა, წესად აქვთ ეს... იმიტომ რომ ადრე იყვნენ იმ მთავრობის მეხოტბეები, ახლა ამ მთავრობის“

**„როგორ შეიძლება სამხედრო საიდუმლოებაზე ასე საჯაროდ, ტელევიზიით საუბარი, რატომ არავინ არ იღებს ამაზე ხმას?! ასე დავმარცხდით ჩვენ აფხაზეთის ომში. გაჰკიოდნენ, — ესა და ეს ბატალიონი შეიკრიბოს ამა და ამ რიცხვში, ამ და ამ ადგილზეო. მაშინაც არავის ჰქონდა ამაზე პასუხი, იმიტომ, რომ ეს იყო პროვოკაცია, იყიდებოდა სახელმწიფო საიდუმლოებები“**

**— მამაო, სასულიერო პირები რას ფიქრობთ გავრცელებულ მუქარის ვიდეოზე?**

– გამომდგარა ეს ტვინგახურებული ხალხი და ავრცელებს ამ მუქარებს. ეს კადრები არ არის ასე უყურადღებოდ დასატოვებელი. იმუქრებიან, რაც ნიშნავს იმას, რომ ვილაცების იმედი აქვთ. რჯულის გამო, ერთ მხრეს ეხმარება, მაგრამ მოძმეს კარგავს, ქართველ მოყვასს.

მე რა მიკვირს, იცით? ის გასულელდა, ირემაძის ბიჭია თუ ვიღაც, საპატრიარქოს რომ ეხება. მოვიდეს ერთი, დაგველაპარაკოს. ვიდეოებით რომ გველაპარაკება, პირისპირ დაგვიდგეს – გვაჩვენოს, რა დედის შვილია. იმათი იმედი აქვთ, ვისთან ერთადაც იბრძვიან და გვექადნებიან შორიდან. ჩვენი უნიათობის იმედი აქვთ, ასევე, ჩვენი შინაური მტრების, რომლებიც 2 შაურად საკუთარ დედასაც კი გაყიდიან. არაკაცების გადანაფურთხებს ლოკავენ. დედა აქ გყავს, აქ ცხოვრობს და იმუქრები, თავებს დაგაჭრითო, რა ლოგიკაა?! არაფერი შეეშალოს, ვინც არ უნდა იყოს!

ერთ რამეს გაგახსენებთ: რუსეთ-თურქეთის ომის დროს, ვსაუბრობ 1877-79 წლებზე, ძალიან არ მოსწონდათ ქართველებს, მაგრამ, რადგან ბრძოლა თურქებთან მიმდინარეობდა და შესაძლებელი იყო, ბათუმის, ტაო-კლარჯეთის და ა.შ. გამოთავისუფლება რუსული ჯარის დახმარებით, ყველა გვერდით დაუდგა და იბრძოდა. თქვენ წარმოიდგინეთ, ის მუსლიმანური მოსახლეობაც, რომლებიც ძალით იყვნენ გამუსლიმანებული, გვერდზე დაუდგნენ ძმებს – ჰუმანიტარულ დახმარებას უგზავნიდნენ იმ ადამიანებს, რომლებიც ჩვენს ტერიტორიებზე მოექცნენ. სხვათა შორის, იმ საფრანგეთმა, რომლის დროშებიც ჩამოვიფხატეთ ყველამ თვალებზე, არ ცნო ეს ტერიტორიები ქართულ ტერიტორიებად.

მახსოვს, სააკაშვილის ხელისუფლების სათავეში ყოფნის დროს, ერთ-ერთი თურქი ოლიგარქი, ალი ალთუნი ხმამაღლა ამბობდა სააკაშვილისდროინდელ მინისტრებზე, – თქვენს მინისტრებს ფარას რომ დავანახვებ, ცოლებსაც კი გამოიყვანენ სახლებიდან, არათუ ადგილებს გამომიყოფენ ქვეყანაში, რომ მეჩეთები ავაშენოო. ბოლოს, უკვე იმ დონეზე გაგულისდნენ, რომ ბათუმში აზიზიეს მეჩეთის მშენებლობა რომ ჩაეშალათ, იმუქრებიან, თუ არ აგვაშენებინებთ, თავებს დაგაჭრით ქართველებსო.

ფრთხილად უნდა იყოს ხელისუფლება. საზღვრებზე უნდა დააწესოს განსაკუთრებით მკაცრი კონტროლი. მიხედოს ამ ხალხს, რომ ლუკმაპურის საშოვნელად არ გაიტყუონ საზღვარზე, რომ მერე ფსიქოლოგიური ზემოქმედების მსხვერპლი არ გახდნენ და ისევ და ისევ ქრისტიანებთან საომრად არ გამოუშვან.

ამ დროს გამოდის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური და გვეუბნება, – სიმშვიდე შეინარჩუნეთ და აჟიოტაჟს არ აჰყვეთო. ნორმალური, ქმედითი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის პირობებში, ეს მოწოდება ჩაითვლებოდა ნორმალურად, იმიტომ, რომ შესაძლოა, მათნაირი ტვინგახურებული ქრისტიანიც მოიძებნოს და მუსლიმანიც და დასცხონ ერთმანეთს და დაიწყოს ძმათამკვლელი ომი, რაც არასდროს ყოფილა საქართველოში. ამისგან ღმერთმა დაგვიფაროს, მაგრამ რამდენად არის ეს ასე? მე რომ მომიწოდებ სიმშვიდისკენ, შენ ხარ ფხიზლად? ამ სამსახურის მუშაობა, ჩემს უარყოფით შეფასებას იმსახურებს.

**— რატომ? იქნებ განმარტოთ...**

– რომელ მუშაობაზეა საუბარი, როცა გამოდის დეპუტატი თამარ ხიდაშელი და პირდაპირ გასცემს სახელმწიფო სამხედრო საიდუმლოებას. ხიდაშელი გამოვიდა და ორ შაურად გაყიდა სამხედრო საიდუმლოება, პირდაპირ თქვა, მუხროვანის სამხედრო ბაზაზე რამდენი ჯარისკაცი იმყოფება და ა.შ.

ეს გააკეთა საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს წევრმა, კადრმა, რომელიც პარლამენტში შეტენეს უშუალოდ თავდაცვის მინისტრის მიერ გაყალბებული არჩევნებით.

როგორ შეიძლება სამხედრო საიდუმლოებაზე ასე საჯაროდ, ტელევიზიით საუბარი, რატომ არავინ არ იღებს ამაზე ხმას?! ასე დავმარცხდით ჩვენ აფხაზეთის ომში. გაჰკიოდნენ, – ესა და ეს ბატალიონი შეიკრიბოს ამა და ამ რიცხვში, ამ და ამ ადგილზეო. მაშინაც არავის ჰქონდა ამაზე პასუხი, იმიტომ, რომ ეს იყო პროვოკაცია, იყიდებოდა სახელმწიფო საიდუმლოებები.

მაგრამ ეს არავის ადარდებს – პრემიებია დღის თემა კვლავაც. თითქოს, ისე მუშაობენ, ქვეყანას ისე წარმატებულად მართავენ და ისეთი წინსვლაა ქვეყანაში, რომ პრემიები აუცილებლად ეკუთვნით. რის ხარჯზე, ხალხო, რის? ეკონომიკურად ამ დაქცეულ ქვეყანაში, სადაც არაფერი მუშაობს, რაც ფინანსებს მოიტანს, საიდან იხარჯება ეს თანხა? პრემია უნდა დარიგდეს მაშინ, როცა ყველა პრობლემის მოსაგვარებლად თანხა საკმარისია და იმის იქით რჩება რაღაც, რასაც მერე ყველაზე შრომისმოყვარე ადამიანებს აძლევ. ამათ კიდევ, რა გამოუთავისუფლდათ ისეთი, რომ ვერ გაძღნენ და ამის პარალელურად ოჯახების უმრავლესობა მშიერი დადის.

ყველაფერი-ყველაფერი, მაგრამ მე სხვა ფაქტი მაფიქრებს ყველაზე მეტად – რუსეთის თვითმფრინავი რომ ჩამოაგდო თურქეთის რესპუბლიკამ, ამას რუსეთი ასე იოლად არ ჩაყლაპავს. თურქეთს თავი ქუდში აქვს, ნატოს იმედადაა, ისედაც სამი ომი აქვს წაგებული რუსეთთან და ერთი სული აქვს, როდის მოუგებს.

სხვათა შორის, თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი რომ გამოვიდა, ასეთი რამ თქვა, – ბათუმი და სირიის გარკვეული ტერიტორიები, ათეული წლების წინათ, თურქეთის შემადგენლობაში შედიოდაო. ამ განცხადების გაშიფვრას არ სჭირდება არანაირი დიპლომატიური ენა. ცხადია, რომ ეს ნიშნავს შემდეგს – ეს ტერიტორიები უნდა დავიბრუნოთო.

**— სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური კი მოგვიწოდებს სიმშვიდისკენ, მაგრამ რატომ არ ჩანს გამოკვეთილი პოზიციით საპატრიარქო? რატომ დუმან?**

– პატრიარქმა კი ბრძანა ამ საკითხზე ქადაგებისას, თავისი მოსაზრება გამოთქვა. ისე კი, საერთოდ, იმდენად უგერგილოდ იქცევიან, რომ არც ამ შემთხვევაში ველოდი რაიმე სახის რიხიან განცხადებას. ან როდის გაგვიგონია მათგან ფხიანი განცხადებები?!

არადა, არ არის ეს კარგი. საქმე ეხება ქრისტიანობის დაცვას. ვისგან იქნება დასაცავი სარწმუნოება, ამას არ აქვს მნიშვნელობა – ქრისტიანობის დამცველს არც ეროვნება აქვს, არც სქესი და არც სახელი. ამ საკითხზე გაჩუმებას უფალი არ გვაპატიებს. უფლის მიმდევრები უნდა ვიყოთ და არა მამონასი.

არ გაგიკვირდეთ საპატრიარქოსგან ასეთი მოქცევა, წესად აქვთ ეს და მე სულაც არ ველი, რომ საპატრიარქოდან მსგავსი მიმართვის შემდეგ ვინმე გამოვა, ამას დაგმობს, ან ხელისუფლებას მოუწოდებს და ა.შ. ჩვენ კი ველით ასეთ რეაქციებს, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერაფერს მივიღებთ. იმიტომ რომ ადრე იყვნენ იმ მთავრობის მეხოტბეები, ახლა ამ მთავრობის მდიდებლები მიემატნენ და არიან ასე.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ავსტრიელი მოზარდი „ისლამური სახელმწიფოს“ დატოვების მცდელობისთვის ISIS-ის წევრებმა სასიკვდილოდ სცემეს



17 წლის ავსტრიელი, წარმოშობით ბოსნიელი სამრა კესონოვიჩი „ისლამური სახელმწიფოს“ წარმომადგენლებმა სიკვდილამდე სცემეს, ვინაიდან მან დაჯგუფებიდან წასვლა სცადა. ამის შესახებ გამოცემა „ინდეფენდენტი“ წერს. ფაქტი ცნობილი გახდა ერთ-ერთი ტუნისელი ქალისგან, რომელიც, ასევე, სირიაში წავიდა და „ისლამურ სახელმწიფოს“ შეუერთდა.

ის ქალაქ რაქაში სამრასთან და მის მეგობარ საბინასთან ერთად ცხოვრობდა. სამრა კესომოვიჩი სირიაში შარშან წავიდა. ის და საბინა ისლამისტების „სახეები“ გახდნენ – ისინი მუდმივად პოზირებდნენ ავტომატებით შეიარაღებული მამაკაცების გარემოცვაში. თუმცა, მოგვიანებით გაჩნდა ინფორმაცია, რომ სამრა მუდმივი მკვლელობებისგან დაიღალა, რომლის მოწმეც ხდებოდა ხოლმე და სამშობლოში დაბრუნება სურდა, რის გამოც ტერორისტულმა ორგანიზაციამ ის სასტიკად დასაჯა. მანამდე გაერომ გაავრცელა ინფორმაცია, რომ სამრას მეგობარი, 15 წლის საბინა სელიმოვიჩი სირიაში საბრძოლო მოქმედებების დროს დაიღუპა. (kvira.ge)

## ზოდიაქოს რომელი ნიშნის ქვეშ დაბადებულებს მოუტანს 2016 წელი სიმდიდრეს



2016 წელი განსაკუთრებით წარმატებული იქნება რამდენიმე ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებულებისთვის.

მომავალი წელი, ცეცხლოვანი მაიმუნის პატრონაჟის ქვეშ იქნება. სწორედ ეს ფაქტორი განაპირობებს თქვენს სიმდიდრეს. ცეცხლოვანი სტიქია სამი ზოდიაქოს ნიშნის მთავარი მამოძრავებელია: ვერძის, ლომისა და მშვილდოსნის.

სწორედ ამ ნიშნის ქვეშ დაბადებულები შეძლებენ იოლად მოიპოვონ სიმდიდრე, მაგრამ იმისთვის, რომ ხელიდან არ გაუშვათ წარმატება ზოდიაქოს ამ ნიშნის ქვეშ დაბადებულებმა, უნდა გაითვალისწინოთ მომავალი წლის სპეციფიკა. თქვენ, 2016 წელს მოჭარბებული ენერგია გექნებათ, ასე რომ, დახარჯეთ საქმეებში.

ეს პროგნოზი არ ნიშნავს იმას, რომ ზოდიაქოს სხვა ნიშნის ქვეშ დაბადებულებს გამდიდრების ნაკლები შანსი მიეცემათ. ასტროლოგები გირჩევენ, გაითვალისწინოთ თქვენი ნიშნისა და მაიმუნის ურთიერთდამოკიდებულება.

მაგალითად, ზაფხულის თვის ზოდიაქოებს, მაიმუნის მფარველობა მეტად აქვთ, რაც იმას ნიშნავს, რომ არა მარტო ლომები ხვდებიან ბედნიერ პერიოდში, არამედ ტყუპები, კიბო და ქალწულიც.

ხოლო, შემოდგომის, ზამთრისა და გაზაფხულის პერიოდის ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებულებმა, რომლებიც ვერ მოხვდნენ ცეცხლის სტიქიის ქვეშ, უნდა დაუჯერონ აღმოსავლურ სიბრძნეს: შეგიძლიათ, შეიძინოთ ფულის ხე და იქონიოთ თილისმა. (news.ge)

## „ვაპირებ, ვუჩივლო როგორც ლაბორატორიას, ისე ე.წ. სანდრას კლინიკას...“ — ახალგაზრდა დედა, რომელიც არასწორი ანალიზებით შოკში ჩააგდეს



არასწორ დიაგნოზებსა და მკურნალობაზე არაერთხელ დაგვიწერია. ექიმების შეცდომას არაერთი ადამიანის მდგომარეობა გაუუარესებია და სასიკვდილო შედეგიც კი დამდგარა. განსაკუთრებით შემაშფოთებელია, როცა არასწორი დიაგნოზი, არასწორი მკურნალობა თუ არასწორი ანალიზების პასუხები ბავშვებს ეხება. აქ ხომ ასმაგად მეტად პასუხისმგებლობით უნდა იყოს ექიმიც და ნებისმიერი სხვა მუშაკიც.



რაც ყველაზე სამწუხაროა, ხშირად მაშინ, როცა არაფერი ხდება, ადამიანს საშინელ დიაგნოზს ეუბნებიან და იმაზე არავინ ღელავს და მით უმეტეს, არავინ აგებს პასუხს, მცდარი დიაგნოზისგან ადამიანს რომ შეიძლება ელემენტარულად გული გაუსკდეს. არაერთი შემთხვევა გაგვიგონია, როდესაც ამა თუ იმ კლინიკაში მიღებული პასუხები შემდეგ სხვაგან გადაუმოწმებიათ და სრულიად სხვა პასუხები მიუღიათ. მსგავსი ფაქტები იმ კლინიკაშიც მომხდარა, რომელშიც ამჯერად ჩვენი კოლეგა (ნინო კანდელაკი) დაზარალდა. მას თავისი 2 თვის შვილი უნდა აეცრა და უთხრეს, რომ აცრამდე ანალიზი უნდა გაეკეთებინა, ვენიდან(!) აუღეს ანალიზი და მეორე დღეს ისეთი შოკისმომგვრელი პასუხები მიიღო, უკვე ეგონა, რომ შვილს რაღაც უკურნებელი დაავადება შეეყარა და კინაღამ გადაყვა ამაზე ნერვიულობას. გთავაზობთ მის პოსტს, რომელიც ანალიზების პასუხების გადამოწმების შემდეგ დადო და თან დავსვამთ რიტორიკულ შეკითხვას: არის ვინმე პასუხისმგებელი იმაზე, რომ ამ არასწორი პასუხების გამო ადამიანმა კინაღამ გულის შეტევა მიიღო? ვინმე აუნაზღაურებს ამ მორალურ ზიანს?!

– მოკლედ, ხალხნო, გუშინწინ 2 თვის ბავშვი მივიყვანე აღრიცხვაზე ასაყვანად ე.წ. სანდრას კლინიკაში. ვარკეთილში. ტერიტორიულად იქ უწევდა. გამიშვეს სისხლის ანალიზზე, აცრამდე სჭირდებაო.

გუშინ მოვიდა პასუხი და ბავშვს ჰქონდა როე 102. ნორმა 25-მდეა და შესაბამისად, ამ მონაცემით ბავშვი უნდა ყოფილიყო უმძიმეს მდგომარეობაში... არადა იდეალურ ხასიათზე იყო, ჭამდა, იცინოდა.

წუხელ როგორ გავათენე, არ მახსოვს... დილას წავიყვანე სხვა ლაბორატორიაში, რომელიც სპეციფიკურია და მეტად სანდო და სასწრაფოდ ახალი ანალიზი გავუკეთე (გუშინ ველარ მოვასწარი, ვიკეტებითო, რომ დავრეკე).

დაჩქარებული გავაკეთებინე და ახლა მომივიდა როეს პასუხი – 4. სრული შოკი მაქვს.

ბედნიერი ვარ, რომ ბავშვი ჯანმრთელია, მაგრამ ახლა მაინტერესებს, რა უნდა ვუყო ლუი პასტერის ლაბორატორიას, რომელიც ამ კლინიკას ემსახურება და რომლის ლაბორანტიც გუშინ ამტკიცებდა, რომ ორჯერ გადაამოწმა ბავშვის ანალიზი და ნამდვილად 102 ჰქონდა როე?

ამის გარდა, ყველა სხვა მონაცემში, რაც იმათთან ოდნავ მომატებული და ზღვარს ქვევით ჰქონდა, მშვიდობაა...

სრული შოკი მაქვს... ლაბორატორია სანდრას კლინიკას აბრალებს, სისხლი შეეშალათო, იმათ დავურეკე და გაგიჟდნენ, მოკვლევას ვიწყებთო. სრული ცირკია, მაგრამ მე რა ვქნა? ჯანდაცვის სამინისტროში მითხრეს, აუცილებლად შემოტანეთ სარჩელიო. ასეც ვაპირებ, სამშაბათს შევიტან სარჩელს და ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები.

იმედია, საქმით ჯანდაცვის სამინისტრო დაინტერესდება და რეალურად გამოიძიებენ, რათა მსგავსი პრეცედენტები აღარ იყოს და ასე უპასუხისმგებლოდ არ ექცეოდნენ ადამიანებს, რომლებიც სამკურნალო დაწესებულებებს მიმართავენ და იმედი აქვთ, სათანადო და სანდო მომსახურებას მიიღებენ. (mshoblebi.ge)

**ძალიან დამაფიქრებელი და შემზარავი ამბავია და რაც ყველაზე მთავარია, თავადაც გადამრია ამ კლინიკამ სულ რამდენიმე დღის წინ: ჩემი 6 თვის ვაჟი მეუღლესთან ერთად გეგმურ შემოწმებაზე მივიყვანე და გვითხრეს, ქირურგის კონსულტაციაც უწევსო. ქირურგმა ფეხებზე შეხედა და გვითხრა, — ერთი ნაოჭით მეტი აქვს, რენტგენი გადაუღეთო. რენტგენი იმავე კლინიკაში გადავუღეთ, პასუხი 15 წუთში გვითხრეს და მივბრუნდით ისევ „სანდრას კლინიკის“ ქირურგთან. გახედა სურათს „ლამპოჩკის“ შუქზე და, — ორმხრივი დისპლაზია აქვსო...**

**თავიდან ვერ მივხვდით, რას ნიშნავდა ეს „ორმხრივი დისპლაზია“, მაგრამ მერე რომ აგვიხსნეს, შეგვეშინდა, ბუნებრივია. კი, გამოსწორებადი პრობლემაა, მაგრამ ხანგრძლივი მკურნალობის თანხლებით. ესეც რომ არ იყოს, ახალგაზრდა მშობლებისთვის შვილის სულ მცირე უსიამოვნებაც ელდის მომგვრელია, შემაშფოთებელია, დაგვეთანხმებით, ალბათ.**

**პარასკევი იყო. იმ ღამეს არც ერთს არ მოგვიხუჭავს თვალი. მეორე დღეს სხვა ექიმთან გავქანდით, მაგრამ შაბათი მოკლე სამუშაო დღე რადგანაა, ვერ მიგვიღო. არც შაბათს დაგვიძინია, არც კვირას — ორშაბათის გათენებაზე ვოცნებობდით.**

**დაადგა საშველი და ნანატრი ორშაბათიც გათენდა. მივედით ექიმთან, რომელიც, როგორც ხდება ხოლმე, ახლობლებმა გვირჩიეს, — ასეთი და ისეთიაო... მიადო „სანდრას კლინიკის“ რენტგენის სურათი ამ ექიმმა სპეციალურ განათებულ ეკრანს, შემდეგ სახაზავით ზომა კარგა ხანს რაღაცები და... არავითარი ორმხრივი დისპლაზია ამ ბავშვს არ სჭირსო. ჰო, ისიც დააყოლა, რენტგენის სურათია ძალიან უხარისხო და ალბათ, იმიტომ ვერ დაინახეს კარგადო(!).**

**რატომღაც „სანდრას კლინიკაში“ სახაზავი არავის გამოუყენებია, არც სპეციალური ეკრანი — დიაგნოზის დასასმელად იქ მხოლოდ „ლამპოჩკა“ ეყოთ...**

**ახლა ანგარიში ასეთია 1:1 — ერთმა ექიმმა არასასიამოვნო დიაგნოზი დაგვისვა, მეორემ — გადასარევი, თუმცა კიდევ გვინდა ბავშვის სხვა ექიმებთან მიყვანა. უბრალოდ, რადგან ძალიან პატარაა, ხშირი რენტგენი არ შეიძლება და ცოტა ხანს მოიცადეთო.**

**ჩვენ კი მოვიცდით და იმედია, ყველაფერი კარგად იქნება, მაგრამ ექიმების უგულობას რამე ეშველება ამ ქვეყანაში ოდესმე? აი, ეს არის მთავარი საკითხი!!!**

***მიხეილ სახვაძე***

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატი: „პუტინი არის ბანდიტი და კრიმინალი“



ამერიკის პრეზიდენტობის რესპუბლიკელმა კანდიდატმა, ფლორიდის შტატის სენატორმა მარკ რუბიომ რუსეთის პრეზიდენტს კრიმინალი და ბანდიტი უწოდა – განცხადება ამის შესახებ რუბიომ „ფოქს ნიუსისთვის“ მიცემულ ინტერვიუში გააკეთა.

რუბიოს თქმით, თურქეთსა და რუსეთს შორის შექმნილი ვითარება კრიტიკული მომენტია და ამერიკა და მოკავშირე ქვეყნები წინ უნდა აღუდგნენ მოსკოვს. რუბიოს თქმით, დასავლურმა კოალიციამ რუსეთს არ უნდა მისცეს იმის საშუალება, რომ ამ ვითარებაში რუსეთმა სიტუაციაზე კონტროლი მოიპოვოს. პრეზიდენტობის კანდიდატის განცხადებით, თურქეთის მხარდაჭერა მკაფიო უნდა იყოს და თუ ის რუსეთის შეტევის მსხვერპლი გახდება, „ნატოს“ ალიანსი კითხვის ნიშნის ქვეშ მოექცევა.

– ვლადიმერ პუტინი არის ბანდიტი და კრიმინალი, მაგრამ ის, ასევე, არის გეოპოლიტიკური მოთამაშე, რომელიც მნიშვნელოვან და ყურადსაღებ გადაწყვეტილებებს იღებს. პუტინს მოუწევს, იმიჯის შესანარჩუნებლად რამე გააკეთოს, მაგრამ მან არ უნდა გამოსცადოს ალიანსი, შევძლებთ თუ არა ამის წინააღმდეგ ერთად დადგომას. და მისთვის ზურგში უფრო დიდი დარტყა ის იქნება, თუ ის კონფრონტაციაში დამარცხდება, – განაცხადა რუბიომ. (პირველი რადიო)

## „ხელისუფლებას ჭიკაიძის ამარა აქვს დატოვებული ძალიან რთული თემები“



– ხელისუფლებას ჭიკაიძის ამარა აქვს დატოვებული ძალიან რთული თემები... ოპერატიული მუშაკების დასაგეგმი სტრატეგიული უსაფრთხოების საკითხები ნამდვილად არ არის... – აღნიშნული განცხადება, ექსპერტმა გია ხუხაშვილმა გააკეთა.

ხუხაშვილი სახელმწიფო უსაფრთხოების საკითხებთან მიმართებაში ხელისუფლების დამოკიდებულებასა და მუშაობის სტილზე საუბრობს და აცხადებს, რომ მთავრობის აგდებული დამოკიდებულება უშიშროების საბჭოს ფორმატის მიმართ მეტყველებს იმაზე, რომ ხელისუფლებას უსაფრთხოების გრძელვადიანი სტრატეგია არ გააჩნია. მისივე თქმით, ხელისუფლებაში არიან ადამიანები, რომლებსაც პირადი და სახელმწიფო ინტერესები ერთმანეთში აქვთ აღრეული.

– მრჩება შთაბეჭდილება, რომ საქართველოს ხელისუფლება უფრო დაკავებულია ოპერატიული საკითხების გადაწყვეტით და გრძელვადიან სტრატეგიაზე ამ საკმაოდ რთულ სამყაროში მაინცდამაინც არ ფიქრობენ. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის აგდებული დამოკიდებულება უშიშროების საბჭოს ფორმატის მიმართ, რომელიც თუნდაც იმით განსხვავდება იმ ფორმატებისგან, რომ ხელისუფლების ყველა შტო იყრის თავს ერთად და ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, ეს კომბინაცია ძალიან მნიშვნელოვანია. ხელისუფლებას ჭიკაიძის ამარა აქვს დატოვებული ძალიან რთული თემები. ამას დაემატა ინციდენტი რუსული თვითმფრინავის ჩამოგდებასთან დაკავშირებით, რასაც ექნება ძალიან გრძელვადიანი, ძალიან სერიოზული შედეგები. ეს არ არის ჩვეულებრივი მოვლენა, იმიტომ, რომ ახალი რაკურსი გაჩნდა, ახალი ჭრილი გაჩნდა თურქეთ-რუსეთის, ფაქტობრივად, კონფლიქტის პირზე დადგა. მოგეხსენებათ, თურქეთი ნატოს წევრია და ძალიან რთული ვითარებაა. ამ ფონზე რომ შეიკრიბნენ და განიხილეს, მე არაფერი არ მაქვს საწინააღმდეგო ჭიკაიძისა და ჯანელიძის, მაგრამ ოპერატიული მუშაკების დასაგეგმი სტრატეგიული უსაფრთხოების საკითხები ნამდვილად არ არის, მათ არც კომპეტენცია და არც გამოცდილება ნამდვილად არ აქვთ. აქედან გამომდინარე, ეჭვი მაქვს, რომ ხელისუფლებაში ამაზე არავინ ფიქრობს. როგორც ჩანს, ჩვენ გვყავს ხელისუფლებაში ადამიანები, რომლებსაც სახელმწიფო ინტერესი, სახელმწიფოს რაობა საერთოდ ძალიან მსუბუქად წარმოუდგენიათ და აღრეული აქვთ ერთმანეთში პოლიტიკური ინტერესი, პირადი დამოკიდებულება, სახელმწიფო ინტერესი, ეს ყველაფერი ერთ აჯაფსანდალში აქვთ არეული. რა არის პრიორიტეტული, რა არის მეორეხარისხოვანი, სამწუხაროდ, ჩვენი ხელისუფლებისა და პოლიტიკური ელიტის 99 პროცენტს საერთოდ წარმოდგენა არ აქვთ, – განაცხადა გია ხუხაშვილმა. (პირველი რადიო)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## რამაზ საყვარელიძე: რუსეთი ნატოს გამოწვევას ცდილობს



რუსეთ-თურქეთს შორის არსებული დაძაბულობის გაგრძელებას არ გამორიცხავს პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე, თუმცა, აღნიშნავს, რომ სიტუაციის ესკალაციის შემთხვევაში, ორივე მხარე მაინც ეცდება, მშვიდობიანი ურთიერთობებისკენ გადადგან ნაბიჯები. როგორც პოლიტოლოგი აცხადებს, რუსეთი თურქეთის გამოყენებით ნატოს გამოწვევას ცდილობს.

– თურქეთის პრეზიდენტმა უკან დაიხია და გამოაცხადა, არ იცოდნენ, რუსეთის თვითმფრინავი თუ იყოო. გარკვეული დაძაბულობები ამ პროცესს მოჰყვება, თუმცა ორივე მხარე ეცდება, იპოვონ გამოსავალი, რომ მშვიდობიანი ურთიერთობისკენ გადადგან ნაბიჯები.

რუსეთის ფრენები თურქეთის საჰაერო სივრცეში ადრეც იყო. რაში სჭირდება ეს მას? საჰაერო სივრცის დარღვევას უსიამოვნების მეტი არაფერი მოჰყვება. სავარაუდოა, რომ თურქეთის გაღიზიანება, გარკვეული თვალსაზრისით, შედის რუსეთის გეგმებში. მოგეხსენებათ, რახან რუსეთმა თავისი ახალი ამპლუა იპოვა და სირიის პროცესების ხარჯზე მოღონიერდა, ის ეცდება, მაქსიმალური სარგებელი ნახოს ამ სიტუაციიდან. თურქეთი გახდება რუსული პოლიტიკური თამაშების ერთ-ერთი პოლიგონი; მით უმეტეს მაშინ, როცა თურქეთი ნატოს წევრი ქვეყანაა. ფაქტობრივად, თურქეთთან გაბედული მოქმედებით, რუსეთი ნატოს უცხადებს გამოწვევას, მოძრაობს ნატოსთან დაპირისპირების ზღვარზე, სადაც თურქეთი მხოლოდ საბაბია და არა რეალური მიზეზი, – მიიჩნევს რამაზ საყვარელიძე. (რეპორტიორი)

# 2012 წლის ოქტომბერში ჩალაგებული ჩემოდნები „ნაცებს“ „ქართულმა ოცნებამ“ ამოალაგებინა და ა, ბატონო, შედეგი — დამნაშავეები თავზე დაგვასვა!

## აღარ გვაქვს თქვენი იმედი, „ოცნება“!







ლევან ჯავახიშვილი
577 51-73-37



საპარლამენტო უმრავლესობის წევრი კარლო კოპალიანი პარლამენტის სხდომაზე „ნაციონალურ მოძრაობას“ დაუპირისპირდა, წარსული შეახსენა და მათი საქმიანობის გამოძიება მოითხოვა:

**„ბატონების — ბაქრაძისა და კანდელაკის „პატრიოტული“ საქმიანობის შესახებ ევროსტრუქტურებში ყველამ იცის. ეს გახლავთ სერგო ორჯონიკიძეობა, რაც პოლიტიკოსების ენით კვალიფიცირდება, როგორც სამშობლოს ღალატი. ეს სისხლიან რევოლუციასა და ტერორიზმზე არანაკლები დანაშაულია. ასეთმა ადამიანებმა ენა საბოლოოდ უნდა ჩაიგდონ მუცელში და დადუმდნენ. მათ შანსი ჰქონდათ და არ გამოიყენეს. საჭიროა გამოძიებული იქნას მათი საქმიანობა. კერძოდ, ვინც ეკლესიებს ანგრევდა, ვინც კლავდა, ვინც იჭერდა და ატერორებდა, ვინც ანგრევდა ეკონომიკას და განათლების სისტემას, ვინც დახოცა 100-ზე მეტი ახალგაზრდა ქუჩებში, — განაცხადა კოპალიანმა.**

**„ალია“ კარლო კოპალიანს ესაუბრა:**

**— ბატონო კარლო, აბა, დავიწყოთ, კონკრეტულად რა დანაშაულს ედავებით „ნაცმოძრაობის“ წევრებს?**

– მაგათ დანაშაულს რა ჩამოთვლის... მთელი 9 წელი შეგნებულად ანგრევდნენ ქვეყანას. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მხედველობაში მქონდა პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის განცხადება, რომ ევროსაბჭოს დეპუტატები გიორგი კანდელაკი და დავით ბაქრაძე ევროპარლამენტის დეპუტატებს, სხვა ევროსტრუქტურების წარმომადგენლებს სთხოვდნენ, რომ ჩვენი ხელისუფლების პირობებში, საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაცია არ მიეცათ. არადა, ეს საკითხი ახლა, 15 დეკემბერს უნდა გადაწყდეს. არ არის ეს საკუთარი ქვეყნის მტრობა? საკუთარი ხალხის ღალატი? ეს რა, პირველი შემთხვევაა, როცა ეს ხალხი საკუთარ ქვეყანას მტრობს? ვიმეორებ, 9 წელი სხვა არაფერი უკეთებიათ და ახლაც იმავეს აგრძელებენ.

**— „ნაციონალები“ რომ მავნებლები და ამ ქვეყნის მტრები არიან, ეს ახალი არ არის. ეს პოლიტიკური ძალა ასე რომ მოძლიერდა, რევოლუციით რომ იმუქრება და ხელისუფლებაში დაბრუნებას აპირებს, ეს „ქართული ოცნების“ ბრალი და დანაშაულია ხალხის წინაშე. რატომ მიიყვანეთ აქამდე საქმე, როცა გქონდათ შანსი, ამ დამნაშავეთა ბანდის ყველა ლიდერი გაგესამართლებინათ და საერთოდ აგეკრძალათ „ნაცმოძრაობა“? ხალხმა ბევრი იბრძოლა მათ მოსაშორებლად და ამ ბრძოლის შედეგი წყალში ჩაყარა „ქართულმა ოცნებამ“. რაც მთავარია, „ნაცმოძრაობა“ ახერხებს და საქებარ პიარკამპანიებს აწარმოებს, რასაც „ქართული ოცნება“ ვერაფერს უპირისპირებს!**

– კი, ბატონო, 2012 წლის 1-2 ოქტომბერს, „ნაცმოძრაობის“ ლიდერებს ჩემოდნები ჩალაგებული ჰქონდათ, თვითმფრინავის ბილეთები ჰქონდათ აღებული და ქვეყნიდან გარბოდნენ, ბევრი გაიქცა კიდეც. კურდღლებივით იყვნენ შეშინებულნი, რადგან იცოდნენ, რომ ძალიან ბევრი დანაშაული ჰქონდათ ჩადენილი და სასჯელის ეშინოდათ. შემდეგ კი ე.წ. კოაბიტაციის პერიოდში, მთავრობამაც, პარლამენტმაც „ნაცმოძრაობის“ იმ წევრებს, რომელთაც ან დანაშაული არ ჰქონდათ ჩადენილი, ან მძიმე დანაშაულში არ იმხილებოდნენ, შანსი მივეცით, დარჩენილიყვნენ პოლიტიკაში თუ საჯარო სამსახურში, საზოგადოების ნორმალურ წევრებად. თუმცა, ეს შანსი მათ დაკარგეს. იმის ნაცვლად, რომ შეიგნონ საკუთარი დანაშაული, პირიქით, აქეთ გვამეტებენ თავს, პატრიოტობას იბრალებენ ეს ქვეყნის მტრები და ხალხსა და ქვეყანას რა დაუშავონ, მარტო იმაზე ფიქრობენ. უკვე აქეთ გვემუქრებიან, დავბრუნდებით ხელისუფლებაში და მერე ვნახოთო.

**— დიახ, სწორედ მაგას ვგულისხმობ — შესანიშნავი ტაქტიკით გებრძვიან და ვერაფერს უპირისპირებთ.**

– ცხადია, ეს ჩვენი ბრალია, ჩვენი შეცდომებისა და გამოუცდელობის. იმ ჰუმანურობის ბრალიც არის, რომელიც ამ პარტიის დამნაშავე ლიდერების წინაშე გამოვიჩინეთ. ეს ჰუმანური მიდგომა ამათ ცუდად გაიგეს. ახლა მოვუწოდებ ჩემს კოლეგებს, საზოგადოებას, უნდა დაიწყოს ფართომასშტაბიანი მოძრაობა ამათ წინააღმდეგ, დევნა კი არ დავიწყოთ ეგრევე, ვიმსჯელოთ, უნდა იყოს თუ არა „ნაცმოძრაობა“ ქართულ პოლიტიკაში? აქვს ამის უფლება?

**— 2012 წელს ლამის მთელმა საზოგადოებამ გადადო თავი და საკუთარი სიცოცხლის ფასად დაუპირისპირდა „ნაცმოძრაობას“, შედეგად კი არაფერი მიიღო! ისევ საზოგადოებას სთხოვთ ფართომასშტაბიან მოძრაობას? მაშ, რისთვისღა აგირჩიეთ?**

– იცით, რა – თუ დადასტურდა ფაქტებით, რომ მთელი პარტია ჩართული იყო დანაშაულებრივ საქმიანობაში, მაშინ უნდა აიკრძალოს. წარსულს თავი დავანებოთ, დღეს ამათი გიჟი ექსპრეზიდენტი და პარტიის თავმჯდომარე სისხლისღვრისა და რევოლუციისკენ მოუწოდებს თავისი პარტიის ლიდერებს და მგონია, ესეც საკმარისია, რომ „ნაცმოძრაობა“ აიკრძალოს.

**— აბსოლუტურად გეთანხმებით, მაგრამ აქამდე არ უნდა მოგეყვანათ საქმე, რომ ამათთვის რევოლუციაზე ფიქრის შანსი დაგეტოვებინათ. ჰუმანურობა ახსენეთ და ჰუმანურობას იმ ადამიანების წინაშე იჩენენ, ვინც საკუთარ დანაშაულს აღიარებს, ინანიებს და სხვა დანაშაულის ჩადენაზე არ ფიქრობს. ესენი კი თავიანთ ყველა დანაშაულს ამართლებენ, სინანულის გრძნობა არ გააჩნიათ და ახალ-ახალ დანაშაულს ამზადებენ. თქვენი ჰუმანურობა კი სრულიად უადგილო იყო.**

– დიახ, დიახ, გეთანხმებით, გეთანხმებით, რა თქმა უნდა. იმდენად ხელიდან წასული ხალხია, რომ საკუთარი დანაშაულის ჩვენთვის გადმობრალებას ცდილობენ, თუნდაც გაუპატიურების კადრები ავიღოთ. მედიით ცდილობენ ვითომ იმის დამტკიცებას, რომ ეს კადრები დადგმული იყო, ანუ ჩვენ ვართ დამნაშავენი და ესენი ანგელოზები არიან, იქით გვიტევენ. ცხადია, ისინი უნდა დაისაჯონ. რომაული ანდაზაა: ქვეყნიერებაც რომ დაიქცეს, სამართალი უნდა აღსრულდეს.

**— 3 წელია, რაც ხელისუფლებაში ხართ და რით ვერ აღასრულეთ სამართალი? როდისღა უნდა დაისაჯონ ეს დამნაშავენი. ხალხი უკვე დაიღალა ლოდინით, „ნაცმოძრაობის“ ლამის ყველა წევრი ჩართული იყო დანაშაულებრივ საქმიანობაში და მხოლოდ მათი ლიდერების უმცირესი ნაწილი გაასამართლა ხელისუფლებამ, დანარჩენები ძალიან კომფორტულად ცხოვრობენ და ამით დასცინიან იმ ხალხს, ვინც მათ მოსაშორებლად თავი გადადო. ამ ხალხმა მოგიყვანათ ხელისუფლებაში, ბატონო კარლო.**

– ამაშიც გეთანხმები. მე არ განვეკუთვნები იმათ კატეგორიას, ვინც აცხადებენ, რომ ქვეყანაში ყველაფერი კარგად არის და შეცდომები არ დაუშვია ხელისუფლებას. ძალიან ბევრი ადამიანია დღეს ქონებაწართმეული, ღირსებაშელახული და ეს ხალხი სამართლიანად ითხოვს მათ დასჯას, ვინც ეს უბედურებები დამართა. საკამათოც არ არის, ეს ადამიანები რომ დაისაჯონ. სახელმწიფო პოლიტიკა იქითკენ უნდა იყოს მიმართული, რომ, თუ რაიმე არაკანონიერი მოხდა წარსულში, ის არაკანონიერება უნდა გასწორდეს. სამართლიანობა აუცილებლად უნდა აღდგეს, დამნაშავენი უნდა დაისაჯონ. ამის გაკეთება იმისთვისაც საჭიროა, რომ თუნდაც ჩვენი კოალიციის წარმომადგენლებმა არ იფიქრონ, რომ თუ ვიღაცა დარჩა კონკრეტული დანაშაულისთვის დაუსჯელი, იმგვარ დანაშაულს მეც ჩავიდენ და შემრჩებაო. მე კატეგორიული ვარ ამ საკითხში. ე.წ. სამართლიანობის აღდგენის დეპარტამენტია შექმნილი მთავარ პროკურატურაში და 8 თვის მანძილზე 4 თუ 5 მანქანაა დაბრუნებული, როცა მილიარდობით ქონება წაართვეს ხალხს „ნაციონალებმა“, ნაწილი თავად გადაიფორმეს და ნაწილი სახელმწიფოსთვის აჩუქებინეს ხალხს. კი, ეს ნონსენსია, მაგრამ იმ დეპარტამენტში 10 კაციც არ მუშაობს, მგონი, და 20 ათასზე მეტი საჩივარია შესული ამ ქონების წართმევაზე. ახლა, 10 კაცი 20 000 საქმეს როგორ და როდის გამოიძიებს? აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ პროკურატურა, სასამართლო სისტემა გასაწმენდია, ბევრი სავარაუდო დამნაშავე მუშაობს. ქონების წართმევის ფაქტზე ისეთ პროკურორებსა და გამომძიებელს აწერენ საქმეს, რომლებიც ამ ქონების წართმევაში უშუალოდ მონაწილეობდნენ. ასეთი პროკურორი და გამომძიებელი რა სამართლიანობას აღადგენს? თუმცა, აქ ის პრობლემაა, რომ კადრები არ არიან, 150 კაცი მუშაობს სულ პროკურატურაში და ისინიც რომ გაუშვა, პროკურატურის პარალიზება მოხდება. ეტაპობრივად უნდა მოხდეს ამ ხალხის გაშვება და ახლებით ჩანაცვლება.

**— მოდით რა, პირდაპირ ვთქვათ, ამ ხელისუფლებას არ უნდა ეს სამართლიანობის აღდგენა და ამ პროცესს ხელს რომ უშლის, ეს სწორედ ამ დეპარტამენტის მიმართ მისი დამოკიდებულებიდანაც ჩანს. მაპატიეთ, მაგრამ ეს ხალხის აბუჩად აგდებაა, როცა 20 000 დაზარალებულის საქმის გამოძიება 10 პროკურორისა და გამომძიებლის კისერზეა და თან ხალხს არწმუნებენ, სამართლიანობის აღდგენა ჩვენი პრიორიტეტიაო.**

– არა, ხელისუფლებას აქვს ნება, რომ აღადგინოს სამართლიანობა. კი, ეს პროცესი ძალიან შეფერხებით მიდის, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ტემპი დაჩქარდება.

**— დე ფაქტო ხელისუფალი დღეს ბიძინა ივანიშვილია და რაც არ უნდა ვიძახოთ, ხელისუფლებას სამართლიანობის აღდგენის ნება აქვსო, რასაც ის კაცი იტყვის, მაინც ისე იქნება. ეტყობა, ივანიშვილს არ სურს, ეს პროცესი ბოლომდე მიიყვანოს, შესაძლოა, მართლა საერთაშორისო ზეწოლის ეშინია, თორემ დღეს „ნაცმოძრაობის“ არც ერთი დამნაშავე ლიდერი არ იქნებოდა გარეთ, ყველას დააჭერინებდა. თავად კი არის არხეინად და ხალხის დაკვეთა, მისივე მთავარი დაპირება, აღარ აინტერესებს.**

– სამართლიანობა უნდა აღდგეს კანონიერად, დამნაშავენი უტყუარი მტკიცებულებების საფუძველზე უნდა დაისაჯონ და არა ისე, როგორც ამას „ნაციონალები“ აკეთებდნენ, კიდევაც იჭერდნენ, საქმესაც თავად კერავდნენ და ასამართლებდნენ კიდეც. დამნაშავეთა დასჯის პროცესი სამართლებრივად უნდა წარიმართოს, ახლა ერთ დღეში რომ მოკიდო ხელი და ყველა დაიჭირო, ატყდება ერთი ამბავი, მათ შორის საერთაშორისო არენაზე, დაიწყება პოლიტიკურ დევნაზე ლაპარაკი და ატყდება ერთი ამბავი, ამიტომ ამ პროცესს შესაძლოა, 4-5 წელი დასჭირდეს.

**— 3 წელზე მეტი კი გავიდა, რაც ხელისუფლებაში ხართ, ბატონო კარლო და...**

– აუცილებელია, რომ პროკურატურა და სასამართლო იდგნენ მოწოდების სიმაღლეზე, რომ ყოველგვარი პოლიტიკური სპეკულაცია გამოირიცხოს. რაც შეეხება ბიძინა ივანიშვილს, მის სახელს წაღმა-უკუღმა ატრიალებენ „ნაციონალები“, ყველა კონტექსტში ახსენებენ, რადგან ამ კაცმა დაუნგრიათ ოცნებები, მოაშორა ხელისუფლებიდან, როცა ფიქრობდნენ, რომ კიდევ 100 წელი იქნებოდნენ ამ ხელისუფლებაში.

**— ბატონო კარლო, დამნაშავე „ნაციონალთა“ დასჯის მომხრე ხართ და საზოგადოების, მედიის, არასამთავრობო სექტორის მიერ მრავალ დანაშაულში მხილებული გიორგი ბარამიძე, როლანდ ახალაია, ბაჩო ახალაიას ყოფილი მოადგილე, კახა ბუცხრიკიძე და სხვა ამისთანები პარლამენტში გისხედან, კომფორტი არ აკლიათ და სადეპუტატო იმუნიტეტი იცავთ. ადექით, ამ ხალხს ეს იმუნიტეტი შეუწყვიტეთ, მათ წინააღმდეგ აღძრული საქმეები ბოლომდე გამოიძიეთ და რასაც იმსახურებენ, ის დაუყვედრებლად მიეცით — გლდანის ციხის საგზური. ამით დაანახვებთ ხალხს, რომ მართლა გსურთ სამართლიანობის აღდგენა ქვეყანაში. ამის ნაცვლად, მაგ ხალხთან თანამშრომლობთ უმრავლესობის წევრები და ზოგიერთები, მათთან ერთად, რესტორნებშიც ქეიფობენ.**

– კი, მართალია, უნდა დაისაჯოს ყველა დამნაშავე და არანაირი იმუნიტეტი არ უნდა იცავდეს მათ.

**— ფაქტია, რომ იცავს და დღეს პარლამენტი კრიმინალებით არის სავსე.**

– გასაგებია, მაგრამ, თუ ვინმეს წინააღმდეგ არის საქმე აღძრული, გამოძიება მიმდინარეობს, შედეგები აუცილებლად დაიდება და ვისაც დანაშაული დაუმტკიცდება, მათ დასჯიან კიდეც.

**— როდისღა, ბატონო კარლო? 3 წელი გაფლანგა ამ ხელისუფლებამ... მოაწყვეთ ერთი ნიურნბერგის პროცესის მსგავსი სასამართლო, გაუშვით ყველა დამნაშავე „ნაციონალი“ ციხეში და აკრძალეთ ეს პარტია საერთოდ.**

– სიმართლე გითხრათ, მაგის მომხრე ვარ, უნდა დაიდოს კონკრეტული მტკიცებულებები ამ პარტიის დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ და სამართლებრივად, თუ ასაკრძალია, უნდა აიკრძალოს. ცხადია, მისი დამნაშავე ლიდერებიც უნდა დაისაჯონ, იმ ტინგიცა და სამარცხვინო სააკაშვილის ჩათვლით. ეს ყველაფერი მოხდება აუცილებლად. კი, ჩვენ შეცდომებიც დავუშვით, ზედმეტი ჰუმანურობაც გამოვიჩინეთ, მაგრამ სამართლიანობის აღდგენაზე ხელი არ აგვიღია. ვიცი, რომ ხალხი უკმაყოფილოა ამ პროცესის ხარვეზებით, ნელი ტემპით, მაგრამ ის მაინც მივა ბოლომდე.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## გიორგობის დღესასწაულზე მცხეთაში 71 წლის სალოსი მეუფე ილარიონი სასულიერო პირებმა სცემეს?



**დედა ნათიას (სირაძე) განცხადებით, 23 ნოემბერს, გიორგობის დღესასწაულზე მცხეთაში 71 წლის სალოსი მეუფე ილარიონი სასულიერო პირებმა სცემეს. დედა ნათიას განცხადებით:**

– 23 ნოემბერს, გიორგობის დღესასწაულს სამთავროს დედათა მონასტერში წავედით მოსალოცად. მე 2012 წლიდან ვარ მეუფესთან ერთად და გიორგობის დღესასწაულზეც ვახლდი ტაძარში. წირვის დროს, მეუფესთან ხალხი მივიდა და სთხოვა, დაგვლოცეო, რაზეც მღვდლები გაღიზიანდნენ და მეუფეს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. დაგვატოვებინეს ტაძარი, ეზოში გამოსულს კი ვიღაც ბიჭმა მცემა, ახლაც მაქვს თავის ტკივილები. გამოვიძახე საპატრულო პოლიცია, მცხეთის პოლიციის უფროსს ვთხოვდი, დაეკითხა მოწმეები, რომლებიც ჩემი და მეუფის შეურაცხყოფის ფაქტს გამოესარჩლნენ და ადგილზე იმყოფებოდნენ, მაგრამ პოლიციამ ისინი არ დაკითხა. გვითხრა, ჩვენ დავადგენთ, ვინ არის დამნაშავეო, მონასტრის წარმომადგენლებმა კი განუცხადეს, რომ მეუფე ტაძარში ყვიროდა და ამიტომ დაატოვებინეს ტაძარი. მამა გაბრიელიც ყვიროდა ტაძარში, მაგრამ მას და მეუფე ილარიონს აქვთ ამის უფლება, რადგან ისიც წმინდანია. ადგილზე მოსული პოლიცია დაგვპირდა, ყველაფერს გამოვიძიებთო, დავუკავშირდი, მაგრამ ჯერ არანაირი გამოძიება არ ყოფილა. იმ დღეს სასწრაფო დახმარების გამოძახებაც დაგვჭირდა, რადგან მთელი დღის მანძილზე საჭმელი არ მქონდა მიღებული, ჩათვალეს, რომ შიმშილის გამო მქონდა გულისრევა და თავის გაუსაძლისი ტკივილები. მაგრამ ხანდახან რამდენიმე დღე ვშიმშილობთ და ასე ცუდად არასდროს გავმხდარვარ. თავად მეუფემ კი უარი თქვა ექიმის მომსახურებაზე, მას მხედველობა არ აქვს და ამბობს, რომ ახლა თვალი უფრო ძლიერად სტკივა.

**— რომელმა მღვდლებმა მოგაყენეს შეურაცხყოფა თქვენ და მეუფეს?**

– ასე არ მახსოვს, თუ მაჩვენებენ, სახეზე ყველას ამოცნობა შემიძლია. მეუფე 17 წელი მდუმარებაში იმყოფებოდა, მას დევნიან ეკლესიიდან. ეს პირველი შემთხვევა არ ყოფილა, როცა მას ეკლესიაში შეურაცხყოფა მიაყენეს.

**ინფორმაცია შსს-ს პრესსამსახურშიც დაგვიდასტურეს. უწყებაში განმარტეს, რომ დედა ნათიას ცემის ფაქტზე გამოძიება დაწყებულია 125-ე მუხლით, მეუფის ცემის ფაქტს უწყება არ ადასტურებს.** (ambebi.ge)

# რაზე ისაუბრეს და შეთანხმდნენ

ნინო სამხარაძე
599 71-14-22



24 ნოემბერს „პატრიოტთა ალიანსმა" ხელისუფლებასთან მოლაპარაკების შემდეგ შიმშილობა შეწყვიტა, თუმცა ეს არის დროებითი ტაიმ-აუტი, ვიდრე ხელისუფლება არ შეასრულებს „პატრიოტთა ალიანსის" მოთხოვნებს. მთავარია, რომ გაუმჯობესდეს საარჩევნო გარემო. ერთ-ერთი პუნქტის მიხედვით, „პატრიოტთა ალიანსი" ითხოვს ამომრჩეველთა არჩევნებზე გამოცხადებას და აბსენტეიზმის (მოსახლეობის გულგრილი დამოკიდებულება პოლიტიკური ცხოვრებისადმი, უარის თქმა სხვადასხვა დონის არჩევნებში მონაწილეობაზე. – ნ.ს.) წინააღმდეგ პრევენციული ზომების გატარებას. აბსენტეიზმი გულისხმობს არჩევნების ბოიკოტს და ბევრი ქვეყანა, მათ შორის ევროპული ქვეყნები ამ კანონს ამუშავებენ ურჩი ამომრჩევლების წინააღმდეგ, ვინც არჩევნებს ბოიკოტს უცხადებს. მათ შორის ჩვენი მეზობელი თურქეთიც ამ კანონმდებლობით მუშაობს. თუკი ამომრჩეველი არ გამოცხადდება არჩევნებზე, მას ემუქრება საჯარიმო სანქციები და შავ სიაში შეყვანა. მაგალითად, ბიზნესმენს შეეზღუდება უფლებები, აიღოს კრედიტი ბანკიდან და გადალახოს ქვეყნის საზღვრები. თუმცა იმ ქვეყნებში, სადაც აბსენტეიზმი კანონით რეგულირდება, დაბალია ხელისუფლების მხრიდან მოსახლეობის მოტყუება და „გადაგდება". რაც შეეხება

**საქართველოს, პოლიტიკოსები მაქსიმალურს ითხოვენ ხალხისგან, მაგრამ მინიმალურის გაცემაც კი უჭირს. თუკი პოლიტიკოსები ითხოვენ, რომ ხალხის არჩევნებში მონაწილეობა კანონით გახდეს სავალდებულო, წინააღმდეგ შემთხვევაში ადამიანები დაჯარიმდებიან და მათ უფლება არ მიეცემათ, ქვეყნის საზღვრები დატოვონ,**

ჩვენს ხელთ რა მექანიზმია, რომ ვაკონტროლოთ ხელისუფლება და თუკი არ შეასრულებს დაპირებებს, გადავირჩიოთ?

**იურისტი ვალერი გელბახიანი იყო ის ერთ-ერთი პირველი პოლიტიკოსი, რომელიც ითხოვდა, რომ კანონით სავალდებულო გამხდარიყო არჩევნებში მონაწილეობა. „ალიასთან" საუბარში ვალერი გელბახიანი აცხადებს:**

– ეს არ არის „პატრიოტთა ალიანსის" მიერ წამოწეული ინიციატივა, პოლიტოლოგიაში არის ცნება, რომელსაც ჰქვია აბსენტეიზმი, რომელიც არაერთხელ იდგა საქართველოს პარლამენტის განხილვის დღის წესრიგში, რომ სავალდებულო გამხდარიყო ამომრჩეველთა მისვლა არჩევნებზე, რათა არჩეული ხელისუფლება ყოფილიყო ლეგიტიმური და მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას საკუთარი ნება დაეფიქსირებინა. ჩვენ ვნახეთ, რომ არჩევნებს 60% ბოიკოტს უცხადებს, შესაბამისად,

**არჩევნები არ არის ლეგიტიმური, რადგან მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა ამა თუ იმ პოლიტიკოსს ხმას არ აძლევს.**

ხელისუფლებას რომ ჰქონდეს უფლება, ხალხის სახელით ილაპარაკოს, ასეთ შემთხვევაში საჭიროა არჩევნებში მონაწილეობის გამკაცრება, ჩვენ გვაქვს სერიოზული პრობლემა.

**— ბალანსი არ არის ხალხსა და ხელისუფლებას შორის და თუკი კანონში ჩაიწერა, რომ სავალდებულოა არჩევნებში მონაწილეობა, წინააღმდეგ შემთხვევაში დაგვიწესდება სანქციები, ეს უფრო დიდ უკმაყოფილებას გამოიწვევს, რადგან ხელისუფლებას აქვს ბერკეტი, გვაკონტროლოს, საკუთარი კეთილდღეობა ჩვენით შეიქმნას, მოგვატყუოს და ჩვენ არ გვაქვს მექანიზმი, რომ ვადაზე ადრე გადავირჩიოთ მატყუარა ხელისუფლება.**

– მესმის თქვენი კითხვის პათოსი, მაგრამ მოსახლეობას პასუხისმგებლობის გრძნობა აუმაღლდება, წარმოიდგინეთ, ახალგაზრდობის 60% დაინტერესებული არ არის პოლიტიკით და არ მიდის არჩევნებზე, მაგრამ მას რომ ეცოდინება, რომ უცხოეთში ვერ წავა, თუ მინიმუმ ორ არჩევნებში გამოცხადება არა აქვს დაფიქსირება, ასეთ შემთხვევაში ის წავა და თავის არჩევანს დააფიქსირებს. რასაც მეკითხებით, თუ რა მექანიზმი უნდა ჰქონდეს ხალხს იმისთვის, რომ მატყუარა ხელისუფლება ვადაზე ადრე გადაირჩიოს, დემოკრატიულ ქვეყნებში ასეთი ბერკეტი აქვს ხალხს თვითმმართველობის რგოლში. დეპუტატის გამოწვევა ხდება, მაგრამ საპარლამენტო კორპუსის გამოწვევა დემოკრატიად არ აღიქმება.

**— ჩვენ ვსაუბრობთ დემოკრატიულ ქვეყნებზე, მაგრამ, როცა ხელისუფლება საქართველოში მოდის ტყუილის გზით, მაგალითად, „ქართული ოცნება" შეგვპირდა სამართლიანობის აღდგენას, სამუშაო ადგილების შექმნას, კომუნალური გადასახადების განახევრებას და არაფერს მისრულებს, ისიც კი არ აინტერესებს რამდენს ვუხდით ხელფასს და ვუყურებთ, როგორ მდიდრდებიან. აქეთ მავალდებულებს, თუ არჩევნებზე არ გამოხვალ, დაგაჯარიმებ და ცხოვრებას „გაგიშავებო". თავის დასაცავად და ასეთი უმაქნისი ხელისუფლება რომ მოვიშოროთ, რა მექანიზმი გვაქვს, ხალხი ხომ ხელისუფლების წყაროა?**

– რა კითხვასაც თქვენ სვამთ, ეს არის სამართლიანობის საკითხი. თუ საზოგადოების საქმიანობა გაიზრდება კანონშემოქმედებაში და ინსტიტუციონალიზაცია მოხდება სისტემის, რა თქმა უნდა, ეს გარკვეული ბალანსის საფუძველი იქნება, მაგრამ არის მეორე გზა, თუ ხალხს არ მოსწონს კანონი, მას უნდა ჰქონდეს უფლება, მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს. დღეს კი ამის უფლება ყველას არ აქვს, ამიტომ უნდა გაფართოვდეს მოქალაქეთა წრე და მოქალაქეებს კანონის გასაჩივრების უფლება მიეცეთ. ასეთ შემთხვევაში საზოგადოების აქტივობა გაიზრდება და ბუნებრივია, უფრო მეტი კონტროლის ბერკეტი ექნება საზოგადოებას მთავრობის მიმართ.

**ჯერჯერობით, არ მოვიდა ისეთი მთავრობა, რომელიც ხალხთან ბალანსზე იფიქრებს, ყველა ფიქრობს, რადგან მოვედი, ვისარგებლებ დღევანდელი ძალაუფლებით და გამოვიყენებ ჩემი პირადი ინტერესისთვის და არა ხალხისთვისო.**

ამიტომ, რასაც თქვენ ამბობთ, მარტო გაზეთის პოზიცია არ უნდა იყოს ეს და გიდასტურებთ, რომ ხალხის როლია გასაზრდელი და ეს უნდა იყოს ხალხის პოზიციაც. მათ უნდა მოითხოვონ გნებავთ, მიტინგებით, გნებავთ, მანიფესტაციებით, რომ ხალხს მიეცეს უფლება, გაასაჩივროს ესა თუ ის კანონი, რაც მათთვის მიუღებელია. აი, ეს შეცვლის ვითარებას და მოხდება მეტნაკლები ბალანსირება ხალხსა და ხელისუფლებას შორის.

**დასრულდა თუ ეს რაუნდი ხელისუფლების სასარგებლოდ? რაზე შეთანხმდნენ მხარეები? ამ და სხვა საკითხებზე „ალიასთან" საუბარში „პატრიოტთა ალიანსის" ლიდერი დავით თარხან-მოურავი აცხადებს:**

— „პატრიოტთა ალიანსმა" შიმშილობა ხელისუფლებასთან დიალოგის შემდეგ შეწყვიტა, თქვენი ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება, გამყალბებლების დასჯა და ხიდაშელ-აგულაშვილის გადაყენება იყო. თანახმაა ხელისუფლება, რომ მინისტრობიდან მოხსნას თავდაცვისა და გარემოს დაცვის მინისტრები? მაგალითად, რა მოთხოვნა დააკმაყოფილა ხელისუფლებამ აქციების შედეგად?

– ვინ თქვა, რომ ჩვენი მთავარი მოთხოვნა იყო ხიდაშელისა და აგულაშვილის გადაყენება? ჩვენი მოთხოვნები პირველივე დღიდან იყო ძალიან მკაფიოდ ჩამოყალიბებული. ჩვენ ვამბობთ, რომ არჩევნები გაყალბდა და უნდა აღიძრას სისხლის სამართლის საქმე, ყველა უნდა დაისაჯოს, ვინც არჩევნები გააყალბა და მათ შორის ის მინისტრებიც... ამას ვამბობდით და ახლაც ვამბობთ, ამის გამო იყო მიტინგი და მომავალშიც მოვითხოვთ ამას! ვინ არის თინა ხიდაშელი, რომ მის გამო ვინმემ იშიმშილოს?! მოშიმშილეების მოთხოვნა პირველივე დღიდან იყო საკანონმდებლო ცვლილება, რომლის შედეგად თანამდებობის პირები, ვინც კი ერთხელ მაინც დადგება საარჩევნო უბანთან და ადამიანების თავისუფალ არჩევანს ხელს შეუშლის, ის უნდა ჩაჯდეს ციხეში. ამის გარდა, მოთხოვნა იყო, რომ საარჩევნო კომისიაში იყოს თანასწორი პირობები, მიუხედავად იმისა, რომ ვართ კვალიფიციური პარტია, ჩვენ არ გვყავს საარჩევნო კომისიაში ჩვენი წევრი, მოვითხოვეთ რომ იყოს თანასწორი დაფინანსება, თანაბარი საეთერო დრო. ჩვენი მესამე მოთხოვნა ეხება, ასევე, მაჟორიტარ დეპუტატებს, პირველი ორი მოთხოვნა თუ არ დაკმაყოფილდა, შიმშილობა კვლავ განახლდება, მაჟორიტარების საკითხი არაა შიმშილობის თემა.

**— თქვენ ასევე მოითხოვთ, რომ არჩევნებში მონაწილეობა სავალდებულო გახდეს, როგორც ეს არის, მაგალითად, ბელგიასა და თურქეთში, წინააღმდეგ შემთხვევაში მოქალაქე ისჯება ჯარიმებით და არაფულადი სანქციებით... ამდენი ხელისუფლება ავირჩიეთ და ყველა საკუთარ კეთილდღეობაზე ფიქრობს. რატომ მავალდებულებთ არჩევნებზე მისვლას?**

– ეს არის მოლაპარაკების საკითხი, ჩვენი პოზიცია არის ასეთი: საქართველოს ყველა მოქალაქე, რომელიც არჩევნების დროს იმყოფება საქართველოში, ვალდებულია, რომ არჩევნებში მიიღოს მონაწილეობა, თუკი მას არ აქვს რაიმე საპატიო მიზეზი. უცხოეთში მცხოვრები ქართველებისთვის არაფერი სანქციები არ იყო გათვალისწინებული, ლაპარაკი იყო მხოლოდ საქართველოში მცხოვრებ ადამიანებზე, აქაც ჩვენი პოზიცია არის ასეთ:

**თუკი ადამიანს არ სურს არჩევნებში მონაწილეობა, მან მინიმუმ ერთი კვირით ან სამი დღით ადრე წერილობით უნდა განაცხადოს ამის შესახებ, დანარჩენ შემთხვევაში სავალდებულოა, რომ მივიდეს უბანზე და ხმა მისცეს და თუ არ გამოცხადდება, მინიმალური ხელფასის, რაც არის დადგენილი, ნახევრით უნდა დაჯარიმდეს.**

ეს არის ნიუანსები, რომელიც ჯერ გადაწყვეტილი არაა და მხოლოდ საუბრის დონეზეა.

**— მარტო ვალდებულებას უწესებთ მოქალაქეს. ამომრჩეველს არ უნდა ჰქონდეს ბერკეტი ხელში, როცა ხელისუფლება ატყუებს?**

– რა თქმა უნდა, უნდა ჰქონდეს, ჩვენი პარტია ამბობს, რომ ადამიანებს უნდა ჰქონდეთ რეფერენდუმის



„ვინ თქვა, რომ ჩვენი მთავარი მოთხოვნა იყო ხიდაშელისა და აგულაშვილის გადაყენება? ჩვენი მოთხოვნები პირველივე დღიდან იყო ძალიან მკაფიოდ ჩამოყალიბებული. ჩვენ ვამბობთ, რომ არჩევნები გაყალბდა და უნდა აღიძრას სისხლის სამართლის საქმე, ყველა უნდა დაისაჯოს, ვინც არჩევნები გააყალბა და მათ შორის ის მინისტრებიც... ამას ვამბობდით და ახლაც ვამბობთ, ამის გამო იყო მიტინგი და მომავალშიც მოვითხოვთ ამას!"




ირმა ინაშვილი: „ჩვენ არ ვწყვეტთ ბრძოლას ჩვენი კონსტიტუციური უფლების — არჩევანისა და არჩევნების თავისუფლების დასაცავად. ვიმეორებ: საარჩევნო გარემო უნდა შეიცვალოს! ვიმეორებ: თავდაცვისა და გარემოს დაცვის გამყალბებელი მინისტრები უნდა გადააყენონ დაკავებული თანამდებობებიდან! ვიმეორებ: უნდა დაიწყოს გამოძიება საგარეჯოში არჩევნების გაყალბების ფაქტებთან დაკავშირებით და დაისაჯოს ყველა დამნაშავე!"

მოწვევის საშუალება სხვისი თანხმობის გარეშე, მათ უნდა ჰქონდეთ დეპუტატის გამოწვევის უფლება. ადამიანებს უნდა ჰქონდეთ მინისტრების გადაყენების უფლება, კანონის გაუქმების უფლება, ჩვენ პარტიას აქვს გეგმა, როგორ უნდა მოხდეს ეს. ყველა რეგიონში უნდა შეიქმნას სპეციალური ორგანიზაცია, მაგალითად, ისეთი, როგორიც არის იუსტიციის სახლები, მას უნდა ეწოდოს სარეფერენდუმო ორგანო, სადაც ადამიანებს უნდა შეეძლოთ ყოველგვარი მიტინგის გარეშე იქ მისვლა და მოთხოვნაზე ხელის მოწერა და თუკი ადამიანთა გარკვეული რაოდენობა გარკვეულ ვადაში მოითხოვს ამ თუ იმ კანონის გაუქმებას, ან მინისტრის გადაყენებას, ხელისუფლებამ ეს უნდა გააკეთოს. და თუკი ადამიანთა კონკრეტული რაოდენობა მოითხოვს ხელახლა არჩევნებს, მაშინ უნდა დაინიშნოს ხელახალი არჩევნები, რომ არჩევნები გაყალბდა, თორემ ისინი რომ არ აღიარებენ არჩევნების გაყალბებას, ეს ჩვენ ძალიან კარგად ვიცით. ჩვენი შიმშილობის მიზანი იყო ის, რომ მომავალი არჩევნების გაყალბება მინიმუმამდე იქნას დაყვანილი, ვერანაირი ცვლილება ვერ გამორიცხავს არჩევნების გაყალბებას, მაგრამ, როცა გამგებელს, თუ სხვა თანამდებობის პირს ეცოდინება, რომ არჩევნების გაყალბებისთვის 7 წლით ჩაჯდება ციხეში, მაშინ ბევრი შეიკავებს თავს. ჩვენ წარვადგინეთ, რა უნდა ჩაიწეროს კანონში. თუ თანამდებობის პირები ზეწოლას განახორციელებენ ამომრჩეველზე, ეს იქნება გათანაბრებული მძიმე კატეგორიის სისხლის სამართლის დანაშაულთან, ასევე უნდა ჩაიწეროს, რომ იყოს საარჩევნო კომისიებში, დაფინანსებაში და საეთერო დროში თანასწორობა, არის კიდევ ორი თემა, ეს არის მაჟორიტარები და სავალდებულო არჩევნები, რომელიც იქნება არჩევნები... ერა. რა წინადადებითაც ხელისუფლებასთან მივედით, იმედს ვიტოვებთ, რომ ამას გააკეთებენ, ეს არის მათივე დანაპირები, ეს პროცესი პარლამენტში თვეები გაგრძელდება და თუკი რაიმე ცბიერებას ექნება ადგილი, დაიწყება ხელახალი შიმშილობის აქცია, მიტინგებიც იქნება.

— **დაბოლოს, არჩევნების შემდეგ თქვენ განაცხადეთ, „ამ ხელისუფლებას ცოტათი მაინც მეტი გონიერება რომ ჰქონოდა, არ დაუშვებდა ისეთ რამეს, რაც მოხდა. იმიტომ, რომ ერთადერთი და მეტ-ნაკლებად მოკავშირე ამ ხელისუფლებისთვის იყო „პატრიოტთა ალიანსი“, პირდაპირ ვამბობ, რომ დღეიდან ჩვენ აღარ ვიქნებით ამ ხელისუფლების მოკავშირე, აღარასოდეს!..“ დღესაც იგივე აზრზე ხართ?**

– მე ვთქვი ასე: ჩვენ ვართ ის ხალხი, ვისაც ლომის წილი მიუძღვის სააკაშვილის რეჟიმის დამხობაში და ის, ვინც ხელისუფლებაშია, აღმოჩნდა ხელისუფლებაში. მე ვთქვი, **დაშელი და გარემოს დაცვის მინისტრი გიგლა აგულაშვილი, იგი აცხადებს:**

– უპირველეს ყოვლისა, მინდა გითხრათ, რომ კარგია, ადამიანებმა შიმშილი რომ შეწყვიტეს და პროტესტის უკიდურესი ზომა აღარ გამოიყენება. ჩვენ გადავედით დისკუსიის რეჟიმში. ეს ძალიან კარგია და მისასალმებელი ამ გადაწყვეტილებას. რაც შეეხება 24 ნოემბერს ჩვენს შეხვედრას, ეს ეხებოდა მათ მიერ წარმოდგენილ საკანონმდებლო წინადადებებს, რომელიც მათ წერილობით წარმოადგინეს, რომელიც ითვალისწინებს მოქმედ საარჩევნო კოდექსში გარკვეულ ცვლილებათა პაკეტს, მსჯელობა იყო უფრო სამართლებრივ-იურიდიულ საკითხებზე. მათი აზრით, საარჩევნო კოდექსში გარკვეული ნორმები არის ხარვეზების შემცველი, რომელიც ქმნის პრობლემებს. რა თქმა უნდა, არის საკითხები, რომელზეც აუცილებელია მუშაობა და არის გასასწორებელი, ჩვენ ათეულობით ცვლილება შევიტანეთ მოქმედ საარჩევნო კოდ-... ული საკითხი, რომ არჩევნებში მონაწილეობა გახდეს სავალდებულო, თუმცა ესეც მათი მხრიდან არ ყოფილა იმპერატიული მოთხოვნა. მათაც კარგად ესმით, რომ ეს საკითხი მსჯელობას საჭიროებს. სისტემურ ცვლილებაზე აქ არ იყო საუბარი, წარმოდგენილი ცვლილებები ეხება მხოლოდ საარჩევნო კოდექსში შესატან ცვლილებებს.

— **ქალბატონო მანანა, საზოგადოებამ უკვე მეორედ დააფიქსირა აბსენტეიზმი — არჩევნებისადმი გულგრილობა და ერთგვარი ბოიკოტი. ფაქტობრივად, 60%-მა მონაწილეობა არ მიიღო როგორც თვითმმართველობის, ასევე შუალედურ არჩევნებში. თუ დღის წესრიგში დადგა არჩევნებში სავალდებულო მონაწილეობა, როგორც ეს არის, მაგალითად, თურქეთსა და ბელგიაში, და ხელისუფლება აამოქმედებს სანქციებს, ჩვენ რა მექანიზმები გვაქვს, რომ დავითხოვოთ მატყუარა ხელისუფლება, რომელიც შეგვპირდა კომუნალური გადასახადების გა-**

# „პატრიოტთა ალიანსი“ და მანანა კობახიძე?






**„ადამიანებს უნდა ჰქონდეთ რეფერენდუმის მოწვევის საშუალება სხვისი თანხმობის გარეშე, მათ უნდა ჰქონდეთ დეპუტატის გამოწვევის უფლება. ადამიანებს უნდა ჰქონდეთ მინისტრების გადაყენების უფლება, კანონის გაუქმების უფლება, ჩვენ პარტიას აქვს გეგმა, როგორ უნდა მოხდეს ეს“**

არჩევნებიც... არჩევნებში სავალდებულო მონაწილეობას კი არჩევნების გაყალბება დაჰყავს მინიმუმამდე...

— **ხელისუფლების პოზიცია მტკიცეა, რომ ის არ აპირებს მაჟორიტარული არჩევნების გაუქმებას, თუკი თქვენი მოთხოვნები არ იქნება დაკმაყოფილებული, რა იქნება შემდგომი ნაბიჯი?**

– ჩვენი მოთხოვნების ის ნაწილი, რომელიც ეხება გაყალბებულ არჩევნებს და დამნაშავეთა დასჯას, არ მოხსნილა დღის წესრიგიდან, არც მოიხსნება არასოდეს. ყველას ესმის, რომ არც ერთი ხელისუფლება არ აღიარებს, რომ არჩევნები გააყალბა და არც ეს ხელისუფლება დაიჭერს საკუთარ მინისტრს, მაგრამ ამ მოთხოვნის წაყენებას აქვს ძალიან ღრმა აზრი და ეს მოთხოვნები წაყენებულია ჯერ იმიტომ, რომ ქვეყანამ გაიგოს, რომ არჩევნები გაყალბდა და ყველას ნიღაბი ჩამოეხსნა, მეორე – გაიგოს საერთაშორისო საზოგადოებამაც, მესამე – დამნაშავეებს ახსოვდეთ, რომ ისინი მარადიულები არ არიან, ხელისუფლება შეიცვლება და ჩვენ რომ მოვალთ, მათ აუცილებლად დავიჭერთ. მუდმივად იქნება მთელი ერთი წელი ამაზე ლაპარაკი, რომ უკვე მოსალოდნელი ულო არჩევნები, რომელზეც იქნება მოლაპარაკება. თქვენ გინახავთ ოპოზიციის შიმშილობის შედეგად შედეგი დადებულიყო და ხელისუფლებასთან შეთანხმება მიღწეულიყო? მგონი, ასეთი რამ არ გახსენდებათ, ახლა კი ვილაცები შურით და ბოღმით ლაპარაკობენ, რომ ამ შიმშილობას შედეგი არ ჰქონდა, სურთ, ეს ამბავი რამენაირად გააქარწყლონ და თქვან, – არა, არაფერი მომხდარა, ველარ იშიმშილეს და წავიდნენ სახლში...

— **თუკი ხელისუფლება თქვენს მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებს, რა იქნება შემდეგი ნაბიჯი? სხვათა შორის, ყველა ელოდა, რომ აქციებში არასაპარლამენტო ოპოზიციას შემოგიერთდებოდათ, თუმცა ერთსულოვნება ვერ დავინახეთ...**

– რაც კი საქართველოში აქტიური ოპოზიციური პარტიები არსებობს, ყველამ მოაწერა ხელი, რომ საგარეჯოშიც და მარტვილშიც არჩევნები გაყალბდა. რა მოთხოვნებიც ჩვენ დავაყენეთ, იგივე მოთხოვნებს ხელი მოაწერა ოპოზიციურმა პარტიებმა, ჩვენი არც ერთი მოთხოვნა ახალი არ არის, ეს მოთხოვნები იმდენი წელია, არსებობს, რომ აღარავის ახსოვს, ვინ მოიგონა ისინი. ამ კუთხით ყველამ ყველაფერს ხელი მოაწერა, გამომდინარე თუნდაც აქედან, ჩვენ ბუნებრივი მოკავშირეები ვართ ამ ხელისუფლების, ჩვენ შორის არავითარი მემორანდუმი არ გაფორმებულა, ეს რომ გვდომებოდა, ვიმუშავებდით იმისთვის, რომ კოალიციაში აღმოვჩენილიყავით, მაგრამ ეს არასდროს გვდომებია. მე ისიც ვთქვი, რომ აქამდე ამ ხელისუფლებას არავითარი დანაშაული არ ჩაუდენია, კი, ქონება არ დააბრუნა, არავინ დასაჯა, მაგრამ ეს მათი უუნარობის თემა იყო, მაგრამ დანაშაული არ ჩაუდენია, ხალხი არ უწამებია, არავინ მოუკლავს, მაგრამ ვთქვი, რომ ახლა ჩაიდინეს მათ დანაშაული და გააყალბეს არჩევნები, ეს დიდი დანაშაულია და ამიტომ ჩვენ შორის გაჩნდა უფსკრული, რომლის გადალახვაც ვერ წარმომიდგენია. ეს უფსკრული რომ გადაილახოს, მაშინ ხელისუფლებამ ყველა გამყალბებელი უნდა დასაჯოს...

**პარლამენტის ვიცე-სპიკერი მანანა კობახიძე აქტიურად მონაწილეობდა „პატრიოტთა ალიანსთან“ მოლაპარაკებაში. „ალიას“ კითხვაზე, იყო თუ არა ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა, რომ ხელისუფლებას დაესაჯა არჩევნების გამყალბებლები და თანამდებობიდან გადაეყენებინა თავდაცვის მინისტრი თინა ხი-**

ლებელია მუშაობა და არის გასასწორებელი, ჩვენ ათეულობით ცვლილება შევიტანეთ მოქმედ საარჩევნო კოდექსში, მაგრამ ბოლო არჩევნებმა გამოავლინა გარკვეული ხარვეზები, რომლებიც, როგორც ჩანს, პრობლემურია. ამიტომ ვალდებული ვართ, ამაზე ვიმსჯელოთ, მაგრამ თქვენ რასაც კონკრეტულად მეკითხებით – თანამდებობის პირთა გადაყენების თემაზე, ამაზე მსჯელობა არ გვქონია. საერთოდ, ამ თემაზე საუბარიც არ ყოფილა, ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებასთან დაკავშირებით გვქონდა პირველი შეხვედრა, რომლის მიზანიც იყო გაცნობა, ამ წინადადებათა პაკეტის გადმოტანა, კონკრეტულ მუხლებში, კონკრეტული ცვლილებების თაობაზე და ჩვენ ვისაუბრეთ, რომ დისკუსია აუცილებლად დასაწყებია პარლამენტში. „პატრიოტთა ალიანსი“ ითხოვს მაჟორიტარული სისტემის არჩევნების გაუქმებას. ეს საკითხი არ განხილულა, ცვლილებები იყო საარჩევნო კანონთან დაკავშირებით, იქ საუბარია ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებაზე. ერთადერთი იყო კონსტიტუციასთან მიმართებაში დაყენებ-

**ნახევრებას, სამუშაო ადგილებს, სამართლიანობის აღდგენას, იაფ ფულს და ამის ნაცვლად მივიღეთ საპირისპირო.**

– მინდა ძალიან მკაფიოდ განვაცხადო, რომ ცალკე ამ საკითხზე აღებული არ გვიმსჯელია, რომ მოქალაქეებს დავაკისროთ სანქციები, სავალდებულო გავხადოთ არჩევნებში მონაწილეობა, ეს მათი უფლება კი არა, ვალდებულება გახდეს, ამაზე არ გვიმსჯელია და მით უმეტეს, გადაწყვეტილება არ მიგვილია. ეს იყო საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა, აქ გავჩერდით, ამის შემდეგ ნებისმიერი საკითხი უნდა გადაწყდეს დისკუსიის რეჟიმში. უმრავლესობამ ეს საკითხი უნდა განიხილოს პარლამენტში, რას დავეთანხმებით და რას – არა, ეს საკითხები მათთან ერთად მსჯელობაში უნდა გადაწყდეს. ამ საკითხზე არ ყოფილა მათი მხრიდან პრინციპული მოთხოვნა და დეტალებზე მსჯელობაში არ შევსულვართ. ძალიან მიხარია, რომ დიალოგი შედგა, ხელისუფლების ვალდებულება არის ის, ვინც არ უნდა იყოს ოპონენტი, მათთან შეძლოს, საქმიანი დისკუსიის რეჟიმში გადაწყვიტოს საკითხი, ჩვენ კონკრეტულად არაფერზე შევთანხმებულვართ, რადგან მე არც მქონია ამის უფლებამოსილება.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## რას მოითხოვენ საქართველოში ჩეჩნური დიასპორის წარმომადგენლები



საქართველოში ჩეჩნური დიასპორის წარმომადგენლები პანკისის ხეობასთან მიმართებით სახელმწიფოს სტრატეგიული პოლიტიკის შექმნას მოითხოვენ.

როგორც მექა ხანგოშვილი აცხადებს, სახელმწიფო აქტიურად უნდა ჩაერთოს იმ პროცესებში, რომელიც ხეობაში მიმდინარეობს.

მისივე თქმით, საგანმანათლებლო სისტემაში ცვლილებების შეტანა და სასწავლო პროცესში რელიგიების შემსწავლელი საგნის დამატებაა საჭირო, რაც ხელს შეუწყობს ისლამისადმი საზოგადოების აზრის სწორად ჩამოყალიბებას.

ამასთანავე, ჩეჩნური დიასპორის წარმომადგენლები რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს მხრიდან ქართულად ნათარგმნი ყურანის მოსახლეობაში უსასყიდლოდ გავრცელებას მოითხოვენ.

– არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, რომ ხეობის მიმართ სტრატეგია და ხელისუფლების სახელმწიფო პოლიტიკა არ შეიცვალოს. სწორედ იმ გულგრილი დამოკიდებულების გამო, ალბათ, ვერც შეფასდა მოვლენები ისე, როგორც შეიძლება განვითარებულიყო, თუმცა ხეობის უხუცესები ზუსტად 5-10 წლის წინათ ამბობდნენ, რომ დღეს რაც ხდება, ხეობაში ის მოხდებოდა, – განაცხადა მექა ხანგოშვილმა. (kvira.ge)

## გადარჩენილი რუსი პილოტი — თურქებს სროლამდე არანაირი გაფრთხილება არ მოუციათ



რუსი პილოტი, რომლის თვითმფრინავი 24 ნოემბერს სირია-თურქეთის საზღვარზე ჩამოაგდეს, აცხადებს, რომ თურქულ ავიაგამანადგურებლებს რუსული ეკიპაჟი საზღვრის დარღვევისა და მოსალოდნელი შეტევის შესახებ არ გაუფრთხილებიათ. ამის შესახებ „რია ნოვოსტი“ იუწყება.

– არანაირი გაფრთხილება – არც რაციით, არც ვიზუალურად არ ყოფილა. ამიტომ ჩვენ საბრძოლო კურსი ჩვეულ რეჟიმში გავაგრძელეთ. ჩვენი გაფრთხილება რომ ნდომებოდათ, მათ შეეძლოთ პარალელურ კურსზე გასვლა და კონტაქტის დამყარება. ეს არ მომხდარა. რაკეტა ჩვენ მოულოდნელად კუდში მოგვხვდა ისე, რომ ანტისარაკეტო მანევრის გაკეთება ვერ მოვასწარით, – განაცხადა პილოტმა.

შეგახსენებთ, რომ რუსული ბომბდამშენი „სუ-24“ სირია-თურქეთის საზღვარზე სამშაბათს ჩამოაგდეს. თურქეთი აცხადებს, რომ თვითმფრინავმა მისი საჰაერო სივრცე დაარღვია. (kvira.ge)

**თურქეთი კი ამტკიცებს, რომ რუსული თვითმფრინავის ეკიპაჟი 10-ჯერ გააფრთხილეს და ამის დამადასტურებელი ჩანაწერიც გაავრცელეს - როგორც უკვე გითხარით, ორ ქვეყანას შორის ძლიერი საინფორმაციო ომია გაჩაღებული.**

**გვიან ღამით გავრცელდა ინფორმაცია და ვიდეომასალა, საიდანაც ირკვევა, რომ რუსეთმა სირიაში თურქეთის მიერ გაგზავნილი ჰუმანიტარული ტვირთით სავსე ავტოკოლონა დაბომბა.**

**წინასწარი ინფორმაციით, დაღუპულია 7 და დაჭრილია 10-მდე მოქალაქე.**



1. კოსტიუმირებული წვეულება
2. ძველი ხელნაწერი
3. მსახიობი ერიკ ...
4. ცხოველი. ასხამს მყრალ სითხეს
5. ხერხემლის ბოლო ნაწილი
6. კომპოზიტორი კამილ ...
7. საძერწი მასალა
8. დეკორატიული მცენარე
9. აბატი ფარიას ციხე
10. ორიანი ნარდში
11. კომპოზიტორი ... გაბუნია
12. ფიზიკოსი ნიკოლა ...
13. ღობე
14. ტრიუკების შემსრულებელი
15. სოკრატეს ახირებული ცოლი
16. ...-ქრისტიან ანდერსენი
17. პირის ღრუს თაღი
18. მხარე საქართველოში
19. მისი დედაქალაქია დუბლინი
20. მხატვარი სანდრო ...
21. სასოფლ-სამეურნ. იარაღი
22. ავტომობილის საყვირი
23. ეგზოტიკური ყვავილი
24. ... მეფობენ და არა მეფენი
25. მსახიობი ... უოკერი
26. ფალიაშვილის ოპერა
27. ღლავი
28. სახელმწიფო აფრიკაში
29. ბოსტნეული
30. ალბერტო მორავიას რომანი
31. „ილიადას“ გმირი
32. ღვინის დეგუსტატორი
33. ხელზე მოვაჭრე ძველ თბილისში
34. მსახიობი დონატას ...
35. ვაზის ჯიში
36. „ანა კარენინა“ პერსონაჟი
37. „გრაფი ...-კრისტო“
38. ძვირფას ქვაზე ჭრა
39. მინი-ბოულინგი
40. წერილი (მოძვ.)
41. კომპოზიტორი ჯუზეპე ...
42. „20000 ... წყალქვეშ“
43. მსხლის ჯიში
44. დიქტორი ლია ...
45. მომღერალი ... კალასი
46. რეჟისორი ალფონსო ...
47. ექს-პრეზიდენტი ჰარი ...
48. ვაჟა-ფშაველას პოემა
49. ქართ. ხალხური ზღაპარი
50. ფანდი ჭიდაობაში
51. ყვავი-ლი, იაპო-ნიის სიმბო-ლო
52. ... ულენშპიგელი
53. იტალიის კუნძული
54. 100კგ
55. მხ/ფ „ეშმაკი და ... მცხება“
56. ... კაცი უკანა კაცის ხიდიაო
57. რეპტილია
58. ავტონომია ჩინეთში
59. სითხე ლამპაში
60. ნივრის საწებელი
61. ტერფის ნაწილი
62. მიმართვა ინგლისელი მამაკაცისადმი
63. ყავის ჯიში
64. ნილოსის რეპტილია
65. კონტინენტი
66. ამ ქალაქზე გადის ნულოვანი მერიდიანი
67. ლეპრა
68. მექსიკური ქუდი
69. სამაგიდო თამაში
70. გაზეთების ჯიხური
71. მიშენება ოთახზე
72. კომპოზიტორი ... ყანჩელი
73. ... ანუ ხის სპირტი
74. დრამატურგი ჰენრიკ ...
75. ბანდერასის ნიღბიანი გმირი
76. ხორთუმიანი ცხოველი
77. ...-ბოქსინგი
78. ბავშვის კბილი
79. სითხე სამზარეულოს ონკანში
80. მსახიობი ... სუხიტაშვილი
81. ზღვაოსანი ... ვესპუჩი
82. მოზაიკის კერამიკის ნატეხი
83. ისტორიიდან: ... არაგველი
84. ფრინველის სამყვედრო
85. კატის ნაშიერი
86. სურდო
87. ხელის გული თითებიანად
88. ... კრუზი ფილმში „შეუსრულებელი მისია“
89. გალაქტიკა ... ნახტომი
90. მსახიობი ... პაჩინო
91. ილეთი ჭიდაობაში
92. ექს-პრეზიდენტი რონალდ ...
93. პოეტი ... კალანდაძე
94. საბუნებისმეტყველო მეცნიერება
95. კომპოზიტორი ... კერესელიძე
96. ორი ათეული
97. ცხენის კუდის ბალანი
98. შვედური ხურდა ფული
99. რუმინეთის დედაქალაქი
100. ქალაქი ინგლისში
101. ბაგე
102. რიცხვი გრამატიკაში: ... და მხოლობითი
103. შვედური საესტრადო ანსამბლი
104. სახედარი
105. მევიოლინე ვანესა ...
106. ... სულაკაური
107. აორტის ანთება
108. უქოჩრო თუთიყუში
109. 1000კგ
110. კატის კიდური
111. მარჯნის კუნძული
112. ოტელოს ეროვნება
113. საველე საავადმყოფო
114. სახელმწიფო აფრიკაში
115. ტალახის კურორტი საქართ.
116. ფრინველი ეგვიპტურ მითებში
117. კვების ობიექტი ესტრადით
118. ავღანეთის დედაქალაქი
119. სასახლე
120. მომღერალი რაფაელა ...
121. ჰიუგო. „განკიცხულნი“ პერსონაჟი
122. ტროას ბერძნული სახელი
123. მწერალი. ლიტერატურულ-დეტექტიური ჟანრის ფუძემდებელი
124. მწვანე ძვირფასი ქვა
125. პოპკორნი
126. მოწნული ჭურჭელი
127. რეჟისორი ... ტარკოვსკი
128. თავაშვებული ღრეობა
129. მწვანე ადგილი უდაბნოში
130. პურის კიდე
131. მუსლიმანური მარხვა
132. ცხენების სადგომი
133. ... პუგაჩოვა
134. სინათლის სიკაშკაშის ერთეული
135. კრივის მოედანი
136. იანის საპირისპირო
137. მეიგავე ... კრილოვი
138. ... ურჩევნია მამულსა
139. ძველი ქართ. ცხენოსნობა
140. იაპონური თეატრი
141. მწერალი ჟიულ ...
142. ღამის ფრინველი
143. დუმბაძე. „კუკარაჩა“ ... ლალიაშვილი
144. სვავი, ანუ ...
145. ღირებულება
146. პოეტი ... გრიშაშვილი
147. სამიანი ნარდში
148. თევზის წვნიანი
149. მსახ. ... ბერიკაშვილი
150. ზამბახი

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები... საინტერესო

## ჰელსინკში გაჯეტიანი ადამიანების მაუწყებელი საგზაო ნიშანი დადგეს



ვისაც მართვის მოწმობის აღება სურს, საგზაო ნიშნებს სწავლობს და თან ჰელსინკში აპირებს ცხოვრებას, პროგრამაში ახალი საგზაო ნიშანი დაემატება. ჰელსინკში წითელ ჩარჩოში ჩასმული ყვითელი სამკუთხედი საგზაო ნიშანი დადგეს, რომელზეც მობილურში თავჩარგული ქალი და მამაკაცი არიან გამოსახული, რაც იმის მანიშნებელია, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე მოძრაობენ ადამიანები, რომელთაც დროისა და სივრცის შეგრძნება დაკარგული აქვთ.

კრეატიული საგზაო ნიშნის იდეა იაკობ სემპლერსა და ემილ ტიისმანს ეკუთვნით. იდეა იაკობის ავტოავარიაში მოხვედრით იყო შთაგონებული. სმარტფონში ქექვის გამო ვერ შენიშნა, როგორ გადაწყვიტა ავტომობილის მძღოლმა იაკობის რეალობაში დაბრუნება.

უცნობია, ვინ დადგა საგზაო ნიშანი, მაგრამ ვინაიდან კერძო ტერიტორიაზეა, საქალაქო ხელისუფლებას მისი მოხსნის უფლება არ აქვს.

ცოტა ადრე, სტოკჰოლმში გამოჩნდა ასეთი ნიშანი. ქალაქის ტრანსპორტის დეპარტამენტის პრესსამსახურმა კი დამდგმელებს შეატყობინა, რომ ეს ნიშნები არაოფიციალური იყო და უნდა მოეხსნათ.

*lenta.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## თევზებს ცნობიერების ნიშნები აღმოაჩნდათ



„ემოციური ცხელება“ – ეს არის უცნობ გარემოში სხეულის ტემპერატურის მოკლევადიანი, 1-2 გრადუსით მატება. ამ ფენომენს ემოციურ შოკს უწოდებენ. მეცნიერები ამბობენ, რომ ასეთი რეაქცია მხოლოდ ისეთ სულიერებთან გვხვდება, რომელთაც განვითარებული ტვინი აქვთ და ხვდებიან, რა ხდება მათ გარშემო. ამფიბიებისგან განსხვავებით, ჩიტებმა, ძუძუმწოვრებმა და ქვეწარმავლების ერთმა ტიპმა დიდი ხნის წინათ გაიარეს ეს ტესტი.

აღმოჩნდა, რომ თევზების ერთ-ერთ სახეობაშიც გვხვდება „ემოციური ცხელება“.

თევზები დაქსელილი კედლებით შემოზღუდულ აუზში მოათავსეს, რომლის ტემპერატურაც 27 გრადუსი ცელსიუსი იყო (მაშინ, როდესაც თევზისთვის ნორმალური ტემპერატურა 28 გრადუსია). 15 წუთის შემდეგ თევზებმა კედელი გაარღვიეს, რის შემდეგაც შეეძლოთ, ნებისმიერი ტემპერატურა 18-დან 35 გრადუსამდე აერჩიათ.

აღმოჩნდა, რომ თევზები, რომელთაც სტრესი გადაიტანეს, უფრო მეტი ხნით გაჩერდნენ თბილ წყალში. მათი სხეულის ტემპერატურა 2-4 გრადუსით გაიზარდა, რაც მეცნიერების თქმით, „ემოციურ ცხელებასა“ და თევზების ცნობიერებაზე მიუთითებს.

*lenta.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები...

## 8 ნიშანი იმისა, რომ პურის ჭამა უნდა აკრძალოთ!



„გლუტეინი“ – თანამედროვე მოდური სიტყვა, რომლისგანაც ათეულობით ადამიანი იტანჯება. ეს არის კვებითი ალერგია პურსა და თეთრი ფქვილის ნაწარმზე. ადამიანი მუცლის ტკივილით იტანჯება, შეიძლება გულისრევა ჰქონდეს ან კუჭის აშლილობა. მართალია, ეს უკვე უკიდურესი ფორმაა, მაგრამ უმჯობესია, მის შესახებ ინფორმირებული იყოთ. გაეცანით 8 მიზეზს, იქნებ თქვენც გაქვთ გლუტეინის აუტანლობა.

**ტკივილი მუცლის არეში**

ყველა ექიმი ამბობს – დააკვირდით მუცელს. თუ სადილზე ბევრი პური შეჭამეთ, შედეგად კი მუცლის შებერილობა გაქვთ, დიარეა ან შეკრულობა ე.ი. გლუტეინმა ნაწლავების მიკროფლორა დააზიანა. ამასთანვე, ორგანიზმი საჭირო მინერალებს, ვიტამინებსა და საკვებ ნივთიერებებს ვერ იღებს.

**თავბრუსხვევა**

გლუტეინის აუტანლობის დროს ადამიანს თითქოს ტვინი ებინდება. ეს არაჯანსაღი მდგომარეობაა. მასთან შეგუება არ ღირს. სცადეთ და ცოტა ხნით უარი თქვით ფქვილოვან ნაწარმზე. მილიონ ადამიანს, როცა პურის ჭამას თავს ანებებს, მდგომარეობა უუმჯობესდება.

**განწყობის ცვალებადობა**

კარგად დაფიქრდით. თუ თქვენი ნაწლავები უკმაყოფილოა მიღებული საკვებით, ტვინიც უკმაყოფილო იქნება. ადამიანები, რომლებიც ცომეულის აუტანლობით იტანჯებიან, ხშირად არიან გაღიზიანებულები, ცუდ განწყობაზე.

**ქრონიკული თავის ტკივილი**

თავის ტკივილი ყველაზე გავრცელებული ჩივილია, მაგრამ გლუტეინის აუტანლობის დროს შაკიკი ადამიანის მუდმივი თანამდევია. ხშირად ადამიანს თავის ტკივილი ჭამიდან 30-60 წუთის შემდეგ ეწყება. ამასთანავე, ადამიანს აღენიშნება მხედველობის გაუარესება, თვალის ტკივილი.

**კანის ქავილი**

თუ ცომეულის აუტანლობა გაწუხებთ, კანზე ანთებითი პროცესი მიმდინარეობს. ხშირად ადამიანს ემართება ეგზემა ან ფსორიაზი.

თუ უძილო ღამეებს კანის ფხანაში ატარებთ, უარი თქვით ფქვილოვან ნაწარმზე.

**ფიბრომიალგია**

ეს არის ძლიერი დაავადება, რომლის დროსაც ადამიანს აღენიშნება ძლიერი ტკივილები კუნთებსა და მყესებში. ფიბრომიალგიით პლანეტის 4 პროცენტი იტანჯება. თუ ცომეულზე უარს იტყვით, ტკივილი დაგიამდებათ. რევმატოლოგიის დარგის ექსპერტი ალექს შიხმანი პაციენტებს პურის ჭამასაც კი უკრძალავს.

**ქრონიკული გადაღლილობა**



თუ კუჭ-ნაწლავის სისტემა მოუწესრიგებელი გაქვთ, თავი მუდმივად გადაღლილი, გაღიზიანებული და დაბინდული გექნებათ. ამასთანავე, კანონიერ 8-9-საათიან ძილსაც ვერ შეძლებთ.

**ლაქტოზის გადაუტანლობა**

რძისა და ფქვილოვანი ნაწარმის აუტანლობა ერთმანეთს ჰგავს. შეიძლება მათ ერთმანეთი უფრო გააძლიერონ. თუ თქვენ ლაქტოზის აუტანლობა გაქვთ, შეიძლება გლუტეინის აუტანლობაც დაგეწყოთ. საქმე ისაა, რომ რძისა და ფქვილის პროდუქტები შეიცავს სპეციფიკურ შაქარს, რომელიც ართულებს საკვების მონელებას. თუ რძის ნაწარმის შემდეგ მჟავიანობის რეფლექსი გეწყებათ, პურის ჭამას თავი უნდა დაანებოთ.

*marao.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები...

## ქიშმიში დაგეხმარებათ, გაარკვიოთ, ინტელექტის რა დონე ექნება თქვენს პატარას



იმისთვის, რომ სკოლამდელ ასაკამდე იცოდეთ, გამოირჩევა თუ არა თქვენი შვილი სწავლის განსაკუთრებული უნარით, ბრიტანელი მეცნიერები ქიშმიშის ტესტს გთავაზობენ.

ექსპერიმენტს 10 წლის განმავლობაში 500 ბავშვზე ატარებდნენ. თავიდან ბავშვები მოსამზადებელ პერიოდს გადიოდნენ, ეჩვეოდნენ ქიშმიშის გემოს. მოგვიანებით კი, აძლევდნენ ქიშმიშს და ეუბნებოდნენ, რომ არ შეეჭამათ მანამ, სანამ მშობლებისგან რაიმე სახის მინიშნება არ ექნებოდათ.

მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ბავშვები, რომლებიც ელოდებიან მშობლისგან სიგნალს, თავდაჭერით გამოირჩევიან და ხასიათში თანდაყოლილი იდენტურობის ნიშანი აქვთ.

აღმოჩნდა, რომ მოთმინებისა და მოსმენის უნარის მქონე ბავშვები მოგვიანებით სკოლაში უკეთ სწავლობდნენ და უფრო მაღალ ნიშნებსაც იღებდნენ.

*telegrafist.net*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები...

## შვეიცარიაში ბურკას ტარებისთვის ქალები 65-იდან 6 500 ევრომდე დაჯარიმდებიან



შვეიცარიაში ქალები, რომლებიც ბურკას (მძიმე ჩადრი, რომლიდანაც მხოლოდ თვალები ჩანს) ატარებენ, შესაძლოა, 6 500 ევროთი დაჯარიმდნენ.

ადგილობრივი მთავრობის ახალი კანონის მიხედვით, ტიჩინიოს ოლქში, მუსლიმან ქალებს მძიმე ჩადრის ტარება მაღაზიებში, რესტორნებსა და სხვა საჯარო დაწესებულებებში აეკრძალებათ.

მინიმალური ჯარიმა 100 ფრანკიდან (65 ევრო) დაიწყება და 10 000 ფრანკამდე (6500 ვერო) შეიძლება მიაღწიოს.

სამხრეთ შვეიცარიის მთავრობამ ბურკას აკრძალვას მხარი რეფერენდუმის შედეგად დაუჭირა.

შვეიცარიის პარლამენტში აცხადებენ, რომ აკრძალვა ფედერალურ კანონებს არ ეწინააღმდეგება, თუმცა ჯერჯერობით უცნობია, როდის შევა კანონი ძალაში.

*newpost.ge*

გვერდი მოამზადა **დარინა ქამადაძე** 593 19-85-99



ავტობუსში მოხუცი მამაკაცი ახალგაზრდას შენიშნავს აძლევს:

– შვილო, როგორ არ გრცხვენია?! ადექი და ახლავე დაუთმე ადგილი აი, იმ ბებიას!

– რა ბებია, სიდედრია ეგ ჩემი!

– მაშინ მიეცი ეგ კარტოფილის ტომარა, ნუ გიდევს მუხლებზე, დაიღლები!..

*****

– დამშორდა შეყვარებული, თან ისე, რომ ფოტოები გადმომიგზავნა, სადაც ჩემს ძმაკაცთან სექსით არის დაკავებული.

– მერე, რამე მოიმოქმედე?

– როგორ არა – ფოტოები მამამისს გავუგზავნე...

*****



ძმაკაცები აბანოში არიან, სვამენ, იცინიან. რეკავს ტელეფონი. ერთ-ერთი პასუხობს:

– ჰო, ძვირფასო, რა გინდა? ქურქი? რა თქმა უნდა, შეიძლება... ფული სადაც დევს, ხომ იცი? ფეხსაცმელებიც გინდა? არ არის პრობლემა. ჩანთაც? კი, ჩემო საყვარელო...

თიშავს ტელეფონს და კითხულობს:

– ბიჭებო, ვისი ტელეფონია ეს?

*****

– ჩვენი ლექციის შემდეგი საკითხია: „ნათესაური კავშირების გავლენა კორუფციაზე“. აბა, კოტე, გისმენთ.

– არ მისწავლია...

– კარგი, დაჯექი, ხუთიანი!

– დიდი მადლობა, მამა...

*****

ცოლი ქმარს:

– საყვარელო, შენთვის ორი ამბავი მაქვს: კარგი და ცუდი... რომლით დავიწყო?

– მოდი, ცუდით დაიწყე.

– შენი „ბეემვე“ დავამტვრიე...

– და კარგი რაღაა?!

– მეტს აღარ ვიზამ...

*****



სასტუმროს მიმღებში ერთ-ერთი დამსვენებელი რეკავს:

– დამეხმარეთ – სიდედრს ვეჩხუბე და ამბობს, ფანჯრიდან გადავხტებიო!

– უკაცრავად, მაგრამ ეს ჩვენ არ გვეხება, პოლიციას დაურეკეთ.

– სწორედაც რომ თქვენ გეხებათ – ამიხსენით, რატომ არ იღება ეს ოხერი ფანჯარა?!

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*
*დავით ახობაძის ნახატი*

ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

## ინდოეთის სასამართლომ 1 წლის საპატარძლოსა და 3 წლის სასიძოს ქორწინების ანულირება მოახდინა



ჰოდა, ძალიან კარგადაც მოიქცა, მაგრამ საკითხავი ის არის, რატომ შემოიფარგლა მხოლოდ ქორწინების ანულირებით და ამ საშინელების მომფიქრებელი უფროსები სამუდამოდ არ გაუშვა ციხეში?!

როგორც ირკვევა, 18 წლის ლაკსმი სარგარა რაკეშს (ვერ გეტყვით, გვარია თუ სახელი, რადგან სასიძო მხოლოდ ასეა მოხსენიებული) მაშინ მისთხოვდა, როცა თავად 12 თვის იყო, ხოლო ბიჭი – 3 წლის.

მიუხედავად იმისა, რომ არასრულწლოვნების შეუღლება აკრძალულია, ინდოეთის რაიონებში ასეთი ქორწინებები საკმაოდ ხშირია. განსაკუთრებით ღარიბ ოჯახებში.

– ძალიან განვიცდიდი ამ ქორწინების გამო, თუმცა მშობლები მხარს არ მიჭერდნენ. მაშინ ვუთხარი, რომ სამართალს სხვაგან მოვძებნიდი, – ამბობს ლაკსმი სარგარა, რომელმაც დიდი ხნის მანძილზე, იქამდე არ იცოდა არაფერი, სანამ სახლში „ქმრის“ მშობლები არ მიადგნენ და წაყვანა არ დაუპირეს.

გოგონამ ძალიან ბევრი იწვალა, ბევრ ორგანიზაციას მიმართა და საბოლოო ჯამში, საქმე სასამართლომდე მივიდა, სადაც, საბედნიეროდ, ყველაფერი მის სასარგებლოდ გადაწყდა.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ „იუნისეფის“ სტატისტიკის თანახმად, ე.წ. „ბავშვთა ქორწინებების“ 40 პროცენტი სწორედ ინდოეთში რეგისტრირდება. უფლებათა დამცველები იმედს გამოთქვამენ, რომ ლაკსმი სარგარას საქმეს დიდი რეზონანსი მოჰყვება და მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ამ საშინელ ტრადიციას ბოლოს მოუღებს.

***bbc.co.uk***

## ხშირად გტკივათ წელი? სამსახური უნდა შეიცვალოთ



კაცო, ან გაზეთებს არ კითხულობენ ეს მეცნიერები, ან ტელევიზორს არ უყურებენ და არ გაუგიათ, მთელი მსოფლიო უმუშევართა რაოდენობის კატასტროფულად ზრდის გამო რომ დუღს და წუხს?! ჰოდა, თუ იციან და მაინც ასე ამბობენ, ან ძალიან ინტრიგნები უნდა იყვნენ, ან ადამიანის ბედზე ზრუნვით უკიდურესად შეწუხებულები.

– თუკი წელის ხშირი ტკივილები გაწუხებთ, შეეცადეთ, სამსახური შეიცვალოთ, – ასეთია ავსტრალიელი მეცნიერების რჩევა.

კვლევის შედეგად მათ დაამტკიცეს, რომ ყოველდღიური შრომის შედეგად წარმოქმნილი ნეგატივი პირდაპირ გავლენას ახდენს წელზე და ჩნდება კიდეც აუტანელი ფიზიკური ტკივილები.

ექსპერიმენტში 300 ადამიანი მონაწილეობდა, რომლებიც წელის მიდამოებში პერიოდული ტკივილებით იტანჯებოდნენ. დაკვირვება მათზე დაახლოებით 3 თვე გრძელდებოდა. შედეგად დადგინდა, რომ რესპონდენტების 30 პროცენტში ტკივილის გაჩენის მიზეზი, უბრალოდ, არ არსებობდა, გარდა ერთისა – ისეთი საქმით დაკავება, რომელიც მათ არ უყვარდათ.

კვლევის დახმარებით ისიც დადგინდა, რომ, როგორც კი წელატკივებული მოხალისეები სამსახურს იცვლიდნენ, უსიამოვნო შეგრძნებები, ფაქტობრივად, იმ წამსვე უქრებოდათ.

– წელის ტკივილები ჩნდება იმის გამო, რომ საძულველი სამსახურის მიმართ სხეული აჯანყებას აწყობს, – ასეთია ავსტრალიელი მკვლევარების დასკვნა.

მაგარი რჩევაა – „სამსახური შეიცვალეთ“, გეგონება, იხვეწებოდნენ, მოდი, უნდა დაგასაქმო, ჩემი დედას ვფიცავარო...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

***medkarta.com***

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**

**26 ნოემბერი:** გაარკვიეთ, რამე დავალიანება, ან ვინმეს ვალი ხომ არ გაქვთ. შეეცადეთ, მსგავსი საქმეები დღეს მოაგვაროთ და სახვალიოდ არ გადადოთ.

**კურო 22.04-21.05**

**26 ნოემბერი:** პრობლემა, რომელსაც დღეს წააწყდებით, მთელ დღეს წაგართმევთ. საკითხი თავად უნდა მოაგვაროთ, დამხმარე მხოლოდ ხელს შეგიშლით.

**ტყუპები 22.05-21.06**

**26 ნოემბერი:** დღეს ოქროს შუალედში მოგიწევთ ყოფნა. ამით სიამოვნებასაც მიიღებთ. საშიში არაფერი იქნება, პირიქით, მხარდამჭერებს გაიჩენთ.

**კირჩხიბი 22.06-22.07**

**26 ნოემბერი:** საკმაოდ მშვიდი და ნაყოფიერი დღე გელით, თუკი საკუთარ თავს საქმის კეთებას აიძულებთ. სწორედ ეს იქნება თქვენი მთავარი პრობლემა.

**ლომი 23.07-22.08**

**26 ნოემბერი:** შეეცადეთ, ფრთხილად იყოთ, შესაძლოა, მხედველობასთან დაკავშირებით პრობლემები გაგიჩნდეთ.

**ქალწული 23.08-22.09**

**26 ნოემბერი:** შანსი გექნებათ, სამყარო უფრო ლამაზი გახადოთ. სანამ ამ გადაწყვეტილებას მიიღებთ, დაფიქრდით, რის გაკეთება აჯობებდა.

**სასწორი 23.09-22.10**

**26 ნოემბერი:** რატომღაც, შეეცდებით, ყველაფერზე პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღოთ. სხვებსაც მიეცით ტვირთის გადანაწილების საშუალება.

**მორიელი 23.10-21.11**

**26 ნოემბერი:** შესაძლოა, დღეს ძალები ვერ გათვალოთ და რამე ან ვინმე დააზიანოთ. სიტუაციის კონტროლი ხელიდან არ გაგექცეთ, ძალიან ინანებთ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**

**26 ნოემბერი:** რატომღაც საკუთარი თავის კრიტიკისადმი იქნებით მიდრეკილი. თუ ვინმე თქვენს რჩევას არ გაითვალისწინებს და პრობლემა შეექმნება, ამაშიც თავს დაიდანაშაულებთ.

**თხის რქა 22.12-19.01**

**26 ნოემბერი:** დღეს მოკავშირეს მოულოდნელ ადგილას აღმოაჩენთ. შეეცადეთ, ურთიერთობებისთვის ღია იყოთ და საქმე შუა გზაზე არ მიატოვოთ.

**მერწყული 20.01-18.02**

**26 ნოემბერი:** როგორც ჩანს, მხიარული დღე იქნება. განსაკუთრებით გარშემომყოფთათვის. შეეცადეთ, თავდაჭერილი იყოთ და დაცინვის საბაბი არავის მისცეთ.

**თევზები 19.02-20.03**

**26 ნოემბერი:** დღეს მიზანმიმართული იქნებით და დახმარებისთვის ბევრი მოგმართავთ. მაქსიმალურად შეეცადეთ, დაეხმაროთ, ასმაგად დაგიფასდებათ.

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“

სამუშაოდ იწვევს ჟურნალისტებს!

დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:

577 74 99 89

„ალიას“ რედაქტორი თამაზ ბესტავაშვილი

(15 საათიდან)

ასევე, რედაქცია გამოაქვეყნებს სხვადასხვა ავტორების პუბლიკაციებსა და წერილებს წინასწარ შეთანხმებული ჰონორარით.

## ჩინელებმა თევზის გემოს მქონე ცხვარი შექმნეს



არა, ცხვრის „შექმნა“ კი ჟღერს ძალიან უცნაურად, მაგრამ აბა, ერთი ის გვითხარით, თევზის გემოს მქონე ცხვრის ჩაქაფული რა, ხშირად გაგისინჯავთ?

ცნობილი ხდება, რომ ჩინელმა მეცნიერებმა ცხვრის კლონირება მოახდინეს, რომლის ხორციც თევზის ქონს შეიცავს.

ცხვარს სახელად პენ-პენი ჰქვია და ლაბორატორიულ პირობებში იგი მიმდინარე წლის 26 მარტს დაიბადა.

გარდა იმისა, რომ პენ-პენს თევზის გემო აქვს, როგორც ჩინელი მეცნიერები ამბობენ, მისი ხორცი შეიცავს ისეთ ნივთიერებებს, რომელიც ადამიანის ჯანმრთელობისთვის ძალიან აუცილებელია. მაგალითად, შეუძლია ინფარქტისა და გულ-სისხლძარღვთა სხვა დაავადებების რისკის შემცირება.

სავარაუდოდ, პენ-პენისგან ჩაქაფულსა და შილაფლავს არავინ დაამზადებს, თუმცა მისი „მშობლები“ იმასაც ამბობენ, რომ გენეტიკურად მოდიფიცირებული ცხვრის მასობრივად კლონირებისთვის ყველაფერი მზად აქვთ.

***top.rbc.ru***

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



მამაკაცთან უცხო ქალი მივიდა და ეუბნება:

– უკაცრავად, თქვენ კოტეს მამა ხართ?

– დიახ, მოხდა რამე?

– მე ნინიკოს დედა ვარ. იცით, სკოლაში თქვენი ვაჟი ჩემს ქალიშვილს ექიმობანას ეთამაშებოდა და...

– იცით, რაშია საქმე, ქალბატონო – ამ ასაკში მოზარდები საწინააღმდეგო სქესის მიმართ განსაკუთრებულ ყურადღებას ავლენენ...

– ნეტავ მართლა სქესით და სექსით დაინტერესებულიყო – თქვენმა შვილმა ჩემს გოგონას ბრმა ნაწლავი ამოაჭრა!!!

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“

»211359457

გამომცემელი
გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

საინფორმაციო განყოფილების რედაქტორი – მიხეილ სახვაძე
599 93 28 03; 2-21-21-80 (108)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაჭვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი

**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge

®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008

UDC (UAK) 070.4 (479.22) ა–49

რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail:
alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 02.40